

ბეჟან ჯავახია

**ანტიკურობილან  
შუა საუკუნეებისაკენ**  
(დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო)



თბილისი  
2005

შუა საუკუნეების ევროპული ცივილიზაციის, მით უფრო მისი გენეზისის შესწავლა დღევანდელი დროისთვის ფრიად აქტუალური საკითხია, რადგანაც საქართველო ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ბოლოს მოწყვეტეს ერთიან ევროპულ სივრცეს, რომელთანაც ერთად ქრისტიანული სარწმუნეობით ყალიბდებოდა ქართული კულტურა და ქართული ცნობიერება.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ერთ-ერთ ნაწილს ჩვენს მიერ შექმნილი სერიისა – „საქართველო ევროპულ სამყაროში“. ნაშრომში თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე წარმოდგენილია შუა საუკუნეების ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებლები, მისი გენეზისი მსოფლიო ისტორიის ასპექტში, ასევე ამ ცივილიზაციის განმასხვავებელი ელემენტები და თავისებურებანი რეგიონების მიხედვით. ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას ევროპულ და საერთო ქრისტიანულ სივრცესთან ქართული კულტურის მიმართების განსაზღვრისა ადრეულ შუა საუკუნეებში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტების, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების, აგრეთვე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის, ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

## რედაქტორი პროფ. ნინო ჩიქოვანი

© ბ. ჯავახია, 2005

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2005

თბილისი, 0128, ი. შავსავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-30-X

შესავალი.....	5
<b>თავი I. შუა საუკუნეების ცივილიზაციის წანამძღვრები</b> .....	13
ანტიკურობა (კულტურული ასპექტი) .....	13
რომის იმპერიის კრიზისი.....	17
დასავლურ და აღმოსავლეთ ევროპულ ცივილიზაციათა განსხვავებული წანამძღვრები.....	31
<b>თავი II. სახელმწიფო ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლების აღმოცენება (ეკლესია და სახელმწიფო)</b> .....	44
ღმერთი იმპერატორიდან ღვთის ნებით იმპერატორამდე.....	44
სახელმწიფო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.....	57
ახალი იდეოლოგია და საისტორიო მწერლობა.....	67
სასანური ირანი და ქრისტიანული კულტურა.....	79
<b>თავი III. საქართველო შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანული ცივილიზაციის სათავეებთან</b> .....	87
ზოგადქრისტიანული სივრცის განცდა .....	87
საერო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ .....	114
ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხისათვის .....	121
<b>დასკვნა</b> .....	139
<b>ლიტერატურა</b> .....	154
<b>რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)</b> .....	171



*კონსტანტინე დიდის სიზმარი. ქვერის წინამძღვრობით გამარჯვება და  
რომში შესვლა. ქვერის აღმართვა ელენე დედოფლის მიერ*

## შესავალი

დასავლურ საისტორიო მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციოლოგიის ასპექტებს. სოციოლოგიური მეთოდების და კონცეფციათა ჩართვამ დასავლეთ ევროპელ ისტორიკოსთა კვლევაში მათ წინაშე მნიშვნელოვანი პრობლემები დააყენა. ისტორიული მეცნიერების მთავარი საგანი გახდა არა ერთეული და არა მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენა, არამედ, როგორც ამას ო. ვიშლი-ოვი აღნიშნავს, “სოციოკულტურული ისტორიული სისტემა”, ხოლო შემეცნების მეთოდად აღიარებულ იქნა არა ინდივიდიზაციისა თუ ტიპოლოგიზაციის მეთოდი, არამედ მათი სინთეზის პროდუქტი – ინდივიდუუმებისა და მიკროსოციალურ წარმონაქმნთა “ქმედების სტრუქტურის” და “ქცევის ხასიათის” ანალიზი<sup>1</sup>. სოციალურ-ისტორიულმა ანთროპოლოგიამ მჭიდროდ შეაკავშირა ერთმანეთთან პოლიტიკური, სამართლის, სოციალური, კონფესიური და ეკონომიკის ისტორია. ისტორიის მეცნიერების ანთროპოლოგიზაციის პროცესში წინ წამოიწია ისეთი საკითხების კვლევამ, როგორცაა სოციალური ყოფა და მენტალობა. მსგავსი პრობლემების კვლევა, რომელიც თავისთავად შეიცავს სამართლებრივ და კონფესიურ ისტორიას, სოციალური ფსიქოლოგიის და კულტუროლოგიის ელემენტებს, იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ პოლიტიკურ ქმედებათა მამოძრავებელი მოტივები, რომელიც თავისთავად ადამიანის სულიერი სამყაროს მიერ არის განსაზღვრული. ყოველივე ეს უფრო ნათელს ხდის საერთო ისტორიული პროცესების გაგებას. ეს პროცესი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაგებული იქნა როგორც ისტორიული მატერიალიზმის ალტერნატიული პრინციპი. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ამ დავას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგანაც საბჭოთა სი-

---

<sup>1</sup> Вишлев О.В. Организация изучения истории европейского средневековья в ФРГ. - Средние века. Выпуск 52. М.1989, с. 259.

ნამდვილეში, რასაკვირველია, სქოლასტური მარქსისტული იძულებითი შეფერილობის ქვეშ, მაინც იწერებოდა განმაზოგადებელი ნაშრომები, რომლებმაც ამ სინამდვილეში მყოფ ისტორიკოსებს ისტორიული პროცესების ფართო შემეცნების საშუალება მისცა. საკმარისია დავასახელოთ, მაგალითად, ა. ლოსევი, ა. გურევიჩი, ს. ავერინცევი და სხვები, რომლებიც თავიანთი ნაშრომებით მუდმივად იღვწენ წარმატებულ მეცნიერთა შორის.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებადაა დანერგილი ისტორიული პროცესების ფართო, საგანთაშორისი (ინტერდისციპლინური) კვლევის მეთოდები. მართალია, ქართველოლოგიური კვლევის დარგში არსებობს მრავალი მოსაზრება და შეხედულება, რომლებიც პრობლემების ფართო ასპექტით განიხილვას ემყარება, მაგრამ ისინი ხშირად კერძო მოვლენათა ანალიზს ან რეგიონალურ საკითხებს შეეხება. ამასთან, ფაქტები და მოვლენები უმეტესად ქრონოლოგიური პრინციპითაა განხილული.

ვფიქრობთ, ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი), შემდეგში ასეთი სახის კვლევის ნაკლები საშუალება არსებობდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში რიგი ნაშრომებისა მიეძღვნა საქართველოსა და ქართული კულტურის ცივილიზაციური მიკუთვნებულობის, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისა და ქართული მენტალობის პრობლემებს. უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ნაშრომები საქართველოს კულტურული რაობისა და ცივილიზაციური კუთვნილების შესახებ პოლიტოლოგიური კვლევის ასპექტებს შეიცავს (კ. კაციტაძე, მ. მაცაბერიძე). ამ ავტორების ძირითად მიზანს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზაციათა ურთიერთობის ფონზე ქართული კულტურის ადგილის, ამა თუ იმ ცივილიზაციასთან მისი მიმართების

განსაზღვრა. ნაშრომების ნაწილი კულტურის ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა შედარებით ანალიზს ემყარება (გ. ნიჟარაძე). ხოლო ისტორიული კულტუროლოგიის მეთოდებით ამ საკითხის კვლევის ფართოდ დანერგვა დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის თანამშრომლების სახელებთან (ნ. ჩიქოვანი, ქ. კაკიტელაშვილი, ივ. წერეთელი). “ცივილიზაციური კუთვნილება ისტორიული წარსულითაა განპირობებული. ცივილიზაციური მახასიათებლების ჩამოყალიბებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, და თუმცა მათ საკმაო მდგრადობა ახასიათებს, ისინი მუდმივი არ არის და საუკუნეთა განმავლობაში იცვლება. ჩვენი ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრისათვის აუცილებელია, ერთის მხრივ, თანამედროვე საქართველოს ცივილიზაციურ მახასიათებელთა, მეორეს მხრივ, მათი ისტორიული დინამიკის შესწავლა”, – აღნიშნავს ნ. ჩიქოვანი<sup>1</sup>.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევეცადოთ, თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე წარმოვადგინოთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებლები, მისი გენეზისი მსოფლიო ისტორიის ასპექტში, ასევე მოვებნოთ ამ ცივილიზაციის განმასხვავებელი ნიშნები რეგიონების მიხედვით. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ მიმართული იქნება დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეებისა და ბიზანტიური ცივილიზაციისაკენ. აქვე ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ქართული შუა საუკუნეები, რომელიც, ჩვენი აზრით, ზოგადად განეკუთვნება ევროპულ შუა საუკუნეებს და რომელსაც, ისევე როგორც დასავლეთ ევროპულ

---

<sup>1</sup> ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში (თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები). თბ., 2005, გვ.127.

შუა საუკუნეებსა და ბიზანტიურ ცივილიზაციას, გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს.

როდესაც შუა საუკუნეების ცივილიზაციის შესახებ ვიწყებთ საუბარს, რასაკვირველია, ღებება ორივე სიტყვის განმარტების საკითხი. მაგრამ რაც არ უნდა ფართოდ განვიხილოთ მოსაზრებანი ამ ორივე ტერმინის წარმოშობის შესახებ და მათი გენეზისი, საბოლოოდ მათზე მაინც უნდა შევთანხმდეთ, როგორც სამუშაო ტერმინებზე. ჩვენ ამ შემთხვევაში ცივილიზაციის ცნებას წარმოვიდგენთ, როგორც მსოფლიო ისტორიულს, რომლის თანახმადაც, ლოკალურ ცივილიზაციათა ურთიერთობის საფუძველზე ჩნდება მსოფლიო ისტორიის ფენომენი.

რაც შეეხება შუა საუკუნეების ქრონოლოგიის განსაზღვრას, ის შეიძლება დაემთხვეს დღემდე მიღებულ ჩარჩოებს IV საუკუნიდან XVII საუკუნემდე, თუმცა ვფიქრობთ, სანამ ქრონოლოგიურ ჩარჩოს განვსაზღვრავთ, აუცილებელია თვით შუა საუკუნეების განსაზღვრისათვის რაიმე ერთი განსაკუთრებული მსაზღვრელი გამოვარჩიოთ. მით უფრო, რომ მისი ქრონოლოგიური საზღვრები განსხვავებული შეიძლება იყოს თუ რეგიონების მიხედვით, თვით ევროპულ სამყაროშიც კი. ანტიკური სამყაროს დასასრული, “ანტიკურობის დასასრული”, როგორც ამას ევროპელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, არის კლასიკური დროის დასასრული. როგორც ბუნ-აი ტსუნოდა წერს, სამყარო არ ტრიალებს მხოლოდ ევროპელების ირგვლივ. საერთოდ, მიაჩნიათ, რომ შუა საუკუნეები განსხვავებულად იწყება აღმოსავლურ სამყაროში, სახელდობრ, ინდოეთში – XII საუკუნეში, ჩინეთში – 190 წ. ჩვ. წ-ალ., ხოლო არაბულ სამყაროში – VII საუკუნეში, როდესაც ხმელთაშუა ზღვის აუზში ძირითადად დასრულდა ისლამის გავრცელება და აღმოსავლური სამყარო გახდა ჩაკეტილი სივ-



რცე, ძირითადად მუსლიმური იდეოლოგიით განსაზღვრული<sup>2</sup>. საერთოდ ზოგადი წარმოდგენები მსოფლიო ისტორიაზე და ზემოთმოტანილი მითითებანი შუა საუკუნეების დასაწყისის განსხვავებულად განსაზღვრის შესახებ გვაფიქრებინებს, შუა საუკუნეების დასაბამის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ჩავთვალოთ მონოთეისტური რელიგიის გაბატონება საზოგადოებაში, ანუ სახელმწიფოს პოლიტიკისა და მსოფლმხედველობის განსაზღვრა ერთდებრთიანი რელიგიით: აღმოსავლურ სამყაროში – ისლამით, ხოლო დასავლურ, ევროპულ სამყაროში – ქრისტიანობით.

რადგან ჩენი კვლევის საგანს წარმოადგენს ევროპული ცივილიზაცია, ასევე უნდა შევეხოთ ტერმინ ევროპის გაგებას. ევროპის, როგორც კულტურული ერთეულის გაგებისათვის მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რაზე ვსაუბრობთ: ევროპაზე, როგორც დასახლებულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს დღევანდელი გაგებით კონტინენტს და მის მოსახლეობას, თუ ევროპაზე, როგორც გარკვეულ მთლიანობაზე თანამედროვე გაგებით. ჩვენ ამ შემთხვევაში გამოვრიცხავთ ამ უკანასკნელ გაგებას, რადგანაც ეს ცივილიზაციები წინ უსწრებდნენ შუა საუკუნეებს და ანტიკურ ცივილიზაციას. ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცია კი წარმოდგენილია ქრონოლოგიური ჩარჩოების გარეშე. ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის სამუშაო განმარტებად გვსურს წარმოვადგინოთ შუა საუკუნეების წინა პერიოდის ანტიკური (ბერძნულ-რომაული) და აღმოსავლეთის ეგვიპტე-სირიის კულტურა, რომელზეც, რასაკვირველია, დიდი იყო ელინიზმის გავლენა, მაგრამ ამავე

---

<sup>2</sup> Bun-ei Tsunoda, Das Problem des Endes der antiken Welt. in: Zur Frage der Periodengrenze zwischen Altertum und Mittelalter. Hrsg. v. P.E.Hubinger. Darmstadt 1969, S. 240

Maier F.G. Die Verwandlung der Mittelmeerwelt. Frankfurt, 1968 in. Fischer Weltgeschichte, Bd. 9, S. 347; Pernoud R. Pour en finir avec le moyen age. Paris, 1977 S.7-9

დროს, მას მყარი თავისებურებებიც ჰქონდა. ევროპულ ცივილიზაციად ჩვენ მიგვაჩნია კლასიკური რომის ნგრევის შემდეგ ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბებული ცივილიზაცია, რასაც საფუძვლად დაედო რომიდან დედაქალაქის გადატანა აღმოსავლეთში, კონსტანტინოპოლში. რადგანაც ბიზანტიური და დასავლეთევროპული ცივილიზაციების განმასხვავებელ ნიშნებზე ცალკე გვექნება საუბარი, ამ შემთხვევაში ჩვენ მას ვუწოდებთ ზოგადად ევროპულ ცივილიზაციას.

ზოგადად ევროპული ცივილიზაციის შესახებ განსხვავებული წარმოდგენები არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მას სამართლიანად მიიჩნევს ანტიკურობიდან დღემდე ევროპულ კონტინენტზე არსებულ ცივილიზაციად, ნაწილი — მხოლოდ დასავლეთ ევროპულ — რომანო-გერმანულად. რადგანაც ჩვენ შუა საუკუნეების დასაწყისად მიგვაჩნია ევროპულ სივრცეში, ყოველ შემთხვევაში, რომის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული (ქრისტიანული სახელმწიფოები, ან თვით ქრისტიანული რომი (ბიზანტია), თავდაპირველად ვისაუბრებთ ერთიან ევროპაზე, როგორც მის აღმოსავლეთში, ასევე მის დასავლეთში არსებულ კულტურაზე. საერთოდ, მეტნაკლები სიფრთხილით, გვსურს განვაცხადოთ, რომ დასავლეთ ევროპული ცივილიზაცია შეიძლება დავიწყოთ ფრანკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან, უფრო სწორად, ფრანკთა მეფის კარლოს დიდის მიერ თავისი თავის რომის იმპერატორად გამოცხადებიდან, რადგანაც აქამდე ძველი ინერციით ბიზანტია, როგორც რომის იმპერიის მემკვიდრე, შეძლებისდაგვარად აკონტროლებდა ევროპულ სივრცეს, ყოველ შემთხვევაში, მისი მმართველი ერთადერთი ატარებდა რომის იმპერატორის ტიტულს.

აქვე, რათა უფრო გასაგები გახდეს ჩვენი მსჯელობა, გვსურს განვმარტოთ, რომ ისტორიის მეცნიერების შესწავლის ევროპოცენტრისტულობამ თავისი მიკერძოებულობის ნიშანი დაამჩნია ზოგად პრობლემებს. თვით ტერმინი ბიზან-

ტია დასავლეთ ევროპელი ისტორიკოსების მიერ არის შემოტანილი სამეცნიერო ბრუნვაში, რადგანაც ამით სურდათ დაეკნინებინათ შუა საუკუნეების რომის — კონსტანტინოპოლის მნიშვნელობა; ამ სახელმწიფოს ისტორიის უარყოფით, რომელიც თავის თავს რომეების იმპერიას უწოდებდა და თავს ძველი რომის ერთადერთ მემკვიდრედ მიიჩნევდა, ევროპელებს სურდათ ანტიკური რომის კულტურის მემკვიდრედ თვითონ გამოეცხადებინათ თავი. დღეს ეს საკითხები განსხვავებულად განიხილება, ბიზანტიის ისტორიის თანამედროვე მკვლევარები სამართლიანად ცდილობენ დაუბრუნონ მას რომის მემკვიდრის სტატუსი და ასევე ბიზანტიურ კულტურაში თავისი ადგილი დაუბრუნონ ანტიკურობას, რომელსაც ადრინდელი ისტორიკოსების დიდი ნაწილი უარყოფდა.

რადგანაც ევროპის შესახებ ვსაუბრობთ, მოკლედ შევეხოთ თავად ევროპის ცნების განმარტებას. ეს ტერმინი ნაკლებად იყო ხმარებაში ანტიკურ სამყაროში. ევროპა აღმოაჩინეს ფინიკიელებმა, რომელთა ხომალდები დაცურავდნენ ჰერაკლეს სვეტების და გიბრალტარის გავლით, კანარის კუნძულებიდან ბრეტონამდე და ბრიტანეთის კუნძულამდე. ბერძნებმა მისცეს სახელწოდება კონტინენტს. სახელი “ევროპა” მოდის ფინიკიის მეფის აგენორის ასულის სახელიდან, რომელიც შეუყვარდა ზევსს და, ხარად გადაქცეულმა, გაიტაცა ფინიკიიდან კრეტაზე. ევროპა, როგორც კონტინენტი პირველად მოიხსენიება ესქილეს დრამაში. ჩვ.წ.აღ-მდე 472 წელს დაწერილ დრამაში ერთერთ გმირს, რომელიც გადალახავს ბოსფორს, მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „შენ დატოვე ევროპის მიწა და ახლა დგახარ აზიის კონტინენტზე“. თუმცა ადრეულ პერიოდში, ანტიკურ ავტორებთან ევროპის განსხვავებული გაგება ჰქონდათ, მაგრამ ის დღევანდელი ევროპის საზღვრებს მაინც არ სცილდებოდა. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის წანამძღვრები და ის ფაქტორები, რომელმაც განაპირობა შუა საუკუნეების ქრის-

ტიანული საზოგადოების ჩამოყალიბება, მაგრამ საზოგადოების განვითარების თეორია ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ისტორიის მაგალითზე, არამედ როგორც შუა საუკუნეების დასავლური, ასევე აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს შეძლებისდაგვარად სრულყოფილად შესწავლის ფონზე. ეს არის ძირითადად IV–VI საუკუნეები, როდესაც დაიწყო მოქმედება შუა საუკუნეების ცივილიზაციის აღმოცენების მიზეზებმა.



*იმპერატორები კონსტანტინე დიდი კონსტანტინოპოლის მაკეტიო და თესტინიანე დიდი ააა სოფიას მაკეტიო. მოზაიკა*

## შუა საუკუნეების ცივილიზაციის წინამძღვრები

### ანტიკურობა (კულტურული ასპექტი)

ვიდრე შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისის შესახებ თხრობას დავიწყებდეთ, გვსურს შევეხოთ რამდენიმე მოსაზრებას ანტიკურობის, როგორც ცივილიზაციის, სახელდობრ, კლასიკური ბერძნულ-რომაული სამყაროს შესახებ. ჩვენ შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ გარდა ბერძნულ-რომაული ანტიკურობისა, არსებობს აღმოსავლური ანტიკური სამყარო, როგორც სირიულ-ეგვიპტური, ასევე ირანული სახით. აქვე გვსურს განვმარტოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ამ შრომის დაწერის ერთერთი განმსაზღვრელი გახდა; ეს თავიდან აგვაცილებს დავას სხვადასხვა ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებულ ცივილიზაციათა (ანტიკური, შუა საუკუნეების...) ჩარჩოების შესახებ. ცივილიზაციათა ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა სხვადასხვა რეგიონში შეიძლება ამ ცივილიზაციათა ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, [ამ ჩარჩოებს განაპირობებს ცივილიზაციათა მახასიათებელი], მათი აღმასვლისა და თანდათანობით დასუსტების მომენტების გათვალისწინებით.

ანტიკური კულტურის ისტორიკოსთა და ამ ეპოქით დაინტერესებულ მკვლევართა ნაშრომები ამ ეპოქის მრავალმხრივი დანახვის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ საკმარისია ელინისტური და რომაული კულტურის შესახებ ი. დროიზენისა და თ. მომზენის განმაზოგადებელი შრომების დასახელება. მაგრამ რადგანაც ჩვენს მიზანს ანტიკური ცივილიზაციის ტიპოლოგიური ანალიზი არ წარმოადგენს, თანაც, რამდენიმე

განსხვავებული თეორიისა და მოსაზრებების გადმოცემამ, შესაძლებელია, ლაბირინთებში შეგვიტყუოს და ჩვენი მიზანი მარტივად გადმოვცეთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისის ფორმები გაუგებარი გახადოს, ამდენად ჩვენ მხოლოდ ანტიკური ცივილიზაციის რამდენიმე კულტურული ასპექტს შევვხებით. ამჯერად ანტიკური კულტურის დახასიათების გადმოსაცემად შეუძლებლად მიგვაჩნია გვერდი ავუაროთ ა. ლოსევის ნაშრომს „თორმეტი თეზისი ანტიკური კულტურის შესახებ“<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში კულტურაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგანაც სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტების შესახებ სხვაგანაც გვექნება საუბარი. როგორც ა. ტონიბი აღნიშნავს, სოციალურ ასპექტებს შორის კულტურა გაცილებით ღრმა და ფუნდამენტურია, ვიდრე პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები<sup>2</sup>.

პირველსავე თეზისში ა. ლოსევი განმარტავს, რომ ანტიკური კულტურა არ არის კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ახალევროპული კულტურა, სადაც პირველ პლანზე გამოდის ინდივიდი, სუბიექტი და მისი ძალაუფლება, მისი თვითშეგრძნება, სადაც სუბიექტი დგას ობიექტზე მაღლა, ადამიანი გამოცხადებულია ბუნების მბრძანებლად. ანტიკური კულტურა არის ობიექტივიზმის პრინციპზე დაფუძნებული. ანტიკური კულტურისაგან განსხვავებით, იგი შუა საუკუნეების მთავარ მახასიათებლად მიიჩნევს იმას, რომ ის არის მონოთეისტური კულტურა. ანტიკურ სამყაროში არ არის შემოქმედი ღმერთი, ეს არის გრძნობადი სამყარო. გრძნობად-მატერიალური კოსმოლოგიზმი – ეს არის ანტიკური კულტურის საფუძველი. ამდენად, კოსმოსი არის ხილული, გრძნობადი და მატერიალური, როგორც ცოცხალი ადამიანის სხეული, ანტიკურ სამყარო არის მოძრავი და სულიერი. საგანი,

<sup>1</sup> Лосев А.Ф. Двенадцать тезисов об античной культуре. - Дерзание духа, М. 1988.

<sup>2</sup> Тойнби А. Цивилизация перед судом истории. М.-СПб. 1996, с. 78

რადგანაც არსებობს ის მოძრაობს, ანუ ის სულიერია და გონიერია. და რადგანაც კოსმოსი აბსოლუტურია, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ და ხელშესახებია, შესაბამისად, ეს კოსმოსი ღვთაებრივია. კოსმოსი — ეს არის აბსოლუტური ღვთაება. ანტიკური ღმერთები — ეს არის იდეები, რომელიც ხორციელდება კოსმოსში, ეს არის ბუნების კანონები, რომლებიც მართავენ მათ. ანტიკური “ღმერთები” ბუნების ძალებისა და ადამიანის თვისებათა გაღმერთების შედეგად არიან შექმნილი. ასე რომ, ანტიკურობისათვის დამახასიათებელია პანთეიზმი, ანუ ყველა ღვთაება, იდეალური ღმერთები წარმოადგენენ მხოლოდ ბუნების შესაბამისი მოვლენების განზოგადებას, როგორც გონიერის, ასევე უგუნურის. ანტიკურ სამყაროში ფატალიზმი და გმირობის იდეა ერწყმის ერთმანეთს. ადამიანმა იცის, რომ მისი ბედისწერა წინასწარ არის განსაზღვრული (ღვთაებები — მოირა, თხვე, აღრასთეა...). მაგრამ ეს განსხვავდება თანამედროვე პრაქტიკული ადამიანის ბედისწერასთან დამოკიდებულებისაგან, რომელმაც იცის, რომ თუ მისი ბედი წინასწარ არის განსაზღვრული, ფიქრობს, რომ არაფერი უნდა გააკეთოს და მიიღოს ბედისწერის განაჩენი, რამდენადაც რაც გარდაუვალია, წინ ვერ აღუდგები. ხოლო ანტიკური ეპოქის ადამიანი ფიქრობს, რომ ბედისწერა მასზე მაღლა დგას და რადგანაც არ იცის მისი განაჩენი, ვერ იმოქმედებს მისი კანონებით. ის ფიქრობს, რომ შეიძლება იმოქმედოს თავისუფლად, ის გმირია. ა. ლოსევი ასახელებს მაგალითს ჰომეროსის პოემიდან: აქილეესმა იცის, რომ ის დაიღუპება ტროასთან (ცხენები ამცნობენ ამას), მაგრამ არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ გაფრთხილებას, რადგანაც ის გმირია. დაიღუპება თუ არა, ეს ბედისწერის საკითხია, ხოლო მისი მიზანია იყოს გმირი. კოსმოსი, როგორც ბუნების აბსოლუტიზაცია. ანტიკურობა — ეს არის ქანდაკება. ანტიკური სამყარო — ეს არის თეატრალური სცენა, ხოლო ადამიანები — მსახიობები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ როლს

და მიდიან. მაგრამ უცნობია, თუ საიდან მოდიან ისინი და საით მიემართებიან. პიროვნება, როგორც ეს ჩანს ცნობილი მეცნიერის ტახო-გოდის დასკვნებიდან, არის კარგად ორგანიზებული ცოცხალი ორგანიზმი. ანტიკური ადამიანი თავისუფალია, ამავე დროს, ის ემორჩილება აუცილებლობას. ანტიკური ადამიანის ასეთი წარმოდგენისათვის ა.ლოსევი იმოწმებს არისტოტელეს თეორიას – ყველა ზოგადი არის მონათმფლობელი კერძოსთან დამოკიდებულებაში. თუ ერთეული ემორჩილება ზოგადს, ნიშნავს, ერთეული არის მონა, ხოლო ზოგადი – მონათმფლობელი. ამდენად, არისტოტელეს აზრით, მთელი სამყარო არის მონათმფლობელური. ა. ლოსევი დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ბედისწერის გაგება ანტიკურობაში არის მონათმფლობელური საზოგადოების გაგება. ანტიკურ სამყაროში არ არის პიროვნება, არამედ არის მხოლოდ კოსმოსი.



*ალექსანრდე მაკედონელი*




## რომის იმპერიის კრიზისი

შუა საუკუნეების ცივილიზაციას, როგორც ადრე აღნიშნეთ, აქვს თავისი განსაკუთრებული აზროვნება და მსოფლმხედველობა, რომელიც თანდათანობით ყალიბდებოდა ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე. შუა საუკუნეები რეალურად ვლინდება ქრისტიანული სახელმწიფოების წარმოქმნასთან ერთად, რომელიც შესაბამისად ქმნის სამყაროს აღქმის თავისებურ სტრუქტურას. ეს სტრუქტურები იქმნება და სრულყოფილ სახეს იღებს საუკუნეების მანძილზე. მაგრამ თვით ამ სტრუქტურათა შექმნას განაპირობებს წინარე პერიოდის განსხვავებული სოციალური თუ ისტორიული წარმოშობის კულტურული ფენები, რომელიც წინ უძღოდა შუა საუკუნეებს. ჩვენ უკვე ზოგადად წარმოვადგინეთ ანტიკური კულტურის ა. ლოსევისეული დახასიათება, ამჯერად გვსურს ვაჩვენოთ, თუ როგორ ხდებოდა გადასვლა ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ, ის პოლიტიკური ძვრები და სოციალური ფაქტორები, განსაკუთრებით კულტურული ასპექტი, რამაც განაპირობა ახალი საზოგადოების წარმოშობა, ანუ თვალის მივადევნოთ, როგორ გახდა ანტიკური რომი ქრისტიანული და, ასევე, როგორ აღმოცენდა ქრისტიანულ იდეოლოგიაზე ახალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აზროვნება. აქვე საყურადღებოა თვით ქრისტიანული იდეოლოგიის განვითარების გზა, რომელმაც ევოლუციის განსაკუთრებული ეტაპი გაიარა პირველ სამ საუკუნეში და მეოთხე საუკუნიდან დაიწყო ჩამოყალიბება სახელმწიფო ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ. ეს განსაკუთრებით თვალნათლივი ჩანს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების შესწავლის ფონზე.

შუა საუკუნეების წინარე ეტაპზე არსებული სხვადასხვა კულტურულ ელემენტთა კომბინაცია, მათი ურთიერთზემოქმედება და ურთიერთშერწყმა განაპირობებს ახალი სტრუქტურების შექმნას. ეს არის, ძირითადად, ანტიკურ რომში მიმდ-

ნარე სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ გადასვლისა და ადრეული შუა საუკუნეების მრავალფეროვანი ეტაპის შესახებ არსებობს მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომელიც ნაკლებადაა გათვალისწინებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ გამოკვლევებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ფრანგი ისტორიკოსების ჟაკ ლე გოფის, ანდრე გიუს, ჟორჟ დუბის და გერმანელი სოციოლოგის ნორბერტ ელიასის გამოკვლევებს<sup>3</sup>.



---

3 Ле Гофф Ж. Цивилизация ссредневекового Запада, СПб,2005; Ле Гофф Ж. Другое средневековье, Екатеринбург, 2002; Гийу Византийская Цивилизация, Екатеринбург, 2005; А. Дюби Ж. Средние века. М. 2000; Элиас Н. О процессе цивилизации, т.1-2. М.-СПБ. 2001.

III საუკუნეში ძლიერი კრიზისის შედეგად რომის სამყაროს ერთიანობამ დაშლა დაიწყო. რომი და იტალია პარალიზებული აღმოჩნდა, იმპერიის ერთიანი სხეული ინგრეოდა. პროვინციები, რომლებიც თავიდან რომის სივრცეში განიცდიდნენ ემანსიპაციას, შეტევაზე გადავიდნენ და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას ცდილობდნენ.

რომის იმპერიის დასუსტება და მისი დაცემა დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის ე. ფრიმანის ხატოვანი გამოთქმები – “ეს სახელმწიფო (რომი – ბ.ჯ.) შექმნილი კი არ იყო, არამედ აღმოცენდა, და, ასევე, კი არ განადგურებულა, არამედ გადაშენდა”; “როდესაც ბერძნებს უხდებოდათ ბრძოლა საბერძნეთიდან სპარსელების განსაღებნად და როდესაც რომაელები იბრძოდნენ რომის მიწებიდან გერმანელების განსაღებნად, ეს იყო ნიშანი ამ დიდებული ხალხების დიდების დაცემისა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი პოლიტიკური ძალაუფლების დაცემისა”<sup>4</sup>. ასეთივეა ე. გიბონის მოსაზრება. “რომის იმპერიის დაცემის” ცნობილი ავტორი წერს: საკითხავია არა ის, თუ რა იყო მიზეზები რომის იმპერიის განადგურებისა, არამედ “საკვირველია, რომ მან ამდენ ხანს გაძლო”<sup>5</sup>. ე. ლე გოფი ნაშრომში “დასავლეთ ევროპის ცივილიზაცია” საუბრობს რამდენიმე ფაქტორზე, რომის საზოგადოების კრიზისის და ახალი საზოგადოებობების აღმოცენების წინაპირობებზე. ამ ნაშრომში მოცემული ანალიზი შუა საუკუნეების საზოგადოების წარმოშობის შესახებ, ჩვენი თვალსაზრისით, ახლებურია და საინტერესოა მისი გაცნობა, ამდენად ჩვენ, როგორც ადრეც მივუთითეთ, რამდენიმე ასპექტის განხილვისას მის მოსაზრებებს ძირითადად უცვლელად გადმოვცემთ.

4 Фриман Э. Главные периоды европейской истории, М. 1893.

5 Гиббон Э. Упадок и разрушение Римской империи, М. 2005, с. 545.

ე. ფრიმანის, ე. გიბონის და ე. ლე გოფის შეხედულებების მიხედვით, რომის იმპერიის ნგრევის მთავარი მიზეზი არ ყოფილა რაიმე სოციალური აჯანყება ქვეყანაში, რასაც ასაბუთებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, და არც მხოლოდ ბარბაროსთა შემოსევები.

რომის იმპერია ბარბაროს ხალხებთან ურთიერთობაში თავდაპირველად იყენებდა მათ იმპერიის გასაძლიერებლად, მაგრამ თვითონ რომის სახელმწიფოს მეთაურები ნაკლებად ზრუნავდნენ ქვეყნის ეკონომიკური და ტექნიკური დაწინაურებისათვის. რომს ელინური ხანის შემდეგ ახალი ტექნოლოგია არ შეუქმნია, მეურნეობა ძირითადად სამხედრო ნადავლის ხარჯზე იყო აწყობილი. წარმატებული ომები უზრუნველყოფდა რომს ტყვე სამუშაო ძალით და ძვირფასი ლითონებით.

რომში ადრე, ხალხთა დიდი გადასახლების პროცესამდე, დაიწყო ახალი, უცხო ძალების შემოღწევა. ეს ხშირად არ იყო ომების შედეგად ჩამოყვანილი ტყვე მუშახელი, ან რაიმე სხვა ელემენტი მომსახურების სფეროში, არამედ რომის მმართველობის სისტემაში გაჩნდა მისთვის უცხო ელემენტები; ესენი იყვნენ პროვინციიდან ჩამოსულნი — ე.წ. არარომაელები. ბარბაროსთა რაოდენობა გაიზარდა რომის არმიაში. ბარბაროსებმა, განსაკუთრებით, გერმანელებმა დაიკავეს აგრეთვე ოფიცერთა რიგები ჯარში. სენატში გამრავლდა პროვინციელთა რიცხვი. ესპანეთიდან იყვნენ იმპერატორები ტრაიანე და ადრიანე, გალიიდან — ანტონინე. სევერების დინასტიის დროს იმპერატორები იყვნენ აფრიკიდან, ხოლო დედოფლები — სირიიდან. 212 წლის კარაკალას ედიქტი იმპერიის ყველა მოსახლეს აძლევდა რომის მოქალაქის წოდებას. ისევე როგორც მიღწევები რომანიზირების საკითხში, ასევე ეს უფლებები მოქალაქეობისა ცენრისტულ პოზიციებს ამტკიცებდა. ეს მეგკვიდრობა — ბრძოლა, ერთი მხრივ, ერთიანი იმპერიის შენარჩუნებისათვის და, მეორე მხრივ, სწრაფვა დეცენტრალიზაციისაკენ — მიიღო შუა საუკუნეების ევროპამ.

იქ ქრისტიანობა ისწრაფოდა ქრისტიანული ერთიანობისაკენ და იმპერიაში შემავალი ეთნიკური ელემენტები კი — ნაციონალური დამოუკიდებლობისაკენ.

რომმა ახალი ათასწლეულის დასაწყისში ვერ შესძლო მის ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტების შენარჩუნება. ისინი, ისევე როგორც ჯარი და მმართველობა, უცხო ელემენტის ხელში აღმოჩნდა. ანტიკურ საზოგადოებას არასტაბილურს ხდიდა ისიც, რომ დასავლეთი კარგავდა არსებობის საშუალებებს, რომელიც აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა. ოქრო გადიოდა აღმოსავლეთის პროვინციებში ფუფუნების საგანთა შესაძენად. ვაჭრობის მონოპოლია ხელში ჩაუვარდათ ებრაელებსა და სირიელებს. დასავლეთის ქალაქები ცარიელდებოდა, ხოლო აღმოსავლეთისა — აღორძინებას იწყებდა. კონსტანტინოპოლის დაარსება კონსტანტინე დიდის მიერ იყო რომაული სამყაროს ცენტრის აღმოსავლეთში გადატანის რეალური განხორციელება. ეს განხეთქილება აისახა შუა საუკუნეების სამყაროში. მიუხედავად დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანების მცდელობათა გაძლიერებისა, მათ განვითარებაში არსებული განსხვავების დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ყ. ლე გოფი აღნიშნავს, მომავალი საეკლესიო სქიზმის რეალიები უკვე ჩანდა IV საუკუნეში. ბიზანტიამ რომის არსებობის გაგრძელება შეძლო XV საუკუნემდე (1453), მთელი მისი გარეგნული სიდიადით, მაგრამ ეს იყო მხოლოდ რომის სამყაროს აგონია. დასავლეთი კი, გალატაკებული და ბარბაროსულად ქცეული, უკვე შუა საუკუნეების დამდეგს დადგა ახალი ამოცანის წინაშე — შეექმნა ახალი ძალა და გაეღწია მსოფლიო სივრცეში<sup>6</sup>.

თანდათანობით სუსტდება რომის იმპერიის სამხედრო ძლიერება. უკანასკნელი დიდი გამარჯვება რომაელებმა მოიპოვეს ტრაიანეს ხანაში დაკებთან. საგარეო წარუმატებლობას

<sup>6</sup> Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада, с.148.

ემატებოდა შინაგანი სტაგნაცია, უპირველეს ყოვლისა „დე-მოგრაფიული კრიზისი, რამაც შექმნა სამუშაო ძალის პრობლემა. II საუკუნეში მარკუს ავრელიუსი ჯერ კიდევ იცავდა თავს ბარბაროსებისაგან, მაგრამ III საუკუნეში იმპერიას ყოველი მხრიდან შეუტიეს ბარბაროსებმა, რისი შეჩერება, ძირითადად, ბარბაროსებთან დაზავებით შეძლეს. ბარბაროსები ჩარიცხულ იქნენ რომის არმიის რიგებში, ამავე დროს, მათ მიეცათ უფლება დასახლებულიყვნენ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, კონფედერატებად და მოკავშირეებად. ასე დაიწყო ხალხთა შერევა, რაც დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის.

ფრანგი ისტორიკოსის ვ. ღურიუს<sup>7</sup> მსგავსად, ჟ. ლე გოფიც მიიჩნევს, რომ ქრისტიანობის სასარგებლოდ კონსტანტინე დიდის გადაწყვეტილება უფრო მეტად განპირობებული იყო მისი პოლიტიკური მიზნებით. “ზოგიერთი იმპერატორი ფიქრობდა, რომ შეეძლოთ შეეცვალათ თავიანთი ბედი იმ ღმერთების უარყოფით, რომელნიც უნაყოფონი აღმოჩნდნენ; და მათ ცნეს ახალი ღმერთი ქრისტეს სახელით. ჩანდა, რომ კონსტანტინე დიდის წარმატებებმა ეს იმედები გაამართლა: ქრისტეს სახელის ქვეშ რომმა დაიბრუნა თავისი ძლიერება, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი მოვლენა, მისი არსებობის გახანგრძლივება, ქრისტიანობა არ აღმოჩნდა რომის ერთგული მოკავშირე. რომის სამყაროს სტრუქტურას ეკლესია ჭირდებოდა მხოლოდ როგორც ფორმა, როგორც თვითდარწმუნების საშუალება. ქრისტიანობა, რომელიც მსოფლიო მოწოდების რელიგია იყო, შეუძლებელია ჩაკეტი-

---

<sup>7</sup> “ის (კონსტანტინე) მიხვდა, თუ რომელი მიმართულებისკენ მიემართებოდა მაშინდელი მსოფლიო და მხარს უჭერდა ამ დინებას, თუმცა აქეზებდა მის დაჩქარებას. ამ ხელმწიფის განსაკუთრებულობა გამოიხატა ფრაზაში, რომელიც მან ამოატვიფრინა თავის ტრიუმფალურ თაღზე – მშვიდობის მცველი (Questis custos). ჩვენ ჩაეწვდით ამ ადამიანს სულის სიღრმეში და მასში უფრო პოლიტიკა ვიპოვეთ, ვიდრე რელიგია” (Duruy V. Histoire des Romains. Paris, 1885, vol. p. 102).

ლიყო ერთი რომელიმე ცივილიზაციის საზღვრებში. რასაკვირველია, ქრისტიანობა გახდა მთავარი მოძღვარი შუა საუკუნეების დასავლეთისა, რომელსაც გადაეცა რომის კულტურული მემკვიდრეობა. რასაკვირველია, მან ასევე გადაიღო რომისაგან თვითკმარობა. მაგრამ დასავლეთმა ჩაკეტილი რელიგიის ტიპთან ერთად შექმნა მისი ახალი, გახსნილი ვარიანტი. დიალოგი ქრისტიანობის ამ ორ სახეს შორის გახდა დომინანტი გარდამავალ ეტაპზე.

ათი საუკუნე დაკარგა დასავლეთ ევროპამ იმისათვის, რომ გაეკეთებინა არჩევანი: ჩაკეტილი ეკონომიკა თუ გახსნილი ეკონომიკა, სოფლის ცხოვრება თუ ქალაქი, ცხოვრება ერთ ციტადელში თუ სხვადასხვა დამოუკიდებელ სახლებში.

ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად ვერ გავიზიარებთ უღე გოფის მოსაზრებას, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ბიზანტიურ სივრცეში ქრისტიანობა კარჩაკეტილი არ დარჩენილა, პირიქით, განსხვავებით დასავლეთისაგან, მის სივრცეში შემავალ ხალხებს მან მისცა ნაციონალური სახით ქრისტიანობის განვითარების თავისუფლება, ანუ, დასავლეთისაგან განსხვავებით, სადაც როგორც ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, ასევე მოგვიანებით, ნაციონალური სახელმწიფოების ჩასახვის შემდეგაც საღვთო ლიტურგია ლათინურ ენაზე სრულდებოდა. აღმოსავლურ ქრისტიანულ სივრცეში ძალიან სწრაფად მოხდა ნაციონალურ ენებზე ბიბლიის თარგმნა და წირვა-ლოცვა ნაციონალურ ენებზე მიმდინარეობდა. რასაკვირველია, ამას განსხვავებული წინაპირობები ჰქონდა. კერძოდ, აღმოსავლეთი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე დასავლეთ ევროპა IV-VI საუკუნეებში. მაგრამ აქ იმის გამორიცხვაც არ შეიძლება, რომ პაპებს და, ზოგადად, რომს ერთიანი ლათინური ენის შენარჩუნებით სურდა შეენარჩუნებინა ერთიანი ევროპული სივრცე თავისი გავლენის ქვეშ. მით უფრო, როდესაც თვით ბიზანტიაშიც (ახალ

რომში) VII საუკუნის დამდეგამდე სახელმწიფოში უპირატესი ადგილი ეკავა ლათინურ ენას.

შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე ჩნდება განსხვავება სოციალურ ფენებში ანტიკურ პერიოდთან შედარებით. განსხვავებულია საზოგადოების დიფერენციაციის ფორმები. როგორც მივუთითეთ, ანტიკურობის, ანტიკური ინსტიტუტების ბაზაზე მოხდა ახალი საზოგადოების მშენებლობა. როგორც ნ. ელიასი აღნიშნავს, მშენებლობა მიმდინარეობდა ძველ საძირკველზე. მიუხედავად ამისა, მამოძრავებელი ძალა იყო არა “ძველებისაგან სწავლა”. ეს ახალი ძალა საზოგადოებაში იყო ჩადებული, ავტომატურად მოქმედი მექანიზმებით, იმ პირობებში, როდესაც ხდებოდა ადამიანთა ურთიერთქმედება. აღნიშნოთ მნიშვნელოვანი სტრუქტურული სხვაობები ანტიკურ სამყაროსთან შედარებით. ერთ-ერთი მათგანი არის ის, რომ, განსხვავებით ანტიკური სამყაროსაგან, ახალ საზოგადოებაში არ იყო ტყვეებისა და მონებისაგან შემდგარი უფასო მუშახელი. იქაც კი, სადაც არსებობდა ასეთი სამუშაო ძალა, ის არ იყო მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი. ამ მდგომარეობამ განსხვავებული მიმართულება მისცა დასავლეთის საზოგადოებრივ განვითარებას. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეორე მომენტიც: ანტიკური სამყაროსგან განსხვავებით, დასახლებულ იქნა არა მხოლოდ ზღვებისა და მდინარისპირა ტერიტორიები, არამედ მოხდა მოსახლეობის უფრო ღრმად განსახლება ხმელეთზე. საზოგადოების განვითარების ამ ორმა განმასხვავებელმა ფაქტორმა განსხვავებული ამოცანების წინაშე დააყენა ახალი საზოგადოება და მისი განვითარებაც განსხვავებული გზით წარიმართა.

მონის შრომის გამოყენება არ იძლეოდა ტექნიკის განვითარების საშუალებას. სამუშაო იარაღი შეესაბამებოდა მონის გონებრივი განვითარების შესაძლებლობებს. ამდენად, ასეთ საზოგადოებაში ტექნიკის განვითარების ტემპი ნელი იყო. ნელეულის დამზადება და კაპიტალის შექმნა თანდათანობით



დამოკიდებული ხდებოდა მუშახელის განვითარებაზე, ამდენად, პირდაპირ დაკავშირებული იყო სამხედრო წარმატებებთან, რაც სამუშაო ძალის გაზრდის საშუალებას იძლეოდა. ჯამში ასეთი საზოგადოებაში უფრო მეტია რისკის ფაქტორი და იგი ნაკლებად წარმატებული და პერსპექტიულია, ვიდრე ისეთი საზოგადოება, სადაც იძენენ არა ადამიანებს, სამუშაო ძალას, რომელსაც იძულებით ამუშავებენ მთელი ცხოვრების მანძილზე, არამედ სადაც სამუშაოს ასრულებენ მეტ-ნაკლებად თავისუფალი ადამიანები განსაზღვრული დროის მანძილზე. ამდენად, გასაგები ხდება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის საზოგადოების განვითარებისათვის იმას, რომ ადრეული შუა საუკუნეების დამდეგიდან მონის შრომა გამორიცხული იყო, ან კიდევ მისი როლი სრულიად უმნიშვნელო გახლდათ. მონის შრომის არარსებობა და თავისუფალი შრომის სრულყოფა არის წანამძღვარი დასავლეთის ტექნიკური განვითარებისა და ფულის კაპიტალად ქცევის პროცესისა.

ანტიკურ სამყაროში ეკონომიკის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ხმელთაშუა ზღვას. რომის გავლენა ფართოვდებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ვიდრე მთლიანად არ აითვისეს ეს სივრცე. რაინზე, ღუნაიზე, ევფრატზე შენდებოდა დამცველი ზღუდეები, რათა სხვა ხალხებს არ გაეღწიათ სანაპიროზე. რომის იმპერიისათვის ზღვა წარმოადგენდა ერთდროულად როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ერთიანობის საძირკველს. ბარბაროსები ცდილობდნენ თავიანთი საცხოვრებელი არეალის გაფართოებას. გერმანელები ყოველი მხრიდან ისწრაფოდნენ ხმელთაშუა ზღვისკენ, სადაც აარსებდნენ თავიანთ სამეფოებს. ფრანკებმა ვერ მიაღწიეს სამხრეთით ზღვის სანაპიროებამდე, ისინი უკვე დაკავებული იყო, მაგრამ ისინი ძალით გაღწევას ცდილობდნენ. გადასახლებისა და ბრძოლების ყველა ამ პროცესმა დააზიანა და გაანადგურა კომუნიკაცია ზღვისპირა რეგიონებს შორის. ხმელთაშუა ზღვამ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით

არაბთა შემოსევების შედეგად, დაკარგა თავისი წინანდელი როლი – მაღალი კულტურის ცენტრისა. თუმცა არ შეიძლება მხოლოდ არაბთა შემოსევებს მივაწეროთ ის, რომ ამ დროიდან შეიქმნა პირობები განვითარებისათვის, რომელიც კონცენტრირებული იყო ევროპის კონტინენტის ცენტრში. ასეთ განვითარებას ხელს უწყობდა ევროპის კონტინენტზე ბარბაროსთა შემოტევები, რაც მათ აიძულებდათ ცენტრალურ ნაწილში კონცენტრაციისაკენ, ასევე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კონტინენტზე არსებულმა ცვლილებებმა გამოიწვია აღრინდელი სატრანსპორტო კომუნიკაციების განადგურება. კაროლონგების ხანაში ვრცელი ტერიტორიის ცენტრი პირველად აღმოჩნდა კონტინენტის სიღრმეში. საზოდაგოების წინაშე დადგა ახალი ამოცანები – შიდა კომუნიკაციების განვითარება.

6. ელიასის აზრით, როდესაც დროთა ვითარებაში ეს შიდა კომუნიკაციები მოწესრიგდა, ანტიკურობა ასევე აღმოჩნდა ახალ განსხვავებულ ვითარებაში. კომუნიკაცია ჩაერთო ფორმაციაში, რომელსაც არ იცნობდა ანტიკური სამყარო. აქედან წარმოიშვა მრავალი განსხვავება ინტეგრაციის ფორმებში, რომელიც არსებობდა, ერთის მხრივ, ანტიკურ სამყაროში და, მეორე მხრივ, რაც თანდათანობით ვითარდებოდა დასავლეთში. სახელმწიფოს, ერს – როგორც არ უნდა აღვნიშნოთ ხალხთა ერთობა, გააჩნია თავისი ცენტრი (ან ადმინისტრაციული ცენტრი), რომელიც მდებარეობს სარტანსპორტო არტერიების შიგნით და რომლის ირგვლივ ხდება გაერთიანება. ამდენად, კონტინენტის დიდი ნაწილი დასახლებულია ხალხით და ეს შესაძლებელი აღმოჩნდა სახმელეთო კომუნიკაციების განვითარების გზით, ხოლო კონტინენტურ ქვეყნებში არ იყო გამოყენებული მონათა შრომა. ასეთი განვითარება დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის.

გამოთქმა – “არ არსებობს მიწა სენიორის გარეშე” არ არის მხოლოდ სამართლებრივი ტერმინი, არამედ ის გამოხა-

ტავს სოციალურ მიზანსწრაფვას სამხედრო წოდებისა, რომ დაისაკუთრონ მიწები, რაც ნიშნავს მათ სწრაფვას გაბატონებისაკენ, რადგანაც რაც უფრო დიდ იყო მიწები, რომელსაც მისი პატრონი ფლობდა, შესაბამისად დიდი იყო მისი ძალაუფლებაც. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მიწა, და არა ფული, წარმოადგენდა საკუთრების მთავარ ფორმას. შუა საუკუნეებში პოლიტიკური და ეკონომიკური სწრაფვა პრაქტიკულად შეესატყვისება ერთმანეთს, მიწების შემოერთების სურვილი იდენტურია ძალაუფლების გაფართოების, სუვერენობის ხარისხის უზრუნველყოფის, სამხედრო შესაძლებლობათა განმტკიცების სურვილისა. წარჩინებული, რომელიც არის ყველაზე მდიდარი რეგიონში და ფლობს ყველაზე დიდი რაოდენობით მიწებს, არის აგრეთვე უძლიერესი, რადგანაც შეუძლია გამოიყვანოს ყველაზე დიდი ჯარი თავისი დროშის ქვეშ – იგი ერთდროულად არის სამხედრო ბელადიც და მმართველიც.

უკვე რომის საზოგადოების კრიზისში ჩანს ახალი საზოგადოების აღმოცენების კონტურები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეები.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოების მთავარი მწარმოებელი ძალა არის მიწაზე მომუშავე ადამიანი და, საერთოდ, ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის მთავარ დამახასითებელია მეურნებისა და საზოგადოების სოფელში განვითარება, ამ პერიოდის ლიტერატურაში არ აისახება. ამ პროცესის მთავარი მოქმედი პირები, მათი ცხოვრება. “ისტორიკოსს თითქმის არ გააჩნია მონაცემები, რომელიც მისცემდა საშუალებას, რამდენამდე ახლოს გაეცნოს შუა საუკუნეების დამდეგის უბრალო ხალხის ცხოვრების იდეოლოგიურ ასპექტებს და ახსნას, როგორ აღიქვამდნენ ადგილს საზოგადოებაში თვითონ ისინი და გაბატონებული

კლასები, როგორი იყო ხალხის სოციალური როლის თვითშეფასება”<sup>8</sup>.

ჟ. ლე გოფის აზრით, ამ პერიოდის ნარატიულ წყაროებში არც სხვა ფენის წარმომადგენელი არსებობს. “Dominus საეკლესიო ან საერო, რომელიც სულ მცირე, V საუკუნისათვის გახდა მიწების ძირითადი მესაკუთრე, თითქმის არ ჩნდება ამ სახით ლიტერატურაში”<sup>9</sup>.

ადრეული შუა საუკუნეების ნაშრომებში საზოგადოება ნაჩვენებია არა სოცალური იერარქიის კიბეზე მდგომარეობის მიხედვით, რისი განმსაზღვრელი იქნებოდა მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებთან, არამედ ის იყოფოდა, ძირითადად, ეკლესიის შეხედულების მიხედვით: მართლებად და ცოდვილებად, კეთილებად და ბოროტებად, მართლმორწმუნეებად და უღმერთოებად. ამდენად, ძნელია წარმოვადგინოთ, ახალ საზოგადოებაში, როგორი იყო წარმოდგენა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ჰქმნიდნენ მატერიალურ დოვლათს. ერთი რამ შეიძლება ითქვას, მოგვიანო პერიოდში, VIII საუ-

---

<sup>8</sup> Гуревич А.Я. Средневековый мир. Культура безмолвующего большинства. М., 1990, с. 16.

<sup>9</sup> Ле Гофф Ж. Другое средневековье. Екатеринбург. 2002, с. 76-77. შრომისადმი დამოკიდებულება შუა საუკუნეების საზოგადოებაში ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე იყო წარმოდგენილი, როგორც შრომა მხოლოდ ფიზიკური არსებობისათვის. შუა საუკუნეებში უფრო მნიშვნელოვანი იყო მჭკრეტელობითი აზროვნება, რომლის მიხედვითაც, “ნუ ზრუნავთ და იტყვიოთ: რაი ვჭამოთ, ანუ რაი ვსუთანუ რაი შევიძოსოთ? რამეთუ ამას ყოველნი წარმართნი ეძიებენ: რამეთუ იცის მამამან თქვენმან ზეცათამან, რაი გიხმს ამათ ყოველთაგანი. ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ. ნუ ჰზრუნავთ ზვალისათვის, რამეთუ ზვალემან იზრუნოს თავისა თვისისა. კმა არს ღლისა მის სიბოროტე თვისი” (მათე 6, 31-34). ან კიდევ “ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან” (მათე 6, 21); “უადვილეს არს აქლემი განსვლად ხურელისა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველთა ცათასა” (მათე 19, 24). Èḁ Āiōn

კუნის ძეგლებში, ისინი ხასიათდებიან, როგორც უგვანო ან ურწმონო მასა, როგორც წარმართები და ცოლვილნი (pagani, servus peccati, pagani rustici)<sup>10</sup>



*გლეხი მუშაობის დროს მონატურა*

რადგანაც ჩვენს მიზანს ამჯერად არ წარმოადგენს შუა საუკუნეების საზოგადოების ფენებად დაყოფის კვლევა და ძირითადად შევეხებით კულტურულ ასპექტებს, ამდენად გადმოვცემთ, თუ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ დაბალი ფენები ქრისტიანული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით. ამ საკითხისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია იმანაც, რომ გვსურდა გვეთქვა: ადრე შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპა, ძირითადად, წარმოადგენდა სოფლის საზოგადოებას.

<sup>10</sup> გერმანელი ისტორიკოსის ფ. გრაუს დაკვირვებით, დასავლეთის ეკლესიაში, მხოლოდ XIII საუკუნეში მოახდინეს პირველად გლეხის, როგორც წმინდანის კანონიზაცია – Graus F. Volk, Herscher und Heiliger im Reich der Merovinger. - Studien zur Hagiographie der Merovingerzeit. Prague, 1965.

ბარბაროსების შემოსევებმა დააჩქარა ძველი საზოგადოების ნგრევა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ისტორიის პროცესების განვითარებაში. ხალხთა დიდ გადასახლებადად წოდებულმა მოვლენამ IV–VI საუკუნეებში შეცვალა მსოფლიო რუკა. როგორც უ. ლე გოფი აღნიშნავს, “ეს იყო გაქცევა წინ. დამპყრობლები იყვნენ ლტოლვილები, რომლებიც დევნიდნენ სხვებს თავიანთი ადრე დაკავებული ტერიტორიებიდან”, ანუ, წმინდა ამბროსი მედიოლანელის სიტყვებით: “ჰუნები დაესხნენ ალანებს, ალანები – გოთებს, გოთები სარმატებს; გოთებმა, დევნილებმა თავიანთი სამშობლოდან, წაგვართვეს ჩვენ ილირია. და ეს არ არის დასასრული”<sup>11</sup>. ხალხთა გადასახლების პროცესმა შეცვალა ევროპის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ამ მოვლენამ გამოიწვია აგრეთვე დემოგრაფიული ცვლილებები. გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც გახდა საფუძველი რიგი ახალი თვისობრივი ცვლილებებისა ევროპის კონტინენტზე. ცნობილი იტალიელი მკვლევარი ფრანკო კარდინი მიიჩნევს, რომ ევროპის შუა საუკუნეები “წარმოიშვა იმის შედეგად, რასაც დღეს მიღებულია ვუწოდოთ ხალხთა დიდი გადასახლება”. ასევე საინტერესოა მისი მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ რომის დამარცხებამ ბარბაროსებთან ბრძოლაში ადრინაოპოლთან 378 წელს დააფიქრა დასავლეთი. ამ ომში ბარბაროსების გამარჯვება განაპირობა კავალერიის უპირატესობამ რომის რეგულარულ არმიაზე. აქედან იწყება, მისი აზრით, დასავლეთის ინტერესები მხედრული ცხოვრებისადმი. საერთოდაც, ბარბაროსების მოსვლა მას რაინდობის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად მიაჩნია.<sup>12</sup>

<sup>11</sup> Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада, СПб., 2005.

<sup>12</sup> Кардини Ф. Истоки средневекового рыцарства, М. 1987

# დასავლურ და აღმოსავლეთ ევროპულ ცივილიზაციათა განსხვავებული წანამკვრები

ანტიკურობიდან შუა საუკუნეებში გადასვლა იყო დაპირისპირება წარმართულ კულტურასა და ქრისტიანობას შორის. ეს ეტაპი ხანგრძლივი იყო და რამდენიმე საუკუნე მიმდინარეობდა, რაც დამთავრდა ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვებით.

ჟ. ლე გოფის მხატვრული გამოთქმით, შუა საუკუნეების ავტორები ანტიკურობას ეპყრობოდნენ ისევე, როგორც ებრაელები ძველი აღთქმის მეორე რჯულის წიგნის მიხედვით ექცევიან ტყვეებს. ისინი ტყვე ქალებს თავს გადაპარსავდნენ, ფრჩხილებს დააჭრიდნენ, ახალ ტანსაცმელში გამოაწყობდნენ და მხოლოდ შემდეგ ქორწინდებოდნენ მათზე.

თავდაპირველად, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, პირველი ქრისტიანი ფილოსოფოსები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ანტიკური ფილოსოფიისა და ლიტერატურის მიღწევანი, ამდენად, მათ შემოქმედებაში დიდი იყო პლატონის გავლენა. ბიზანტიაში ანტიკური ფილოსოფია, ქრისტიანული ღვთისმეტყველების გაბატონების თავდაპირველ ეტაპზე მაინც, ინარჩუნებდა თავის პოზიციას. ბიზანტიელმა ღვთისმეტყველებმა შეისწავლეს და შეინარჩუნეს ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება, რასაკვირველია, მისი შეხამებით ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასთან. თვით ისეთი დიდი საეკლესიო მოღვაწეების შემოქმედებაში, როგორებიც არიან “კაპადოკიელი მამები” – ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნეოპლატონურ ფილოსოფიას. ახალი იდეების გადმოცემისას ისინი ქრისტიანულ იდეოლოგიას შესანიშნავად უხამებენ ანტიკური რიტორიკის ფორმებს. ამ მხრივ საინტერესოა ბასილი კესარიელის 22 ჰომი-

ლია “იმის შესახებ, როგორ უნდა მიიღონ ახალგაზრდა ჭაბუკებმა სასარგებლო ანტიკური წიგნებიდან”. ამ ჰომილიებში შეკრებილი მასალის მსგავსება პლუტარქეს ტრაქტატთან “როგორ უნდა მოისმინონ ახალგაზრდებმა პოეტური ნაწარმოებები” არაერთხელ ყოფილა მკვლევართა ყურადღების ობიექტი. ბასილი კესარიელი ეხება კლასიკური ლიტერატურის თითქმის ყველა სახეს: პოეზიას, ფილოსოფიურ ნაწარმოებებს, ისტორიულ მწერლობას. ლ. ფრაიბერგის განმარტებით, ჰომილიების მთავარ დასკვნა არის ის, რომ: ანტიკური ცხოვრებისეული ფილოსოფია არის მხოლოდ აჩრდილი ჭეშმარიტი მოძღვრებისა სათნოების შესახებ. ბასილი დიდის ჰომილიები არის მცდელობა წარმართული კლასიკის რეაბილიტაციისა აღორძინებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე<sup>13</sup>. ქრისტიანული დოგმატიკის თავისებურ სინთეზს ნეოპლატონურ ფილოსოფიასთან წარმოადგენს ფსევდო დიონისე არიოპაგელის შეხედულებანი. ქრისტიანული იდეოლოგიის გამარჯვების შემდეგ ანტიკური ცოდნა და წარმოდგენები ქრისტიან ავტორებს თანდათან მოჰყავთ შესაბამისობაში საღვთო გადმოცემასთან. დაპირისპირება ამ ორ მოძღვრებას შორის ნათლად ვლინდება ადრეულ შუა საუკუნეებში წარმოშობილ ერესებსა და ქრისტოლოგიურ დავებში. ხშირად მწვალებლურ მოძღვრებათა საფუძველი იყო ანტიკური, წარმართული წარმოდგენები. ქრისტოლოგიურ დავებში აშკარაა ანტიკური ფილოსოფიის გავლენა. თვით ქრისტიანობის მხნე დამცველები, ახალი ღვთისმეტყველები ახლად აღმოცენებული ერესების — არიანელობის, ნესტორიანელობის და მონოფიზიტობის წინააღმდეგ, გარდა საღვთო წერილებისა, იყენებდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნააზრევს.

დასავლეთ ევროპულ ნაწილშიც, სადაც ნაკლებად იყო ანტიკური კულტურის გავლენა, მაგრამ მათ ჰქონდათ ძველი

<sup>13</sup> Фрейберг Л.А. Античное литературное наследие в византийскую эпоху. — Античность и Византия, М. 1975, с. 13



ტრადიციები წარმართული რელიგიების სახით, ქრისტიანობა ხშირად იჩენს ფრთხილ დამოკიდებულებას ძველ ტრადიციებთან. ამის მაგალითად მიგვაჩნია გრიგოლ I-ის წერილი, რომელსაც იგი უგზავნის კენტერბერის არქიეპისკოპოსს და მოუწოდებს მას, არ დაანგრიოს წარმართული ტაძრები, არამედ წმინდა წყლით განათლოს და გამოიყენოს ქრისტიანების სალოცავად.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ევროპული შუა საუკუნეების გენეზისის განხილვისას, ძირითადად, საუბარი უნდა გვქონდეს ერთიან ევროპულ სივრცეზე, ვინაიდან მისი თავდაპირველი ეტაპი ერთიანია. ე. წ. განსხვავებული დასავლეთ ევროპული შუა საუკუნეები, ჩვენი აზრით, წარმოიშობა კარლოს დიდის ხანიდან, რადგანაც ის, რაც მნიშვნელოვანია, კარლოს დიდის იმპერატორად დასახელებამდე, ყალიბდება ერთიანი რომის იმპერიის სივრცეში, ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის რომს, დასავლეთის ისტორიკოსები მოიხსენიებენ, როგორც ბიზანტიურ, აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროდ, ჩვენი აზრით მათ მიერ დასახელებული ფაქტები არ არის დამაჯერებელი იმისათვის, რომ შუა საუკუნეების დამდეგს ვისაუბროთ რაიმე განსხვავებულ მსოფლმხედველობაზე ევროპაში, და არა ერთიან ქრისტიანულ სამყაროზე ცენტრით რომში. ადრეულ შუა საუკუნეებში კი ქრისტიანული რომის პილიტიკურ ცენტრს კონსტანტინოპოლი წარმოადგენდა.

უმეტესი ავტორებისა, როდესაც საუბრობენ განმასხვავებელ ნიშნებზე, დასავლეთის შუა საუკუნეების აზროვნების წარმომადგენლებად ასახელებენ ადრეული შუა საუკუნეების რამდენიმე მნიშვნელოვან ფიგურას (ნეტარი ავგუსტინე, წმ. იერონიმე, ბოეციუსი, კასიოდორი...), თუმცა თვითონ ისინი, თავს არ მიიჩნევენ გაუცხოებულად ქრისტიანული რომის იმპერიის სივრციდან, პირიქით, ძირითადად მაინც ორიენტირებული იყვნენ ე. წ. აღმოსავლურ ქრისტიანობაზე. ამ მხრივ

დასავლეთში მოღვაწე სხვა მამათა შორის ერთერთი საინტერესოა წმ. ირინეოს ლიონელის ბიოგრაფია, რომელიც დაიბადა 140 წელს და გარდაიცვალა III საუკუნის დამდეგს. როგორც ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი მ. პოსნოვი წერს, “წარმოშობით და აღზრდით იგი მიეკუთვნებოდა აღმოსავლეთს – იყო პოლიკარპე სმირნელის მოწაფე, ხოლო მოღვაწეობით – დასავლეთს, სადაც ის, შესაძლებელია, გააგზავნა მცირე აზიის ეკლესიამ, რომელიც განსაკუთრებულ ახლო დამოკიდებულებაში იყო გალიის ეკლესიასთან<sup>14</sup>. ასევე არ იქნება ინტერესმოკლებული, თუ ევროპის ერთიან სივრცედ არსებობის დასადასტურებლად დავასახელებთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის წარმოშობის ხანაში იმპერატორ იუსტინიანეს მიერ VI საუკუნეში რომის იმპერიის ერთიანობის აღდგენას, მის გაერთიენებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში. 532 წლის ზავით აღმოსავლეთის პროვინციების, მათ შორის საქართველოს შენარჩუნებით, ხოლო დასავლეთში 534 წელს გამარჯვებით ვანდალებზე, 553 წელს გამარჯვებით ოსტგოთებზე და ბრძოლებით ვესტგოთებთან იმპერიამ თავისი გავლენა გააფართოვა წითელი ზღვიდან ატლანტიკის ოკეანემდე და შექმნა ერთიანი იმპერია ერთიანი ქრისტიანული სარწმუნეობით. ბიზანტიისაგან იღებენ კურთხევის წესებს დასავლეთში, უნდა ითქვას, რომ ისინი აღიარებდნენ რომის (ბიზანტიის) იმპერატორების უზენაესობას. გრიგორი ტურელის გადმოცემით, რომის იმპერატორმა ანასტასიუსმა ხლოდვიგს კონსულის წოდება უბოძა. ტურში, წმინდა მარტინის ბაზილიკაში ხლოდვიგი შეიმოსა პორფირით და დაიდგა თავზე გვირგვინი, შემდეგ გარეთ გამოსული ცხენზე ამხედრდა, იქ შეკრებილ ხალხს ოქრო და კერცხლი დაურიგა და გაემართა პარიზისაკენ. *De patriciato Chlodoveci regis - Igitur ab Anastasio imperatore codecillos consolato accepit, et in basilica beati Martini tunica blattea et clamide, inponens vertice*

<sup>14</sup> Поснов. М. История христианской церкви, Брюссель, 1964, с. 176.

diademam. Tunc ascenso equite, aurem argentumque in itinera illo, quod inter portam atrii et ecclesiam est, praesentibus populis manu propria spargens, voluntate benignissima erogavit, et ab ea die tumquam consul aut augustus est vocitatus. Egressus autem a Turanus Parisius venit ibique cathedram regni consituit. Jbi et Teodoricus ad eum venit<sup>15</sup>.

ეს ადგილი გრიგორი ტურელის ნაწარმოებიდან ადასტურებს ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ადრე შუა საუკუნეებში ევროპის ერთიან სივრცედ წარმოდგენის შესახებ. მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა რომის (ბიზანტიის) იმპერატორთან ოსტგოთების მეფეს, ამაღების გვარის წარმომადგენელს თეოდორიხს. იმპერატორმა ზენონმა მას უბოძა პატრიციუსის ტიტული და მოიხსენიებდა, როგორც შვილს და მეგობარს, დანიშნა უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე – *Magister militum praesentalis*<sup>16</sup>. ბურგუნდიის მეფეებიც ატარებდნენ პატრიციუსის წოდებას. 516 წელს ბურგუნდიის ტახტზე ახლად დამკვიდრებული მეფე სიგიზმუნდი, რომელიც გუნდობადის მემკვიდრე იყო, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მის სამეფოს ჰქონდა ფედერაციული სამეფოს სტატუსი. გოთების ისტორიის თანამედროვე მკვლევარი ჰ. ვოლფრამი წერს, რომ “ბურგუნდიის მეფეები ადრეც და ახლაც თავს გრძნობდნენ, როგორც იმპერატორის ჯარისკაცები”<sup>17</sup>.


ბიზანტიურ ქრონოგრაფიაში იოანე მალალასთან საინტერესო ცნობაა დაცული აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰუნების მიერ ბიზანტიის იმპერატორის ძალაუფლების აღიარებისა და გაქრისტიანების შესახებ. ასეთსავე ცნობას ვხვდებით იგივე ნაწარმოებში ჰერულების ტომის მე-

<sup>15</sup> Gregorius Turenensis, *Historia Francorum*, L. II, 38.

<sup>16</sup> Пфайлышинфтер Г Теодорих Великий, СПб., 2004, с.54.

<sup>17</sup> Wolfram H. *Die Goten. Von den Anfängen bis zur Mitte des sechsten Jahrhunderts. Entwurf einer historischen Ethnographie*. München, 1990, s.447.

თაურის გრეკის გამოცხადებისა იუსტინიანე დიდთან და მისი გაქრისტიანების შესახებ<sup>18</sup>




აჲ სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში

<sup>18</sup> “527 წელს ჰუნების მეთაური (რომელთა ქვეყანა მდებარეობს ბოსფორთან ახლოს ბ. ჯ.), სახელად გროდი ასევე გამოცხადდა იმპერატორთან. ის წამოვიდა კონსტანტინოპოლში. იმპერატორი გახდა მისი ნათლია, მისცა მას უამრავი საჩუქარი და გააგზავნა უკან თავის ქვეყანაში, რომის საზღვრების დასაცავად” Joannis Malalae Chronographia – Corpus Scriptorum Historie Byzantinae, Bonnae, 1829, p.431;

“ჰერულების მეთაური, სახელად გრეკი შვეიდა რომეების ტერიტორიაზე და წავიდა კონსტანტინოპოლში თავისი რაზმით. მან თავყანისცა იმპერატორს და სთხოვა გაქრისტიანება. ის მოინათლა... იმპერატორი თვითონ იყო მისი ნათლია. მასთან ერთად მოინათლნენ მისი სენატორები და თორმეტი მისი ნათესავი. დაასანუქრა რა, იმპერატორმა უამრავი საჩუქრით იგი, გააგზავნა უკან” - Joannis Malalae Chronographia – Corpus Scriptorum Historie Byzantinae, Bonnae, 1829, p.427-428.- Иванов С.Ф. Византийское миссионерство, М., 2003, с.88

საერთოდაც, იმ საზოგადოების ელემენტები, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ შუა საუკუნეების ცივილიზაციას, მეტნაკლებად სრულყოფილი ხდება XI საუკუნეში, ამ პერიოდში კი ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ განსხვავება დასავლეთ ევროპულ და აღმოსავლურ შუა საუკუნეებს შორის. დასავლური ლათინური შუა საუკუნეები ამ ეპოქაში უკვე დამოუკიდებელი ხდება, რაც გაფორმდა 1054 წელს განხეთქილებით ქრისტიანულ ეკლესიაში, ჩამოყალიბდა კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიები. დასავლეთი გახდა ლათინური სამყარო, ანუ, როგორც მას უწოდებენ, Pax Romana, აღმოსავლეთი კი Pax Orthodoxa, რომელშიც შედიოდა ბიზანტიური, სლავური და ქართული სივრცე. დასავლურ ისტორიოგრაფიაში, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ფუძემდებლებად ძირითადად ასახელებენ შემდეგ მოღვაწეებს: ბოეციუსს (480-524), კასიოდორს (480-573), ისიდორე სევილიელს (560-636) და ბელა პატივდებულს (673-735). მათი აზრით, მათი განსაკუთრებული როლი გამოიხატება იმაში, რომ შეინარჩუნეს ანტიკური კულტურის საწყისები, მისცეს რა მას შუა საუკუნეებისათვის მისაღები ფორმა და ქრისტიანული ხასიათი. ადრეული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის საწყისებზე საუბარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ფართო მნიშვნელობას მივცემთ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე არსებულ ბარბაროსული სახელმწიფოების კულტურას. მართალია, მათ აქვთ თვითმყოფადობის გარკვეული ნიშნები, რაც გამოიხატება ბარბაროსთა წეს-ჩვეულებათა თავისებურებებსა და მათ რელიგიურ წარმოდგენებში, მაგრამ ამას ვერ ჩავთვლით შუა საუკუნეების კულტურად, რადგანაც ის მაინც იქიდან იწყება, როდესაც ამ ხალხებში ხდება ქრისტიანობის აღიარება და ფართოდ გავრცელება, როგორც სახელმწიფო რელიგიებისა. ეს ე. წ. ბარბაროსული კულტურა ჩვენ მიგვაჩნია დასავლეთის კულტურის

წანამძღვრად, რომელმაც თავისებური გავლენა იქონია მის ფორმირებაზე. ხოლო, რაც შეეხება ადრექრისტიანულ კულტურას დასავლეთ ევროპაში, აქ უდავოდ დიდია აღმოსავლურად დასახელებული ქრისტიანული კულტურის გავლენა და ის საერთო ევროპული კულტურის თითქმის განუყოფელი ნაწილია. მაგალითად, ლერინის მონასტრის დაარსებაში და მის განვითარებაში დიდი როლი ეკუთვნით აღმოსავლეთიდან ჩამოსულ წმინდა მამებს.



*ქ. ტრირი. II საუკუნეში აშენებული ქალაქის კიშკარი*

ალექსანდრიის პატრიარქი წმინდა ათანასე ანტონი დიდის ცხოვრებას წერს ტრირში, სადაც ის გადაასახლეს 335 წლიდან. ნეტარი ავგუსტინე თავის “აღსარებანში” პირველად უთითებს ათანასე ალექსანდრიელის ამ ნაშრომს ანტონი დიდის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ ნაშრომით ხელმძღვანე-

ლობდნენ ტრირში დასახლებული ღარიბი სულები (pauperes spiritu). როგორც პროფ. ნ. უსკოვი მიანიშნებს, ამ პერიოდში, 357 თუ 382 წლებში, “ნახევრადბარბაროსულ რაინის სანაპიროზე”, მიიღო პირველი ასკეტური გამოცდილება წმინდა იერონიმემ; IV საუკუნის 70-იან წლებში ტრირში ორჯერ ჩავიდა მარტინ ტურელი და, სავარაუდოა, აქ დააარსა თავისი მონასტერი თუ ეკლესია<sup>19</sup>. დასავლეთევროპული ცივილიზაციის სათავეებთან შეიძლება დავასახელოთ მეროვინგების ფრანკთა ისტორიის მემატთანე გრიგორი ტურელი, ასევე ანგლოსაქსების პირველი ქრისტიანი მემატთანეები. მაგრამ ამ მწერლობის ხასიათი და ძირითადი დებულებები ისევე არ განსხვავდება რომის (ბიზანტიის) სივრცეში შექმნილი მისი თანამედროვე ნაშრომების ხასიათისაგან, როგორც არ შეგვიძლია ადრექრისტიანულ ხანაში რომის პაპების მოღვაწეობა ჩათვალოთ იდეურად განსხვავებულად ბიზანტიის იმპერატორების მიზნებისა და ამოცანებისაგან.



*იუსტინიანე. მოზაიკა რავენის სან-ვიტალის ტაძრიდან*

<sup>19</sup> Усков Н.Ф. Христианство и монашество в Западной Европе раннего средневековья, СПб, 2001, с.73.

ასეთი სახის ზოგადი განმასხვავებელი ნიშნები შუა საუკუნეებისა და ანტიკურ ცივილიზაციას შორის შეიძლება უფრო და უფრო დავაკონკრეტოთ, ასევე განმასხვავებელი თავისებურებანი ე. წ. დასავლურ ევროპულ და აღმოსავლეთ ევროპულ შუა საუკუნეებს შორის. მაგრამ ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია, მეტნაკლებად განვსაზღვროთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის წინამძღვრები, ანუ ის წინარე კულტურა და კულტურულ ფენომენტთა ერთობა, რომლის საფუძველზე და რომლის ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ცივილიზაცია. მარტივად, ეს არის ქრისტიანობა და ანტიკურობა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ადრეული შუა საუკუნეების ეტაპზე, ანუ როდესაც რომი გაქრისტიანდა, ის მოიცავდა მთელ ევროპულ სივრცეს და განსხვავებული ტემპებით ვითარდებოდა ამ კონტინენტზე და მის საზღვრებს გარეთ, უფრო ზუსტად, რომაულ სივრცეში, კიდევ უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ ელინისტურ სამყაროში. როგორც ალ. შემემანი აღნიშნავს, ქრისტიანობა თავდაპირველად ვრცელდებოდა იუდეველებში და, ძირითადად, ელინისტურ ქვეყნებში<sup>20</sup>.

ამ ზოგად საფუძველებს, რომელზედაც აღმოცენდა შუა საუკუნეები, შეიძლება დავამატოთ კიდევ სხვა კულტურული ელემენტები. ისინი განსხვავებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპისათვის, რამაც, თავისთავად, განაპირობა დასავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის განსხვავებული განვითარება. დასავლეთ ევროპული ცივილიზაციისათვის მნიშვნელოვანია ახალი ხალხები, რომლთა აქტიურად ჩართვამ მსოფლიო ისტორიულ პროცესში განსხვავებული სახე მისცა საერთოდ ევროპას და, რასაკვირველია, შუა საუკუნეებს. ეს არის ევ-

---

<sup>20</sup> Шмеман А. Исторический путь православия. М.2003.



როპის უძველესი მოსახლეობა – კელტები და, განსაკუთრებით, ძველი გერმანელები.

ევროპული კულტურის გენეზისის საკითხებზე დაწერილ ნაშრომებში, ძირითადად, დავის საგანი ხდებოდა ამ კულტურის საფუძვლები. არც ერთი ავტორი არ უარყოფდა ანტიკურობას, თუმცა გერმანული საფუძვლები სადავოდ იქცეოდა (რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს ამ ავტორთა ნაციონალური მიკუთვნებულობა და სხვა სოციალური ფენომენიც განაპირობებდა). ერთერთი საფუძვლიანი გამოკვლევა ამ მიმართულებით ეკუთვნის ავსტრიელ ისტორიკოსს ალფონს დოპსს, რომელმაც თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში “ევროპული კულტურის განვითარების სამეურნეო და სოციალური საფუძვლები<sup>21</sup>” ევროპული კულტურის წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა როგორც რომის მემკვიდრეობას, ასევე ძველ გერმანელებს – ახალ ხალხს, რომელთა თვითმყოფადმა ხასიათმა და კულტურამ გარკვეული წვლილი შეიტანა ევროპულ კულტურაში და, მაშასადამე, შუა საუკუნეების ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ა. დოპსის კონცეპციის საყრდენი იყო ანტიკურობიდან შუა საუკუნეებში გადასვლის კონტინუიტეტის თეორია. განსხვავებით სხვა ისტორიკოსებისაგან, ა. დოპსი უარყოფდა ანტიკურობისა და შუა საუკუნეების დაპირისპირების, ანუ კატასტროფის თეორიას. იგი ჰუმანისტებისა და ფრანგი განმანათლებლების ანტიგერმანულ განწყობილებას მიაწერდა თვალსაზრისს ბარბაროსი გერმანელების მიერ რომის დანგრევის შესახებ. მისი აზრით, გერმანელებმა კი არ გაანადგურეს ანტიკური მემკვიდრეობა, არამედ გახდნენ მისი დამცველები და გადაამუშავეს ახალი პირობების შესაბამისად.

---

<sup>21</sup> Dopsch A. Wirtschaftliche und soziale Grundlagen der europäischen Kulturentwicklung aus der Zeit von Caesar bis auf den Karl den Grossen T.I-II, Wien 1918-1924.

რაც შეეხება აღმოსავლურ ქრისტიანულად წოდებულ ბიზანტიურ ცივილიზაციას, მისი განმასხვავებელი საფუძველი, რომელმაც მოგვიანებით მისი განვითარების განსხვავებული გზა განაპირობა, იყო აღმოსავლური კულტურა – ელინიზებული აღმოსავლეთი და, აგრეთვე, რომის მმართველობის სისტემა. საწყის ეტაპზე დასავლეთს არ გააჩნდა ისეთი მთლიანობით ძველი კულტურული ტრადიციები, რაც იყო ბიზანტიური კულტურის ძალაცა და სისუსტეც. ანტიკურ მწერალთა გენიალურობა, მასთან შეწონვის აუცილებლობა არ აძლევდა ბიზანტიას ფანტაზიის გაშლის თავისუფლებას. ბიზანტია თავის თავზე იღებს ძველი რომის მისიას, კონსტანტინოპოლი გამოცხადდა ახალ რომად. ახალი რომის თეორია იყო მსოფლიო იმპერიის პოლიტიკური კონცეფციის ძირითადი ელემენტი, რომლის მიხედვითაც ბიზანტია იყო მართლმადიდებელი ქრისტიანობის ცენტრი, კონსტანტინოპოლი კი – ქრისტიანთა დედაქალაქი. ცნობილი ბიზანტინისტი გ. ოსტროგორსკი წერს: “რომაული სახელმწიფოს არსი, ბერძნული კულტურა და ქრისტიანული სარწმუნეობა არის ძირითადი წყარო ბიზანტიური განვითარებისა. ელინისტური კულტურისა და ქრისტიანული რელიგიის სინთეზმა რომის სახელმწიფოს ფორმასთან განაპირობა ისტორიული წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ ბიზანტიის იმპერიას ვუწოდებთ”<sup>22</sup>. ბიზანტია, როგორც რომის იმპერიის მემკვიდრე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმპერატორის კულტს. ბიზანტიაში ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და იმპერატორის ხელისუფლების ერთიანი ქრისტიანული კონცეფცია, რომელსაც საფუძვლად ედო ავტოკრატიორის (თვითმპყრობელი) კულტი. იმპერატორი იყო ღვთის რჩეული. ღმერთი არის პანტოკრატორი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც ზეციურ და მიწიერ არსებებს აწესრიგებს, ხოლო იმპერატორი არის კოსმოკრა-

<sup>22</sup> Ostrogorsky G. Geschichte des Byzantinischen Staate Munchen, 1952, S.22.

ტორი – მიწიერი, ხილული სამყაროს მეთაური. ბიზანტიის იმპერატორი არ არის მხოლოდ რომის არმიის მხედართმთავარი და უმაღლესი მსაჯული, კანონების ერთადერთი გამომცემელი, არამედ ის არის აგრეთვე მფარველი ეკლესიის და ჭეშმარიტი სარწმუნეობისა. ის არის ღვთისგან ბოძებული ქრისტიანული იმპერიის ცოცხალი სიმბოლო. ბიზანტია, რომეების იმპერია არის არა მხოლოდ რომეების, არამედ ყოველთა ქრისტიანთა სახელმწიფო. როგორც ცნობილი ღვთისმეტყველი ა. შმემანი აღნიშნავს, კონსტანტინეს ხანაში დასრულდა რომის იმპერიის ის ევოლუცია, რომელიც დაიწყო მისი ელინისტურ აღმოსავლეთთან შეხებისთანავე: ეს იყო რომის პრინციპატის თანდათანობით გადაზრდა თეოკრატიულ მონარქიაში, სადაც იმპერატორი ხდება დამაკავშირებელი რგოლი ღმერთსა და სამყაროს შორის, ხოლო სახელმწიფო – ზეციური კანონების მიწიერი განსახიერება<sup>23</sup>. ეს პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ღმერთი-იმპერატორის, ანუ ანტიკურ სამყაროში, როდესაც ავრელიუსმა შექმნა დაუმარცხებელი მზის კულტი, ღვთის ნებით იმპერატორად გარდაქმნის პროცესი. იმპერატორი იგივეა სამყაროში, რაც მზე ზეცაში და ამდენად იმპერატორი არის მისი წარმომადგენელი დედამიწაზე. ქვემოთ გვინდა შევჩერდეთ საკითხზე, თუ როგორ ყალიბდებოდა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში იმპერატორის კულტი, როგორც ღვთის ნებით იმპერატორისა.

---

<sup>23</sup> Шмеман А. Исторический путь православия М.2003, гл. 92.

### სახელმწიფო ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლების აღმოცენება (ეკლესია და სახელმწიფო)

#### ღმერთი იმპერატორიდან ღვთის ნებით იმპერატორამდე

სახელმწიფოსთან დამოკიდებულების საკითხი ეკლესიისათვის, მისი დასაბამიდან, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ქრისტეშობიდან დღემდე ეს საკითხი თავისებურად წყდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა დროის მონაკვეთში და დღესაც საკმაოდ აქტუალურია. ამ საკითხის შესასწავლად ფრიად საყურადღებოა პირველი წლები ქრისტიანობის გავრცელებიდან.

ქრისტიანობა იშვა რომის იმპერიაში, ამდენად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომის სახელმწიფოს დამოკიდებულება ქრისტიანული მოძღვრებისა და ქრისტიანული ეკლესიის მიმართ: როგორ გახდა ქრისტიანობის მღევნელი იმპერატორი IV საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიის დამცველი, როგორ აღიარეს დევნილმა ქრისტიანებმა იმპერატორის ინსტიტუტი, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე სასტიკად დევნიდა მათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ ყალიბდებოდა ამ ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის თანაარსებობა.

წარმართულ საზოგადოებაში თავდაპირველად მეფისა და იმპერატორის კულტი არსებობდა. ის იყო როგორც მმართველი, ასევე ქურუმი (Pontifex Maximus), მოგვიანებით რომის იმპერატორები თავს ღმერთებად აცხადებდნენ. თვით სენატის დადგენილებებით დასტურდებოდა იმპერატორთა ღვთაებრიობა. აურელიანეს მიერ თავის გამოცხადება მზის ღმერთად და

უკანასკნელი წარმართი იმპერატორის დიოკლეტიანეს მიერ იუპიტერის ღირსების მიკუთვნება ამის მაგალითია. ღომიციანეს, როგორც მისი თანამედროვენი წერენ, სურდა გამხდარიყო ბატონი და ღმერთი (Dominus et Deus) და თავს ქრისტეს კონკურენტად წარმოიდგენდა.

დევნილი ქრისტიანების წარმოდგენებშიც უარყოფითი იყო დამოკიდებულება იმპერატორის ხელისუფლების მიმართ. ასეთი დამოკიდებულების ნიმუშს წარმოადგენს იპოლიტე რომაელის გამონათქვამები, რომელიც იმპერატორის ხელისუფლებას ეშმაკისეულად მიიჩნევს<sup>24</sup>. ასეთი განწყობილება განაპირობა რომის იმპერატორების სამსაუკუნოვანმა სისასტიკემ ქრიტიანობის მიმართ.

რომის იმპერატორებისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულება მთლიანად იცვლება კონსტანტინე დიდის იმპერატორობის დროიდან (306–337), როდესაც შეწყდა ქრისტიანთა დევნა და დაიწყო ქრისტიანული სახელმწიფოს მშენებლობა.

ქრისტიანი ეპისკოპოსის ვესევი კესარიელის მიერ დაწერილ კონსტანტინე დიდის ბიოგრაფიაში პირველად ჩნდება მითითება იმის შესახებ, რომ იმპერატორი კონსტანტინე არის ღვთისგან არჩეული და კურთხეული.

ქრისტიანულ სარწმუნეობაში საერო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება სახარებისეულ ტექსტებშივეა გამჟღავნებული, რაც, ალბათ, გახდა საფუძველი საიმპერატორო ხელისუფლებისადმი ვესევი კესარიელისეული აზრის ჩამოყალიბებისათვის. კონსტანტინე დიდის მოღვაწეობა არ არის მხოლოდ იმპერატორის საერო ხელისუფლების წარმატება საგარეო და ეკონომიკური აღმშენებლობის საქმეში, არამედ სწორედაც მისი იმპერატორობის უამს ჩაეყარა საფუძველი ეკლესიისა და სახელმწიფოს რეალურ თანაარსებობას და ამავე ეპოქაში შემუშავდა ამ თანაარსებობის თეოლოგიური საფუძ-

---

<sup>24</sup> Rahner H. Kirche und Staat im fruherem CHristentum, Documente aus acht Jahrhunderten und ihre Deutung, Munchen 1961, s.25.

ვლები; კონსტანტინე დიდის დროს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც შეიმუშავეს ერთიანი მრწამსი; კონსტანტინე დიდისა და დედამისის, წმინდა ელენე დედოფლის სახელს უკავშირდება იერუსალიმის აღორძინება, მაცხოვრის საფლავისა და იმ ჯვრის აღმოჩენა, რომელზედაც ევნო მაცხოვარი; წმინდა ელენემ მრავალი სიწმინდე ჩამოიტანა რომის ახალ დედაქალაქში, რომელთა შორის იყო ძელი ჭეშმარიტებისას ნაწილები, სამჭვალისი ამ ძელიდან და მაცხოვრის ეკლის გვირგვინი.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე დიდის სახელთან არის დაკავშირებული ასევე მრავალი გადმოცემა მისი ღვთის რჩეულობის დამადასტურებელი. სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ძირები მაინც უფრო ადრე უნდა ვეძებოთ ბიბლიაში, როგორც ახალი აღთქმის, ასევე ძველი აღთქმის წიგნებსა და წერილებში.

საერო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის განსაზღვრება გადმოცემულია პავლე მოციქულის წერილში რომაელთა მიმართ: “დაე, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმრთისაგან: დიახ, ყოველი ხელმწიფება ღვთის მირ დადგენილია” (13, 1). ახალ აღთქმაში წარმოდგენილია ფორმულა, რომ ყოველი ხელისუფლება არის ღვთისაგან მოცემული და განწესრიგებული. პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეშიც დადასტურებულია სამეფო ხელისუფლებისადმი მართლმადიდებლური თეოლოგიის დამოკიდებულება: “პატივი ეცით ყველას; გიყვარდეთ ძმობა; გეშინოდეთ ღმერთის; პატივი მიაგეთ მეფეს” (24, 21). “და უთხრა მათ: მაშ, მიაგეთ კისარსა კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმერთისა” (ლუკა 20, 25), (მარკოზი 12, 17), (მათე 22, 21). ასევე იესოს სიტყვები სახარებიდან, რომლითაც მან მიმართა პილატეს, გამოხატავს ქრისტიანობის დამოკიდებულებას სამეფო ხელისუფლებისადმი:

“არ გეკნებოდა არავითარი ხელმწიფება ჩემზე, მაღლიდან რომ არ მოგცემოდა. ამიტომ უფრო დიდი ცოდვა აქვს მას, ვინც ჩემი თავი გადმოგცა” (იოანე 19, 11). ასეთი შეხედულებანი არ ეწინააღმდეგებოდა ძველ აღთქმას, არამედ მის გაგრძელებას წარმოადგენდა: “მეფეო, შენ ის მეფეთა მეფე ხარ, რომელსაც ზეციურმა ღმერთმა ხელმწიფება და ძალა და დიდება უბოძა” (დანიელ წინასწარმეტყველი 2, 37).



იმპერატორის კურთხევა. რელიეფი

როგორც აღნიშნეთ, პირველი ქრისტიანების სამეფო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების შეცვლის წყარო არ არის მხოლოდ კონსტანტინე დიდის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგი, არამედ მის წყაროს წარმოადგენს, როგორც საღვთო წერილებში გადმოცემული ზემოთაღნიშნული მინიშნებები, ასევე პირველ საუკუნეებში შექმნილი წმინდა მამათა და აპოლოგეტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი.

პირველ ქრისტიანთა ლოცვებში ჩანს სახარებისეული გადმოცემის შესაბამისი აზრები, რომლებშიც აღიარებულია საერო ხელისუფლება, მაგალითად, ერთ-ერთ ლოცვაში, რომელსაც ჰქვია “მოგვეც შენ მორჩილება”, წერია: “მოგვეც ჩვენ მორჩილება შენი, ყოვლადძლიერი ღვთაებრივი სახელისა და ჩვენი ამაჟვეყანასა ზედა წინამძღოლების წინაშე”. ეს არის წმინდა კლემენტი რომაელის პირველ წერილში კორინთელთა მიმართ (60, 4 დაახ. 97 წ.)<sup>25</sup> ეს, როგორც ვ. ენსლინი აღნიშნავს, მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტიანები თავიდანვე მონაწილეობდნენ იმპერატორის კულტის შექმნაში<sup>26</sup> რასაკვირველია, ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე წმინდა კლემენტის ლოცვაში შემდეგნაირად არის აღიარებული სამეფო ხელისუფლება: “შენი ყოვლადძლიერი, ღვთაებრივი ნებით მიეცი ჩვენს წინამძღოლებსა და მმართველებს ამ ქვეყნად ხელმწიფება ჩვენს ზედა, ღმერთო, გააძლიერე შენს მიერ წარჩინებულნი, შენის გამოუთქმელი ძალით, რომლითაც ჩვენ შევიცნობთ პატივსა და დიდებას, რომელიც შენგან ებოძათ მათ და ჩვენ ვემორჩილებით მათ მხოლოდ შენი ნებითა და ძალით”. ამავდროულად, ქრისტიანები იბრძოდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მეფეები გამოეცხადებინათ ღმერთებად. ისინი, რასაკვირველია, თავიანთივე მსოფლმხედველობის შესაბამი-

<sup>25</sup> Funk F.X. Patres Apostolici I, Tubingen 1901, გვ.178.

<sup>26</sup> Ensslin W., Gottkaiser und Kaiser von Gottes Gnaden, -Das Byzantinische Herscherbild, Herausgegeben von Herbert Hunger, Darmstadt, 1975.



სად, საერთოდაც გაურბოდნენ ამაქვეყნიურ დიდებასა და ყოფასაც კი. I საუკუნეში, როდესაც წმინდა ლუციუსს წაუკითხეს სასიკვდილო განაჩენი, მან შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: “გმაღლობთ შენ, ღმერთო, რომ გამათავისუფლე ამქვეყნიური დესპოტიისაგან, მომეც საშუალება დავბრუნდე მამასთან, რომელიც არის მეფე ზეცაში”<sup>27</sup>.

აღრექრისტიანულ დოკუმენტებში, პირველი აპოლოგეტების შრომებში გადმოცემულია ის დამოკიდებულება სამეფო ხელისუფლებისადმი, რომელიც შემდგომში წმინდა მამათა წერილებში და საეკლესიო კრებათა დადგენილებებით გამყარდა და დამკვიდრდა ქრისტიანულ თეოლოგიაში. იუსტინე წამებულის ანუ, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, იუსტინე ფილოსოფოსის აპოლოგიაში, რომლითაც მან მიმართა 150 წელს რომის იმპერატორს ანტონინუსს პიუსსა და მის ვაჟს მარკუს ავრელიუსს, მაცხოვრის სიტყვების მიხედვით აღნიშნულია: “მეცით კეისრისა კეისარსა და ღმერთისა ღმერთს”. მაგრამ აქვე ხაზგასმულია, რომ მორჩილება საერო ხელისუფლებისადმი არ ნიშნავს მეფის აღიარებას ღმერთად: “ჩვენ ვლოცულობთ მხოლოდ ღმერთთან და ყოველივე ხელისუფლება არის ვალდებული ღვთის წინაშე; ცუდი მმართველობისათვის მათ ელოდებათ საშინელი სასჯელი — მუდმივი ცეცხლი ჯოჯოხეთში”<sup>28</sup>. თავისი სულიერი მოღვაწეობით იუსტინე ფილოსოფოსთან ყველაზე ახლოს იყო თეოფილე ანტიოქიელი, რომელიც აღიზარდა წარმართულ წრეში და მოგვიანებით გახდა ანტიოქიის პატრიარქი (168-181). მის შრომებში გამოთქმული მოსაზრებანი ასევე ემთხვევა იუსტინე ფილოსოფოსის შეხედულებებს. მისი აზრით, იმპერატორებისადმი პატივისცემა ადამიანების ცნობიერებაში მოცემულია უფლის მი-

<sup>27</sup> Rahner H. Kirche und Staat im fruherem CHristentum, Documente aus acht Jahrhunderten und ihre Deutung, Munchen, 1961.

<sup>28</sup> Apologia I J.C. Otto, Corpus Apologetarum christianorum, I, Jena 1876, გვ. 54.

ერ, მაგარამ ისიც მკაცრად განასხვავებს ერთმანეთისაგან ლოცვას უფლისადმი და პატივისცემას იმპერატორისადმი. მე მსურს ვადიდო იმპერატორი არა იმით, რომ მე მასზე ვლოცულობ, არამედ მისთვის ვლოცულობ, მე მხოლოდ ჭეშმარიტ და უკვდავ ღმერთზე ვლოცულობ, რადგანაც ვიცი, რომ იმპერატორი მის მიერ არის დადგენილი იმპერატორად. შენ მკითხავ, რატომ არ ვლოცულობ მე მეფეზე? რადგანაც ის არ არის ღმერთი, არამედ არის ადამიანი, რომელსაც ღმერთმა მისცა ეს ადგილი...”<sup>29</sup>.

პირველი ლათინური წერილები ქრისტიანობის დასაცავად იწერება 197 წელს და ეკუთვნის კართაგენელ იურისტს ტერტულიანეს. მართალია, ტერტულიანე არ მიეკუთვნება ეკლესიის მამებს, მაგარამ მისი ნაშრომები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკლესიის ისტორიისათვის. ტერტულიანე იმპერატორში ხედავს ადამიანს, რომელიც ღვთის მიერ არის დანიშნული და მოუწოდებს მისადმი, როგორც ღვთის დადგენილისადმი, პატივისცემისაკენ: “Noster est magis Caesar, a nostro deo constitutus”<sup>30</sup>. ასეთივე მითითება არსებობს ი. დიოლგერის მიერ აღმოჩენილ პაპირუსზე: ვინ არის ღმერთი? მბრძანებლი. ვინ არის მეფე? ღვთისმსგავსი<sup>31</sup>. ასეთი აზრის განვითარება შეუძლებელი იყო კონსტანტინე დიდის დრომდე რომის იმპერატორების მიმართ, რადგანაც, მიუხედავად ქრისტიანების შეხედულებებში განვითარებული აზრისა მათი ხელისუფლების შესახებ, ისინი სასტიკად ღვენიდნენ მორწმუნეებს<sup>32</sup>.

ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ ამონარიდები პირველი ქრისტიანების შრომებიდან, სადაც ლოიალურად არის შეფასე-

<sup>29</sup> Ad Autolicum I, II J.C.Otto, Corpus Apologetarum christianorum VIII, Jena 1861, გვ. 32-34.

<sup>30</sup> Tertulian, Apologeticum 28, 3 – 33,4 CSEL Wien, 1887, 69, გვ. 77-78.

<sup>31</sup> Ensslin W. Gottkaiser und Kaiser von Gottes Gnaden, -Das Byzantinische Herscherbild, Herausgegeben von Herbert Hunger, Darmstadt, 1975, s.57.

<sup>32</sup> Funk, F. Patres Apostolici I, Tübingen, 1901, p. 178

ბული საერო ხელისუფლების არსებობა და იგი წარმოდგენილია, როგორც ღვთის მიერ ბოძებული ძალაუფლება მეფეებისადმი: “ბატონობა შენს მიერ არის მათთვის ბოძებული, მოგვეცე ჩვენ, ღმერთო, მორჩილება შენი უძლეველი და დიდებული სახელის და ამ ქვეყანაზე ჩვენი მმართველებისა და წინამძღოლთა წინაშე”. პაპი კლემენტი რომაელი – წერილი კორინთელებისადმი (60, 4) “ჩვენ ვაღიარებთ შენ, როგორც ბატონსა და იმპერატორს”<sup>33</sup>, “თქვენ ღმერთის მიერ ხართ თქვენს ადგილზე დადგენილი”<sup>34</sup>; “იმპერატორს ვაღიარებთ ქრისტიანები, რადგანაც ის უფლის მიერ არის დადგენილი”<sup>35</sup>. ორიგენეს მოსაზრებაც ამ გამოთქმებს განამტკიცებს, როდესაც ის წერს: სახელმწიფო არის “უფლის დამხმარე”; “მხოლოდ ღმერთისგან არის იმპერატორის ხელისუფლება, მხოლოდ მას შეუძლია მისი არჩევა და გადაყენება მმართველობიდან”<sup>36</sup>.

ადრექრისტიანული ხანის მწერლობიდან სახელმწიფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობისა და მისადმი ქრისტიანთა ერთგულების საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ორიგენეს ნაშრომები, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ მისი აპოლოგეტიკური ნაწარმოები ცელსის წინააღმდეგ. ცელსი, რომელიც მოღვაწეობდა იმპერატორებისადრინანესა და მარკუს ავრელიუსის ხანაში, უმძიმეს ბრალდებებს უყენებდა ქრისტიანებს. მის პასუხად დაწერილ ნაშრომებში ორიგენე (249 წ.) ასაბუთებდა ქრისტიანთა კეთილგანწყობას თავიანთი სამშობლოს მიმართ და მიუთითებდა, რომ ქრისტიანები, რომლებიც ღვთის ერთგულნი და მორჩილნი

---

33 Justinus Apologial, 17 – J.C. OTTO, Corpus Apologetarum christianorum, I, Jena, 1876, გვ. 54.

34 Theophilus, Ad Autolicum I, 11 – J.C. OTTO, Corpus Apologetarum christianorum VIII, Jena, 1861, გვ. 33.

35 Tertulian, Apologeticum 28, 3-33, 4 – CSEL 69, გვ. 77.

36 Origenes IX, 26-30 – PG 14, გვ. 1129.

არიან, უდიდეს სამსახურს უწევენ სახელმწიფოს, რომელიც არის ღვთის გამგებლობაში.

როგორც ჩანს, პირველი საუკუნეებიდან დაწყებული, როგორც სახარებისეულ ტექსტებში დამოწმებული გამონათქვამები, ასევე წმინდა მამათა წერილები და აპოლოგეტთა ნაშრომებში მოცემული მოსაზრებები, ამზადებდნენ IV საუკუნის დამღვევისათვის ქრიტიანულ საზოგადოებას, რომელმაც ქრიტიანთა მღვენელი რომის იმპერატორის ხელისუფლება კონსტანტინე დიდის სახით აღიარა, როგორც ღვთის ნებით მოცემული ხელისუფლება<sup>37</sup>. ასეთი სახით აღიარების დამდასტურებელია ასევე ვენაში დაცულ ოქროს მედალიონზე (330-333 წწ.) არსებული გამოსახულება, რომელზედაც კონსტანტინე დიდს ზეციდან მაცხოვრის ხელი აკურთხებს. მეფე არის უფლისაგან კურთხეული (a Deo coronatus) და უფლის ნებით მმართველი ამ ქვეყანაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

---

<sup>37</sup> ღვთის ნებით ხელისუფლების არსებობა გამოხატულია მოგვიანო ეტაპზე მეფეთა ტიტულების გადმოცემის დროს. ფრანგი ისტორიკოსი ფიუსტელ დე კულანჟი სპეციალურად მიმოიხილავს ადრეუხასაუკუნეებში მეფეთა და ეპისკოპოსთა წერილებსა და მიმართებებში თავიანთი თავის მოხსენიებას შემდეგი ფორმულით: „ღვთის ნებით მეფე“ (Gracia Dei rex), ან კიდევ „ღვთის წყალობით ეპისკოპოსი“ (Misericordia Dei episcopus). კიდევ მეტი მორჩილებისა და თავმდაბლობის მიმანიშნებელი სიტყვები ჩნდება მათი სახელების წინ – მე, რემიგიუსი, ცოდვილი, ღვთის ნებით არგენტის ეპისკოპოსი (Ego Remigius etsi peccator, gracia Dei Argentiensis episcopus). ასეთი დამატება ტიტულატურაში, ფიუსტელ დე კულანჟის აზრით, ფრანკთა მეფეებმა გადმოიღეს სასულიერო პირებისაგან და როდესაც პიპინი თავის თავს მოიხსენიებს „ღვთის წყალობით მეფედ“, ის სრულიად გამორიცხავს ფრანკი ხალხის მონაწილეობას მასზე გადმოცემული ხელისუფლების შექმნაში და მას მხოლოდ ღვთის წყალობად მიიჩნევს (Qua per Dei misericordiam regna terrae gubernare videmur). ასეთივე მნიშვნელობით იყენებდა ამ ტიტულს კარლოს დიდი (Karolus ... per misericordiam Dei rex Francorum) - Фюстель де Куланж. История общественного строя древней Франции, т. VI, Петроград, 1916, с.264-271.

კონსტანტინე დიდის სწორუპოვარმა ღვაწლმა ქრისტიანთა წინაშე გარკვეულწილად განაპირობა თანამედროვეთა მიერ ხშირად ქრისტიანული თეოლოგიისათვის შეუსაბამო ღვთაებრივი პატივით მისი მოხსენიება. ვ. ენსლინი ამის დასტურად მიიჩნევს მისი საგვარეულოს (gens Flavia) სადიდებლად ტაძრის აშენებას უმბრიაში, ასევე იმპერატორების წინაშე მუხლის მოყრას. ამ უკანასკნელის წარმოშობას ამბროსიუსი ასე განმარტავს: მუხლის მოყრა ხდებოდა მაცხოვრის სამჭკვალისის წინაშე, რომელიც დედოფალმა ელენემ ჩამოიტანა იერუსალიმიდან და ჩასმული იყო იმპერატორის გვირგვინში (Ut Crux Christi in regibus adoratur)<sup>38</sup>

იმპერატორის ხელისუფლების ქრისტიანთა მიერ აღიარების საფუძვლების ჩვენეულ ძიებაში, ძირითადად, გამოყენებულია ეკლესიის წევრთა პირადი შეხედულებანი, ასევე ადგილები წმინდა წერილებიდან, რადგანაც ეკლესიის ისტორიის ადრეული ეტაპის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში არ არსებობს ეკლესიასა და სახელმწიფოს დამოკიდებულებათა განმსაზღვრელი რაიმე იურიდიული დოკუმენტი, დადგენილი საეკლესიო კრების ან საიმპერატორო ხელისუფლების მიერ. რასაკვირველია, კონსტანტინე დიდის ხანიდან რომის იმპერიაში ყოველგვარი მიმართება სახელმწიფოს შიგნით დამყარებული იყო ქრისტიანულ სარწმუნეობაზე, მაგრამ ეკლესია, როგორც საულიერო ხელისუფლება, იმპერატორის გვიგინკურთხევის ცერემონიალში მონაწილეობას უფრო გვიანდელი პერიოდიდან იღებს. როგორც დღეისათვის დადგენილია, პირველი იმპერატორი იყო ლეონ I, რომლის აღსაყდრებაში მონაწილეობა მიიღო კონსტანტინოპოლის პატრიარქმა (451 წ.), ეკლესიაში კი პირველად გვირგვინი იკურთხა იმპერატორმა ფოკამ (602 წ.).

---

<sup>38</sup> Ensslin W. Gottkaiser und Kaiser von Gottes Gnaden, Das Byzantinische Herscherbild, Herausgegeben von Herbert Hunger, Darmstadt, 1975, s.67.



*იმპერატორს ფარზე აყვანა. მინიატურა*

აქამდე იმპერატორის არჩევისას შენარჩუნებული იყო რომაული წესები, როდესაც იმპერატორს ირჩევდა რომის ხალხი, ჯარი და სენატი. მოგვიანებით ამ პროცესში ჩაერთო ეკლესია. ბიზანტიაში იმპერატორის არჩევის დროს მიღებული იყო მისი ფარზე აყვანა, რაც, როგორც ჩანს, რომაელებმა გერმანელი ბარბაროსებისაგან აიღეს.

ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ თანდათანობით ყალიბდება იმპერატორის ხელისუფლების ახალი თეორია, რომელიც მთლიანად ქრისტიანულ თეოლოგიაზეა დამყარებული. IV საუკუნეში, კონსტანტინე დიდის მმართველობიდან ჩაეყარა საფუძველი ბიზანტიის იმპერიაში მრავალი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ იდეას — მართლმადიდებელი ეკლესიის სიმფონიას მართლმადიდებელ იმპერატორთან. ბიზანტიის იმპერიას უკავშირდება სამეფო ხელისუფლების ღვთის მიერ

არჩეულობის თეორია<sup>39</sup>, იმპერატორის, როგორც მართმადიდებელი სამყაროს მმართველის და რომეების (ბიზანტიის) სახელმწიფოს, როგორც ქრისტიანი ხალხის დამცველისა და მფარველის კულტის შექმნა, რომელიც იწყება IV საუკუნიდან და თავის აპოგეას შემდგომ საუკუნეებში აღწევს. ბიზანტიაში ჩამოყალიბდა იმპერატორის ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ერთიანი ქრისტიანული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად ედო ბიზანტიის პოლიტიკურ დოქტრინას. ამ კონცეფციის თანახმად, იმპერატორის ხელისუფლებას საფუძვლად დაედო ღვთისრჩეულობის თეორია – საერო ხელისუფლება, როგორც უფლის განგებულობა. ღმერთი – ყოვლისმპყრობელი (პანტოკრატორი) იყო ყოველი არსებული წესრიგის, როგორც ზეციურის, ასევე მიწიერის შემოქმედი და თავი, იმპერატორი კი ზეციერი წესრიგის შესაბამისად მიწიერი წესრიგის დამამყარებელი. ეს იყო დიარხიის პრინციპი, ანუ საერო და სასულიერო ხელისუფლების ერთიანობის იდეა. ეს ორი ხელისუფლება იყოფდა უფლებებს: ერთნი ხელმძღვანელობდნენ დაქვემდებარებულთა მიწიერ მოღვაწეობას, მეორენი ზრუნავდნენ დაქვემდებარებულთა სულზე. ფუნქციათა გადანაწილება და მოვალეობათა ერთიანობა – ეს იყო მთავარი პრინციპი. ბიზანტია, რომის ქრისტიანული იმპერია იყო არა მხოლოდ რომეების სახელმწიფო რომაელთათვის, არამედ ქრისტიანული სახელმწიფო ქრისტიანთათვის. ამდენად, იმპერატორი იყო არა მხოლოდ ქვეყნის მეთაური, ღვთისგან ბოძებული შეუზღუდავი ძალაუფლებით, არამედ ქრისტიანთა მიწიერი წინამძღოლი, “ახალი მოსე”. ამდენად, ის პასუხისმგებელი იყო ქრისტიანთა საქმეებზე და უფლება ჰქონდა ჩარეუ-

---

<sup>39</sup> “არა არს ხელისუფლებაი გარნა ღმერთისა მიერ, ვითარცა იტყვს მოციქული პავლე. ხოლო არა თქუა ვითარმე არა არს ხელმწიფე, არამედ ხელმწიფეები. ხოლო უკეთუ ხელმწიფე უმსჯავრო უსამართლო იყოს, არა ღმრთისა მიერ არს, არამედ თავისა თვისისა დასასჯელად აღსდგების” (იოანე ოქროპირი).

ლიყო ეკლესიის ამქვეყნიურ მოღვაწეობაში. მიუხედავად უფლისაგან მისთვის ბოძებული შეუზღუდავი უფლებებისა, ის, როგორც ადამიანი, იყო ისეთივე მონა ღვთისა, როგორც დანარჩენი სხვა მოკვდავნი, რომლისათვის ნათელია ამქვეყნიური ძალაუფლების არარაობა, ასევე მისი პირადი პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე მასზე გადმოცემული უფლებებისათვის<sup>40</sup>.



*პანტოკრატორი. მოზაიკა*

<sup>40</sup> ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა ჩამოყალიბებულია იუსტინიანეს (527-565) წერილში ტრიბონიანესადმი: ღმერთისგან ნებით ემართათ ჩვენ სახელმწიფოს, ნებით, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა ზეციური ყოვლისმპყრობელისაგან, ეუძლეებით ბრძოლებს ბედნიერად, ვამყარებთ ბრყინვალე მშვიდობას და სამართლიანად ემართათ ქვეყანას, ასე ძლიერ ავამაღლებთ ჩვენ ჩვენს სულს ყოვლისშემძლე უფლის შემწეობით. ჩვენი მიღწევები, როგორც იარაღის, ასევე ჩვენი ჯარისკაცებისა და მხედართმთავერების თუ ჩვენი ნიჭის მეშვეობით, მაინც დამყარებულია, მხოლოდ ყოვლადწმინდა სამებაზე, რომელიც აწესრიგებს ყველაფერს მთელს სამყაროში, დედამიწის ყველა კუთხეში (Runsiman S. Herrschaft im Reich, s.214



## სახელმწიფო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება

სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხის გარკვევა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს პრობლემას შუა საუკუნეების საზოგადოების ფორმირების პროცესში. უმთავრესი იყო სახელმწიფოს მმართველობის ფორმების მოყვანა ქრისტიანულ იდეოლოგიასთან შესაბამისობაში. ახალი საზოგადოების ევოლუცია ხდებოდა თანდათან ქრისტიანული დოგმის ნორმების დამკვიდრებით საერო მმართველობის სისტემაში. თანდათან ახალი აღთქმისა და საეკლესიო ავტორიტეტების იდეები მთლიანად გაბატონდა ახალ საზოგადოებაში. შევეცდებით წარმოვადგინოთ, თუ როგორ ხორციელდებოდა მკვიდრდებოდა საერო ცხოვრებაში ქრისტიანული იდეები, ანუ როგორ ხდებოდა სახელმწიფოს მიერ საერო ფუნქციათა განხორციელების მოტივირება ქრისტიანული მოძღვრების შესაბამისად.

ევროპის პირველი ქრისტიანი იმპერატორის კონსტანტინე დიდის ბიოგრაფია ფრიად საინტერესოა ქრისტიანული იდეოლოგიის და რომის იმპერატორის ძალაუფლების ახლებურად წარმოდგენისა და შერწყმის წარმოსადგენად. კონსტანტინე დიდის გამარჯვება მაქსენციუსზე და შესვლა მარადიულ ქალაქ რომში, რასაც წინ უსწრებდა მისი ხილვა, როდესაც მას მაცხოვარმა ზეციდან გადმოსცა ჯვარი და უთხრა: “ამით სძლიე” (ΤΟΥΤΑ ΝΙΚΑ), და ისტორია კონსტანტინეს მიერ მაქსენციუსის ძლევისა, რომელიც იმყოფებოდა რომში და რომელსაც მფარველობდნენ წარმართული ღვთაებები, იყო სწორედაც ქრისტიანობის გამარჯვება წარმართობაზე, ჯვრის გამარჯვება კერპებზე.

გარდა ამისა, ამ მომენტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ქრისტიანული საზოგადოებისათვის, რომელიც თავისი არსებობის პირველ საუკუნეებში არის მორჩილი,

ასევე აღრინდელი ქრისტიანული ეკლესია ქადაგებდა არაძალადობას. ამ საზოგადოებაში მთავარი იყო მორჩილება და მოწამეობრივი აღსასრული.

კონსტანტინე დიდის დროიდან იწყება ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც განსხვავებულ განმარტებას აძლევს სახარებისეულ სიტყვებს: “გესმა, რამეთუ თქმულ არს: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ, ხოლო მე გეტყვ თქვენ: არა წინააღდგომად ბოროტისა; რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთკერძოიცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყოვნებ” (მათე 5, 38-40); ან კიდევ: “მაშინ პრქუა მას იესუ: მიაკციე მახვილი ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველმან რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ” (მათე 26, 52). რადგანაც კონსტანტინე დიდი და მისი იმპერია ქრისტეს მოძღვრებას ემსახურებოდა, უკვე ორივე ხელისუფლება – საერო და ზეციური უნდა შეთავსებოდა ერთმანეთს. საეკლესიო მამები ცდილობდნენ, ბიბლიაში მოეძებნათ არგუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიიღონ ქრისტიანებმა მონაწილეობა საერო ხელისუფლების განხორციელებაში, კანონიერებისა და წესრიგის დამყარებაში.

აპოლოგეტები ტერტულიანე და ორიგენე კიცხავენ ქრისტიანებს ომში მონაწილეობისათვის. ღვთის სამსახურში ყოფნა ავალდებულებს მორწმუნე ადამიანს ემსახუროს ღმერთს (*miles Dei*)<sup>41</sup>, ისე როგორც ჯარისკაცი ემსახურება სახელმწიფოს. ამდენად, ქრისტიანი ხდება ღვთის ჯარისკაცი,


---

<sup>41</sup> ეს ტერმინი გვხვდება ქართულ მწერლობაშიც. პირველმოწამე რაყდენის ცხოვრების აღწერაში – “შეიპყრეს სანატრელი იგი მხედარი ქრისტესი და შეკრული წარიყვანეს წინაშე სპარსთა მეფისა”, თუესა აგვისტოსა გ. – „წამება და ღუაწლი წმინდისა დიდისა მოწამისა რაყდენისი, რომელი იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს”. საქართველოს სამოთხე, გამოცემული გ. საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1802, გვ.173.

რომელიც, განსხვავებით სხვა ჯარისკაცისაგან, არ იბრძვის. უ. ფლორის აზრით, ასეთი დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოიკვეთა III საუკუნის დასასრულისათვის, იმ დროიდან, როდესაც იმპერატორის კულტმა ჯარში მიიღო ფორმა, რომელიც მიუღებელი იყო ქრისტიანებისათვის. ეს იყო ჯარისკაცებისადმი მოთხოვნა, თაყვანი ეცათ იმპერატორის გამოსახულებისათვის, მაგრამ იქვე ავტორი უთითებს, რომ უფრო მნიშვნელოვანი იყო მორალური ფაქტორი. და ეს, როგორც ჩანს, ქრისტიანული მორალი უნდა იყოს, რაც აშკარაა ავტორის მიერ დასახელებული ფაქტიდან, როდესაც იგი მაქსიმილიანე წამებულის შესახებ მოგვითხრობს. მაქსიმილიანე ჯარში ჩარიცხვის დღიდან უარს აცხადებს სამხედრო სამსახურში ყოფნაზე, იმ მოტივით, რომ ის არის ქრისტიანი (*Mihi non licet militare quia christianus est*) (არ შემიძლია ვიყო სამხედრო სამსახურში, რადგან ვარ ქრისტიანი), შემდეგაც, როდესაც მის დასჯას გადაწყვეტენ, ის ისევ იმეორებს, რომ სამხედრო სამსახურში ყოფნა შეუთავსებელია მის რწმენასთან (*Non possum militare, non possum melafacere, christianus sum*) (არ შემიძლია ბრძოლა, არ შემიძლია ბოროტების ქმნა, ქრისტიანი ვარ), და საბოლოოდ ამთავრებს თავის გამოსვლას შედეგი სიტყვებით: *Militia mea ad Dominum meum est. Non possum saeculo militare, Jam dixi, christianus sum* (ჩემი სამსახური არის ჩემი ღმერთის მსახური, არ შემიძლია ვიყო საერო ჯარისკაცი, როგორც უკვე ვთქვი, მე ვარ ქრისტიანი)<sup>42</sup>. მსგავსადვე არის მოტივირებული ცენტურიონი მარსილის უარი სამხედრო სამსახურზე, რომელიც აწამეს 298 წელს ტანჟერში: “მე დავაგდე იარაღი! ჭეშმარიტად, არ უნდა იყოს ქრისტიანი ჯარისკაცად საერო არმიაში. ის არის ქრისტეს ჯარისკაცი”<sup>43</sup>.

<sup>42</sup> Флори Ж. Идеология меча, СПб, 1999, с. 35.

<sup>43</sup> Флори Ж. Идеология меча, СПб, 1999, с. 35



*ბიზანტიელი მეომრები. მინიატურა*

დასავლეთის ღვთისმეტყველთაგან ერთ-ერთი პირველი ნეტარი ავგუსტინეა, ვის შრომებშიც ჩნდება ომი, როგორც ბოროტების განადგურების ერთ-ერთი საშუალება. ესაა თეორია სამართლიანი<sup>44</sup> და უსამართლო ომების, სარწმუნეობისა და ღმერთისთვის ბრძოლის შესახებ. ავგუსტინე თავის ნაშრომებში წარმოაჩენს ორგვარ იდეას. ეს იყო, ერთის მხრივ, უსამართლო ომის მიუღებლობა, ხოლო მეორე მხრივ, სამართლიანი ომის აღიარება. თავის თხზულებაში “ღვთის ქალაქის შესახებ” იგი წუხს ომების არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ დაკარგული აქვს ადამიანური გრძნობები იმას, ვისაც შეუძლია მიიღოს ომი სულიერი ტკივილის გარეშე. ამავე დროს, ისევ ხაზგასმით მიუთითებს: ვინც კლავს

<sup>44</sup> სამართლიანი ომის შესახებ ამ ეპოქის წმინდა მამებს შეეძლოთ მოეძებნათ გადმოცემები წმინდა წერილებში, რომელიც უფრო აქტუალური ხდება მაღალ შუა საუკუნეებში. ომის ასეთი სახით დაყოფა გეხვება პავლე მოციქულის წერილებშიც – “და თუკი ვინმე ომობს, ვერ გახდება გვირგვინის ღირსი, თუკი არარაჯულიერად ომობს” (პავლე მოციქულის მეორე მიმართვა ტიმოთეს მიმართ (2, 5).

მტერს, ის, პრინციპში, არის კანონის მსახური, რომელიც ძალადობას ძალითვე პასუხობს. ამ დროიდან ნეტარი ავეუსტინეს მიერ ჩამოყალიბებული თეორიის შესაბამისად ვითარდება ახალი იდეოლოგიური კონცეფცია – ომი შეიძლება იყოს სამართლიანი და ქრისტიანებს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლიათ მასში მონაწილეობა. ასე რომ, თუკი ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ქრისტიანები თვლიდნენ, რომ უნდა ყოფილიყვნენ მორჩილნი და “არამოძალადეები”, ნეტარი ავეუსტინეს მიერ წამოყენებული თეორია გახდა საფუძველი იმ იდეოლოგიისა, რომლის მიხედვითაც გაიყო ფუნქციები ქრისტიანებში. ერთნი იბრძვიან დემონებისა და ბოროტების წინააღმდეგ ლოცვით, მაშინ, როდესაც დანარჩენი იბრძვის ბარბაროსების წინააღმდეგ იარაღით<sup>45</sup>. მკვიდრდება

---

<sup>45</sup> მოგვიანებით ეს თეორია სამართლიანი ომის შესახებ გადაიქცა თეორიად წმინდა ომის შესახებ, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა კლუნიური იდეების დამკვიდრების შემდეგ. თუმცა ასეთი ჩანასახი წმინდა ომის შესახებ მოწოდებისა გვხვდება ადრეულ პერიოდში, რისი მიზეზიც იყო ბრძოლები ბარბაროსებთან და განსაკუთრებით სარაცინებთან. 753 წელს, როდესაც პაპმა სტეფანე II-მ გაუგზავნა წერილი ფრანკ წარჩინებულებს, სადაც მოუწოდებდა მათ პაპის ხელისუფლების დასახმარებლად ბარბაროსთა წინააღმდეგ, მან ამ საქმისათვის სიკვდილი მოწამეობრივ თავდადებას შეადარა. მოგვიანებით პაპი ლეო IV თავის მოწოდებაში ფრანკი ჯარისკაცებისადმი პაპის ხელისუფლების დასახმარებლად არაბების წინააღმდეგ, მებრძოლებს აღუთქვამს, რომ თუ ისინი შეეწირვიან ასეთ სამართლიან საქმეს, მათ ელოდებათ პირდაპირი გზა სამოთხისაკენ, რადგანაც ისინი თავს დებენ “ჭეშმარიტი რწმენისათვის, სამშობლოსა და ქრისტიანობის დასახსნელად”. 747 წელს პაპი ზაქარია თავის მიმართვაში პიპინისადმი განსაზღვრავს საერო და სასულიერო წოდებათა ფუნქციებს, რომლებიც მოქმედებენ უფლის წინამძღვრობით მიწაზე, პაპს ამ მიმართვაში საღვთო წერილიდან მითითებული აქვს ადგილი ისრაელის ბრძოლისა ამალექის წინააღმდეგ: “და რქუა მოსე ისოს: გამოირჩიენ თავისა შენისა მამაკაცი და განსრული ეწყვე ამალექსა ხელა! და აჰა მე ვდგე თხემსა ზედა ბორცვსასა და კუერთხი ღმრთისაი ხელსა შინა ჩემსა” (გამოსვლათა 17, 9). პაპი ზაქარიას კომენტარის მიხედვით, ისრაელთა გამარჯვებაში გადამწყვეტი ფაქტორი იყო ორი რამ: ერთის მხრივ, ისრა-

მხედართა მფარველი ანგელოზებისა და წმინდანთა კულტი. მოგვიანებით ასეთებად ითვლებოდნენ ღვთისმშობელი, მიხეილ მთავარანგელოზი, წმინდა გიორგი, რომელიც იკონოგრაფიულ გამოსახულებაში მახვილით გმირავს დრაკონს, ანუ მახვილით ამარცხებს ბოროტს. ამ ფონზე დასავლეთში VII საუკუნეში იქმნება ტროპარები და ლოცვები წმინდანების მიმართ ომში გამარჯვების მოპოვებისა და მტრის ძლევის შესახებ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან ქალაქების მფარველნი, რომელთა მეოხებით იყო შესაძლებელი ძლევა. დასავლეთში ასეთ მფარველებად ცნობილი არიან: წმ. რემიგიუსი – რეიმსის, წმ. ილარიუსი – პუატიეს, წმ. ალბანი – მაინცის, წმ. ამბროსი – მილანის, წმ. პავლინი – ტირირის და ა. შ. ასე რომ, თანდათან ერთმანეთს ერწყმის სამხედრო და ქრისტიანული მსოფლმხედველობა. V საუკუნეში შექმნილ ტურიინის ეპისკოპოს მაქსიმის ჰომილიაში ასეთნაირად არის გადმოცემული ომისადმი დამოკიდებულება – (Non enim militare delictum est, sed propter praedam militare peccatum – დანაშაულია არა სამხედრო სამსახური, არამედ მაროდორობა ომში).

ჟ. ფლორის ნაშრომში “მახვილის იდეოლოგია” გადმოცემულია ომისადმი IV საუკუნის ქრისტიანთა დამოკიდებულების ირონიული შეჯამება ფრანგი ისტორიკოსის ა. ბაიეს მიერ, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: კონსტანტინე დიდის წინარე ხანაში ქრისტიანთა პოზიცია იყო – წარმართები იბრძოდნენ, ხოლო ქრისტიანები ილოცებენ მათი წარმატებისათვის, ეს პოზიცია კონსტანტინე დიდის ხანიდან შემდეგნაი-

---

ელთა სიმამაცე და, მეორე მხრივ, მოსეს განუწყვეტელი ლოცვა. ომი, ეკლესიის მეთაურის განმარტებით, დამარცხებისათვის არის განწირული, თუ მას არ ახლავს ლოცვა. ამ მიმართვაში განსაკუთრებით საინტერესოა ასევე პაპის მიმართვა პიპინისადმი: “შეფეებს, საერო პირებსა და მებრძოლებს მართებთ სამშობლოს დაცვა, ხოლო ეპისკოპოსებმა და სასულიერო პირებმა უნდა ილოცონ ადამიანთა სულების ხსნისათვის, რათა ღვთის წყალობით ჩვენ ვლოცულობდეთ (orantibus), ისინი იბრძოდნენ (bellantibus) და ქვეყანაში იყოს სიმშვიდე და ერთიანობა.

რად შეიცვალა: ერში მყოფი ქრისტიანები იბრძოლებენ, ხოლო კლერიკალები და მონაზვნები ილოცებენ<sup>46</sup>.



*ფრანკი მეომრები. მინიატურა*

სამართლიანი და წმინდა ომის საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ბარბაროსების შემოსევის ხანიდან. რომი იძულებული იყო თავი დაეცვა ბარბაროსებისაგან და, რადგანაც რომი წარმოადგენდა ქრისტიანულ სახელმწიფოს, ხოლო ბარბაროსები ძირითადად წარმართები იყვნენ (მოგვიანებით ისინი ქრისტიანები ხდებიან, მაგრამ არა ნიკეური რწმენის აღიარებით, არამედ არიოზელებად), ამდენად ეს ბრძოლა ქრისტიანთა წარმოდგენაში გარკვეული რელიგიური ომის ხასიათსაც იღებს. ბარბაროსთა შემოსევები – ეს იყო დიდი მიგრაციული პროცესი. დამკვიდრდა ხატოვანი გამოთქმა: მიგრაცია – ეს არის ომი და ომი – ეს არის მიგრაცია.

ქრისტიანების მოწინააღმდეგე ცელსი ქრისტიანებს პირველ რიგში საყვედურობს იმის გამო, რომ ისინი არ იბრძვიან ბარბაროსების წინააღმდეგ და ამიტომაც არის მისთვის ეს რელიგია მიუღებელი. ამდენად, უფრო აქტუალური ხდება ეს

<sup>46</sup> Флори Ж. Идеология меча , СПб, 1999, с. 59.

საკითხი წმინდა მამათა — ნეტარი ავგუსტინეს, ამბროსი მედიოლანელის, ისიდორე სევილიელის შემოქმედებაში. ამბროსი მედიოლანელი იწონებს “მათ სიმამაცეს, რომლებიც იცავენ სამშობლოს ბარბაროსებისაგან, იცავენ უძღურებს თავიანთ სამშობლოში და მოკავშირეებს ყაჩაღებისაგან”.



*წმ. პეტრე აკურთხებს პაპს და კარლოს დიდს. მოზაიკა*

ამ გადაფასების შედეგი უნდა იყოს იმპერატორ თეოდოსი II-ის მიერ 416 წელს გამოცემული ედიქტი, რომლის მიხედვითაც ჯვარში სამსახურის უფლება ეძლევათ მხოლოდ ქრისტიანებს.

ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თანდათანობითი ტრანსფორმაცია და სახელმწიფო ქრისტიანული იდეოლოგიის ჩამოყალიბების ზო-




გიერთი ასპექტი ქრისტიანობის ღვენის ხანიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებამდე, როდესაც უკვე ვხედავთ ახალ საზოგადოებას, რომელსაც შუა საუკუნეების ცივილიზაციის საწყის ეტაპად მივიჩნევთ.

ომისადმი დამოკიდებულების ახლებური ქრისტიანული მოტივი წარმოდგენილია 796 წელს კარლოს დიდის მიერ პაპ ლეო III-დმი გაგზავნილ წერილში<sup>47</sup>, სადაც ნათლად არის ჩამოყალიბებული ფრანკთა მეფის პოზიცია პაპების მიმართ და ასევე ფრანკთა სახელმწიფოს იდეოლოგია ომთან დაკავშირებით: “ჩვენი ამოცანაა, ღვთის შემწეობით დავიცვათ იარაღით წმინდა ეკლესია ყველგან წარმართთა თავდასხმისაგან და გარედან ურწმუნოთა აოხრებისაგან, კათოლიკური რწმენის აღიარებით განვმტკიცდეთ. თქვენი მოვალეობა საპირისპიროა, როგორც მოსე აღმართული ხელებით ლოცულობდა ისრაელთა გამარჯვებისათვის, თქვენც ილოცოთ და ლოცვით შეგვეწიეთ ბრძოლაში. თქვენი ლოცვითა და უფლის წინამძღოლობით და ქრისტიანი ხალხის შემწეობით, ქრისტეს სახელით ყველგან მოვიპოვებთ გამარჯვებას და ჩვენი ღმერთის ქრისტეს სახელი გაბრწყინდება მთელს მსოფლიოში”<sup>48</sup>. კარლოს დიდის ამ წერილის შინაარსიდან გამოკვეთილია საერო (Regnum) და სასულიერო (Sacerdotum) ხელისუფლების, ფრანკთა მეფისა და რომის პაპის ფუნქციები. მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად კარლოს დიდის ძალაუფლება ვრცელდება მთელს დასავლეთში და რომზეც (რომის პაპმა კარლოს დიდს გამოუგზავნა პეტრეს საფლავის გასაღები და რომის მოსახლეობის მისადმი ერთგულებას ფიცის დადებას შეპირდა), როგორც დ. ჰაგერმანი ამბობს, კარლოსი

<sup>47</sup> ეს წერილი, ალბათ, კარლოს დიდის კანცელარიაშია შექმნილი მისი კარნახით, ან სულაც ალკუინის მიერ ჩაწერილი.

<sup>48</sup> Schneider R. das Frankenreich, Munchen, 1990, s.108; Hagermann D. Karl der Grosse. Herscher des Abendlandes, Berlin 2003, s.367-368.

მაინც არ გვევლინება შეუზღუდავი ხელისუფლების მქონე პირად, ანუ ის არ არის ძველი აღთქმის შესაბამისი მელქისედეგი (მეფე და მოძღვარი), არამედ აქაც ჩანს გელასიანური დიარხიის პრინციპი.



*სან-აპოლინარის ტაძარი რავენაში. VI ს.*

## ახალი იდეოლოგია და საისტორიო მწერლობა

ადრეული შუა საუკუნეების იდეოლოგია ნათლად ჩანს საისტორიო ქრონიკებში. გვსურს წარმოვადგინოთ ზოგადი მახასიათებელი ევროპული საისტორიო მწერლობისა, რომელსაც განსხვავებული იდეოლოგიის ფონზე განსხვავებული ამოცანა და სრულიად განსხვავებული წერის მანერა აქვს.



*ბიზანტიელი სწავლული. მინატურა*

ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა სახით და როგორ იქნა გადმოტანილი ანტიკური ცოდნა შუა საუკუნეებში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აქ მხოლოდ ეტაპების წარმოდგენა შეგვიძლია; ეს არის ღვთისმეტყველების გაბატონების ეტაპები. ვხედავთ, თუ როგორ იკლებს თანდათანობით ანტიკურ ავტორიტეტთა დასახელება. ყ. ლე გოფი წერს: ანტიკუ-

რი ინსტრუმენტარიების (ლექსიკა, გაგება, მეთოდი) მიღების ხარისხი, მისი გარდაქმნა და გადასხვაფერება იცვლება ერთი ავტორიდან მეორეში და ხანდახან ერთი და იგივე ავტორი ორჯოფობს შუა საუკუნეების ორ პოლუსს შორის – ანტიკური ლიტერატურის მიმართ შიშს, მისგან გაქცევასა და მისით აღფრთოვანებას შორის. ამის მაგალითია წმინდა იერონიმე, რომელიც ფართოდ იყენებდა ანტიკურ ავტორებს, მის ნაწერებში ხშირი იყო მათი ციტირება. ერთხელ ღამე მას ჰქონდა ხილვა, რომ მაცხოვარი გამოეცხადა და მკაცრად გააფრთხილა: “ციცერონელობა არ არის ქრისტიანობა”. ასეთივე ხილვის მაგალითი აქვს დასახელებული ჟ. ლე გოფს ალკუინის შესახებ, ვირგილიუსთან დაკავშირებით. იერონიმე მიდიოდა კომპრომისზე, რაც ახსნილია ნეტარი ავგუსტინეს მაგალითით, რომელიც აღნიშნავდა, რომ ანტიკურობიდან უნდა ავიღოთ ის, რაც სასარგებლოა ქრისტიანობის შესამეცნებლად<sup>49</sup>

---

<sup>49</sup> ადრეული შუა საუკუნეების საეკლესიო მწერლობის წარმომადგენლები ხშირად მიმართავდნენ ცნობილ ავტორებს, რათა შეეფასებინათ მათი ნაწერები, გამოეთქვათ მათზე მოსაზრებანი, ასევე თვითონაც აკრიტიკებდნენ სხვათა შრომებს, განსაკუთრებით იმ მხრივ, თუ რამდენად იყვნენ ისინი შესაბამისობაში ახალ იდეოლოგიასთან. საეკლესიო ავტორიტეტები აკრიტიკებდნენ მათ თანამედროვე ავტორებს, განსაკუთრებით დიდი იყო ორიგენეს კრიტიკა, ამავე დროს, იძლეოდნენ შეფასებებს. ეს შეფასებები მიმართული იყო მკითხველისადმი, რათა დახმარებოდნენ მას საეკლესიო ლიტერატურის შერჩევაში. როგორც ჩანს, მსგავს ამოცანას ემსახურებოდა ნეტარი იერონიმეს მიერ თავის წერილში “მიმართვა პავლიანესადმი” მოცემული შეფასება ადრინდელი და მისი თანამედროვე, განსაკუთრებით ცნობილი ავტორებისა: “ტერტულიანე მდიდარია აზრებით, მაგრამ მძიმედ გამოხატავს. კიპრიანე, როგორც ყველაზე სუფთა ნაკადი, მოედინება სასიამოვნოდ და მწყობრად და მთლიანად ეძღვნება სიკეთის შეგონებას. ლაქტანციუსი აზრს ციცერონისეული მჭევრმეტყველებით გადმოგვცემს. კარგი იქნებოდა მას შეეძლოს ისევე განამტკიცოს ჩვენი იდეები, როგორც განადგურა სხვათა! წმინდა ილარიუსი იღვწის გალიციური სტილით და, ამკობს რა საბერძნეთის ფერებით, ხანდახან მისი აზრები ხდება ბუნდოვანი და ძელი გასაგები უბრალო ძმებისათვის”. სხვა ადგილზე ნეტარი იერონიმე აღნიშნავს, რომ ხშირად კრიტიკა და დაპირისპირება მწერლების



ბერი წიგნის გადაწერისას. მინიატურა

განსხვავებით ანტიკური პერიოდისაგან, ქრისტიანული მწერლობის ამოცანა ხდება არა რეალური ფაქტების გამოკვლევა და დადგენა, არამედ ფაქტების შერჩევა საღვთო წერილების დასამოწმებლად. ღვთისმეტყველთა შრომები, “ცხოვრებათა აღწერა”, ჰაგიოგრაფების, მორალისტთა ქადაგებანი — ყველა ეს აღძრავდა ისტორიკოსში სურვილს, ეძებნა მოვლენების ახსნა, არა ფაქტების ბუნებრივი მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე, არამედ სხვა განზომილებაში. ეს იყო

---

მიმართ, შესაძლებელია, ყოფილიყო სრულიად მარტივი შურისა და ღვარძლის შედეგი. არცთუ იშვიათად მართალი კრიტიკა იწვევდა ავტორთა აღშფოთებას, რაც იერონიმემ თავის თავზეც გამოსცადა: “განმრავლდეს უფროს თმათა თავისა ჩემისათა მოძულენი ჩემნი ცუდად; განძლიერდეს მღევარნი ჩემნი, მტერნი ჩემნი სიცრუით და რაი-იგი შეტაცა მაშინ მიუზღევ” (ფსალმნ. 68,5). — Бл. Иероним, Творение, II, с.138).

ღვთისგან მოვლენილი სასწაულები, რომელთა აღწერა ასე უხვად იყო ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, ასევე ბოროტის ქმედება, რომელიც ამრავლებდა ადამიანთა ამქვეყნიურ ცოდვებს. ღმერთისა და დაცემული ანგელოზის, ადამიანის მაცდუნებელი ეშმაკის ბრძოლა საისტორიო ნაწარმოების სიუჟეტში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. ეშმაკი ადამიანს უბიძგებდა ცოდვებისაკენ, ხოლო ღმერთი იყო მისი მსაჯული, ან მხსნელი მისი ცოდვებისაგან, შემწე და მეოხი, ან კიდევ ადამიანი იღებდა მისგან სასჯელს ჩადენილი ცოდვებისათვის. ასეთ შემთხვევაში მემატიანეები ხშირად იმეორებენ პავლე მოციქულის სიტყვებს, რომ ღმერთი სასჯელს უვლენს მას, ვინც უყვარს, ან კიდევ ღვთის გზები მიუწვდომელია ჩვენთვის. ყველაფერი დამოკიდებულია ღვთის განგებაზე – “ეჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნის და ცოდნის სიღრმე! რაოდენ გონებამიუწვდომელი არიან მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველი მისი გზანი! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება, ან ვინ იყო მისი თანამზრახველი?” (რომაელთა მიმართ 11, 33-34) და ყველაფერი შეიძლება აიხსნას ღვთის ნებით, რომელიც, როგორც პაპი ინოკენტი III აღნიშნავს, “ცვლის დროს და ამზობს სამეფოს”. “qui mutant tempora et transferet regni”, ან კიდევ “qui secundum voluntatem suam transferet regna et mutat imperia”. შუა საუკუნეების ისტორიკოსი, რომელიც ნებისმიერ მოვლენას ღვთის ნების გამოვლინებად მიიჩნევს, ის აღწერს უფლის ღვაწლს – *Gesta Dei*, ამდენად ის რელიგიურია თავის საწყისში. მსოფლიო ისტორია მიმართული იყო ამქვეყნის მომზადებისათვის ქრისტიანული ეკლესიის მთელ მსოფლიოში დასამკვიდრებლად, ხოლო მოვლენები, რომლებიც ხდებოდა – ამ გაბრწინებისათვის ბრძოლად იყო წარმოდგენილი. ასეთ ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეფციას არაფერი ჰქონდა საერთო ანტიკური ისტორიოგრაფიის მთავარ პრინციპებთან და შემუშავებული იყო IV საუკუნის დამდეგს წმინდა მამათა მიერ. ქრისტიანობის იდეო-

ლოგებისათვის მთავარი იყო მსოფლიო ისტორიული პროცესის ახალი ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფცია. ეს ისტორიული კონცეფცია აგებული იყო ქრისტიანული დოგმატიკის საფუძვლებზე – ძველი და ახალი აღთქმის წიგნებსა და ქრისტიანი ღვთისმეტყველების შრომებზე<sup>50</sup>. ამ კონცეფციის შუქზე არის დაწერილი ევსევი კესარიელის მოკლე ქრონიკა, რომელშიც ბიბლიური ცნობები და ანტიკური ისტორია იყო გადმოცემული, ხოლო იერონიმემ თარგმნა იგი ლათინურ ენაზე და გააგრძელა. შემდეგში ეს კონცეფცია განავითარა პაულე ოროზიუსმა თავის ნაწარმოებში “შვიდი წიგნი წარმართების წინააღმდეგ”.

საეკლესიო ისტორიოგრაფიაში ადრეული პერიოდის ქრისტიანულ რომის ეპოქის ისტორიკოსების ევსევი კესარიელისა და მისი გამგრძელებლების – სოკრატეს, სოზომენეს, თეოდორიტე კვირელის, ევაგრე სქოლასტიკოსის ნაშრომებში ყალიბდება ბიბლიური მსოფლიო ისტორიის კონცეფციაზე დამყარებული ქრისტიანული კონცეფცია. იცვლება წარმოდგენა ისტორიული დროისა და სივრცის შესახებ. რომაული ისტორიოგრაფია, რომელიც, ძირითადად, გადმოსცემდა რომაელი ხალხის ისტორიას და გამორიცხავდა არარომაელებს ისტორიული პროცესიდან, იცვლება ქრისტიანული სამყაროს შექმნით, რომელიც თავის თავში მოიაზრებდა ყველა ქრისტიანს, მიუხედავად მისი რასობრივი თუ ნაციონალური მიკუთვნებულობისა. ზოგადად მთელი ადრეული პერიოდის საეკლესიო ისტორიისათვის დამახასიათებელი ხდება ეკლესიის პრი-

---

<sup>50</sup> ა. ლებედევის აზრით, ძველი ქრისტიანი ავტორები უფრო მეტს წერდნენ. ვიდრე კითხულობდნენ. მართალია, იმდროინდელ ქრისტიანულ საზოგადოებაში ხშირად გაისმოდა ბევრი წერის მოწინააღმდეგეთა მოწოდება, თუმცა უშედეგოდ. წმინდა ბასილი დიდი ასეთ ადამიანებს შეახსენებდა სიტყვებს ეკლესიასტედან: ”კიდევ გეტყვი, შვილო, ყურად იღე: ბევრი წიგნების წერას ბოლო არ ექნება და ზედმეტი ფიქრი სხეულს აღუნებს” (ეკლესიასტე 12,12). – Лебедев А.П. Братья Господни. Исследования по истории древней Церкви, СПб, 2004, с. 126.


მატის აღიარება და განმტკიცება. ბიბლიურ კონცეფციაზე დაფუძნებული საზოგადოების ციკლური განვითარების ანტიკური თეორია იცვლება ღროის სწორხაზოვანი, ევოლუციური განვითარების კონცეფციით, რომელიც ღროის აღრიცხვას იწყებს სამყაროს შექმნიდან.

560 წელს პირველად შედგა საისტორიო სახელმძღვანელოთა ნუსხა. თავის მიერ დარსებულ მონასტერში კასიოდორემ შეადგინა ინსტიტუციები, სადაც მოცემული იყო ნუსხა იმ ისტორიული ნაწარმოებებისა, რომელთა შესწავლა აუცილებელი იყო რელიგიური აღზრდისათვის. ინსტიტუციებში კასიოდორმა მკაცრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ისტორია და ქრონიკა<sup>51</sup>.

---

<sup>51</sup> ჩვენ ხშირად „ქართლის ცხოვრებაში“ შემაკვალ თხზულებებს მოვიხსენიებთ, როგორც ქრონიკებს, რაც, ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან ეს ნაწარმოებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი წერის მანერითაც და ხასიათითაც. ცნობილი ფრანგი ავტორი ბერნარ გენე ნაშრომში “ისტორია და ისტორიის კულტურა შუა საუკუნეების დასავლეთში” იძლევა შუა საუკუნეების მწერლობის ფანრების დახასიათებას. მისი კლასიფიკაციიდან შეიძლება გამოვყოთ ძირითადად სამი ფანრი: ანალები, ქრონიკები და ისტორია. ასევე საინტერესოა ბიზანტიური საისტორიო მწერლობის კლასიფიკაცია, რომელიც თანამედროვე ბიზანტინისტიკის მიღწევების საფუძველზე გვაქვს გადმოცემული ჩვენს ნაშრომში და რომელიც შეეხება ბიზანტიის კულტურას (ჯავახია ბ. ბიზანტიური კულტურა – კულტუროლოგია, თბ., 2003). ბიზანტიაში ცნობილი იყო საისტორიო მწერლობის სამი სახე: ზოგადად ისტორიები, საეკლესიო ისტორია და ქრონოგრაფია. ამ დაკვირვებებიდან გამომდინარე, „ქართლის ცხოვრებაში“ შემაკვალ ნაწარმოებები არ არის მხოლოდ ქრონიკები, არამედ გვაქვს ისტორია და ქრონოგრაფიაც, უფრო მეტად კი – ისტორია, რომელშიც პირველ ადგილზე დგას თხრობა, ხოლო ქრონიკაში – ქრონოლოგია. ამ თვალსაზრისით, ჯუანშერის ნაწარმოები ნაკლებად არის ქრონიკა, არამედ უფრო ისტორიაა, რომელშიც, ვეროპული ნაწარმოებების (გრიგორი ტურელი, ბედა პატიეღებული) მსგავსად, განსაკუთრებული ხაზგასმია საეკლესიო ანუ ქრისტიანული ისტორიისა. სხვაობა ისტორიისა და ქრონიკას შორის გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ ისტორიული ნაწარმოების





### ლათინური ზღაპარი

კასიოდორეს რეკომენდაციით, კაროლინგების ეპოქის ყველა მონასტრის ბიბლიოთეკაში უნდა გამოყოფილიყო სექცია ქრისტიანი ისტორიკოსების წიგნებისათვის. ისტორიის ნაშრომებს ის მიაკუთვნებდა, უპირველეს ყოვლისა, იოსებ ფლავიუსის ბერძნულ ენაზე დაწერილ “იუდეველთა ომს”, თარგმნილს ლათინურ ენაზე, ასევე ევსევი კესარიელის საეკლესიო ისტორიას, თარგმნილს ლათინურ ენაზე, რუფინუსის და მის მიერვე შედგენილი ევსევი კესარიელის საეკლესიო ისტორიის გაგრძელებას, რომელიც წარმოადგენდა სოკრატეს, სოზომენესა და თეოდორიტეს ნაშრომთა კომპილაციას, ტრადიციულად ის ცნობილია სამნაწილიანი ისტორიის სახელწოდებით – *Historia tripartita*. რეკომენდებულ ნაწარმოებთა შორის იყო ოროზიუსის მიერ დაწერილი “ისტორია წარმარ-

სტრუქტურა, არჩევანი, რომლის წინაშე იდგა ისტორიკოსი წერის დაწყების წინ.

თების წინააღმდეგ”, რომელშიც ავტორს გადმოცემული ჰქონდა მსოფლიოს ისტორია სამყაროს შექმნიდან, აგრეთვე გრაფ მარცელინის მიერ შესრულებული ისტორიულ-გეოგრაფიული ტრაქტატი. ამ ექვსი ისტორიული ნაწარმოების გარდა, კასიოდორეს დასახელებული ჰქონდა სამი ქრონიკა: უპირველეს ყოვლისა, ევსევი კესარიელის ქრონიკა, რომელიც თარგმნა და გაგრძელება დაურთო იერონიმემ, ევსევი კესარიელისა და იერონიმეს ქრონიკის გაგრძელება, შესრულებული გრაფ მარცელინის მიერ, მიყვანილი 534 წლამდე და პროსპერ აქვიტანიელის ქრონიკა, შედგენილი V საუკუნის შუა ხანებში. ამ ნაწარმოებებიდან მხოლოდ გრაფ მარცელინის ნაშრომმა ვერ მოაღწია ჩვენამდე, ხოლო დანარჩენები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ბერნარ გენე ამ ნაწარმოებებს ბედა პატივდებულის “ინგლისელი ხალხის საეკლესიო ისტორიას” და პავლე დიაკონის ლანგობარდების ნაწარმოებებთან ერთად (“ლანგობარდების ისტორია” და “რომის ისტორია”) მიიჩნევს ქრისტიანული ისტორიოგრაფიისა და ევროპული კულტურის საფუძვლად<sup>52</sup>. შუა საუკუნეების ამ ნაწარმოებებს აქვთ ერთი საერთო, ეს არის ქრისტიანული სამყაროს ერთიანობის შეგრძნება. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი ბერძნულ ენაზე შეიქმნა, ისინი მალევე ითარგმნა ლათინურად, რადგანაც დასავლეთისათვის გამაერთიანებელი ღვთაებრივი სიბრძნის ენა ლათინურია. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა სახელმწიფო ერთეულის ერთიანობა ერთ წიაღში, სახელდობრ, რომის ეკლესიის წიაღში, ასევე ერთიანობა რელიგიურ წეს-ჩვეულებებში.

საერთოდ, შუა საუკუნეების საისტორიო აზროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება ევსევი კესარიელის ნაწარმოებებს. ეს ავტორი ერთნაირად პოპუ-

---

<sup>52</sup> Bernard Guenee. Histoire et culture Historique dans L'occident Medieval, Paris, 1988, გვ.346.

ლარული იყო როგორც დასავლეთში, ისე, თავისთავად, აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც შეიქმნა ეს ნაწარმოები. ამ ნაწარმოებიდან ადგილები პირდაპირ გადაჰქონდათ თავიანთ შრომებში, ჩანარების სახით. ამ ნაწარმოებს ერთნაირად კარგად იცნობენ როგორც ქართველი მემკვიდრეები, ასევე ბედა პატივდებული ბრიტანეთის კუნძულიდან. ევსევი კესარიელის ნაწარმოები არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ეკლესიის ისტორიას, არამედ ეს არის ხალხთა ისტორია, გაერთიანებული ეკლესიის მიერ, რომელიც იღვწოდა აღმკვიდრების სულების ხსნისათვის. როგორც ბერნარ გენე აღნიშნავს, ეს იყო ღვთისმეტყველის ნაშრომი. მას შემდეგ ისტორიკოსების უმეტესობა გვევლინება, ამავე დროს, ღვთისმეტყველებად, თითოეულ მათგანს აქვს საერთო მიზანი: იღვაწოს ღვთის სადიდებლად. ისტორია და თეოლოგია მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. თავდაპირველად, ანტიკურობის დასასრულს და შუა საუკუნეების დამგვეს, ძირითადად მაინც ზოგადქრისტიანული იდეოლოგიის გავლენა ჩანს, რადგანაც ამ ეტაპზე ძნელია მისი საფუძველი ბიბლიის ცოდნაში ვეძებოთ, — ბიბლია ჯერ კიდევ არ იყო ფართო მოხმარებაში მასებისათვის. ბიბლიის სრული ტექსტიც კი იშვიათობას წარმოადგენდა. ძირითადად მაინც გავრცელებული იყო წიგნები, რომელიც სჭირდებოდათ ლიტურგიისათვის, ანუ სახარება, მიმართვები და ფსალმუნები. ბიბლიის ცოდნა უფრო გვიანდელი ეპოქისათვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით, მაღალი შუა საუკუნეებისათვის, როდესაც მისი გამოყენება საისტორიო ნაშრომებში ხდება განსხვავებულად, უპირველესად, სამეფო საგვარეულოთა განსაზღვრებლად. ეს პროცესიც მსგავსად მიმდინარეობს მთელს ევროპულ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც. ეს დამოკიდებულია გარკვეულ სოციალურ პირობებზე. გარდა ამისა, თუ შუა საუკუნეების დამდეგს ისტორიის სწავლება, ძირითადად, მიმართულია ქრისტიანი ხალხების რომის ერთიან წიაღში გაერთიანებისაკენ, უკვე მაღალ შუა

საუკუნეებში მოვლენები საპირისპირო მიმართულებით ვითარდება, ამ დროისათვის ისტორიის ასპარეზზე დაწინაურებულ ხალხებში მიმდინარეობს რომის შემკვიდრების თეორიის ჩამოყალიბება. ეს პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც არა რომში დაბრუნება, არამედ რომის პირველობის იდეის გადმოტანა თავიანთ ქვეყნებში. მსგავსი მოვლენა აისახება საქართველოში ქართული რენესანსის ხანაში, რასაც, ვფიქრობთ, ცალკე გამოკვლევა უნდა მიეძღვნას.

სხვათა შორის, როგორც ამას საისტორიო ნაშრომთა ანალიზი გვიჩვენებს, ევროპის დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც (ასევე საქართველოში), სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესის ევოლუცია ერთნაირია: პირველ ეტაპზე ჩნდება თეორია სამართლიანი ომებისა, როდესაც ხალხები თავს იცავენ არაქრისტიანი ბარბაროსებისაგან, თუმცა ეს ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის ხელდასხმით და ბრძოლაში გამარჯვების მომპოვებელი იარაღი არის მხოლოდ ჯვარი და უფლის ნება, მისი მეოხება, ან დამარცხების შემთხვევაში – ადამიანების ჩადენილი ცოდვებისათვის უფლის სასჯელი. დასაშვები ბრძოლა მთელს ევროპულ სივრცეში – ეს არის ჯვრის წამძღვარებით ბრძოლა წარმართების წინააღმდეგ, ანუ მათი დახსნა ბოროტისაგან. ასეთი ბრძოლის მაგალითია ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს მთიანეთში და ასევე ფართოდ ცნობილი ბრძოლა ფრანკებისა ქრისტიანობის გასავრცელებლად საქსებში. წმინდა ომისა და საღვთო ომის თეორია კი ვითარდება გვიან დასავლეთ ევროპაში, კლუნიურ იდეებთან დაკავშირებით, და ბიზანტიასა და საქართველოში – გარეშე მტრების (არაბების, განსაკუთრებით კი თურქ-სელჩუკთა) წინააღმდეგ ბრძოლებში.

შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობის დუალისტური და პროვიდენციალური ხასიათი გამოკვეთილად წარმოგვიდგენს ამ ეპოქის მწერლობას. ასევე უაღრესად ღიძია ამ ეპოქის ნა-

წარმოებთა მნიშვნელობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ გვსურს გვერდი აუვართ ჰ. ბოკლის მოსაზრებას ევროპის ისტორიის წარმოშობის შესახებ მის “ინგლისის ცივილიზაციის ისტორიაში”. მისი აზრით, დასავლთს წერილობითი წყაროების შექმნამ დააკარგვინა დიდი ნაწილი გადმოცემებისა და თქმულებებისა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ის ჩამოთვლის ისტორიის გაყალბების სამ ძირითად მიზეზს შუა საუკუნეების დამდეგს. პირველი, მისი აზრით, იყო დასავლეთ ევროპაში დამწერლობის სწრაფი შეტანა და მის შედეგად მომხდარი აღრევა რამდენიმე ადგილობრივი თქმულებისა, რომლებიც ცალ-ცალკე დამაჯერებელი იყო, მაგრამ ერთად შერეული კარგავდა პირველად სახეს და გაუგებარი ხდებოდა. მეორე – რელიგიის შეცვლამ გაწყვიტა არა მხოლოდ თხრობის ძაფი, არამედ დამახინჯა და შერყვნა იგი უცხო მინარევებით. მესამე, ყველაზე მთავარი მიზეზი ისტორიის დამახინჯებისა იყო ისტორიული ცოდნის ერთი კლასის მიმართულებით თავმოყრა. შუა საუკუნეების ისტორიული ქრონიკების პრიმიტიულობის ერთ-ერთ ნიშნად ჰ. ბოკლი ასახელებს ამ ქრონიკებში ევროპელი ხალხების მიერ თავის წინაპრებად ტროას ალყაში მონაწილეთა დასახელებას. “არავის მოსდიოდა აზრად, ეჭვი შეეტანა ამ ფაქტში. დავა მიდიოდა მხოლოდ იმის თაობაზე, სახელდობრ ვისგან წარმოსდგებოდნენ ცალკეული ევროპელი ხალხები... ფრანგები თვლიდნენ, რომ მათი წინაპარი იყო ფრანკი და ყველამ იცოდა, რომ ის იყო ჰექტორის ვაჟი. ასევე ცნობილი იყო, რომ ბრიტები წარმოიშვნენ ბრუტუსისაგან, რომლის მამაც ენოსი იყო<sup>53</sup>. რადგანაც ჩვენთვის საინტერესოა შუა საუკუნეების წყაროების იდეოლოგია, ავტორის ამ მართებულ განსაზღვრებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ასეთი ხასიათის ძირების ძებნა ევროპის სახელმწიფოების ისტორიაში ჩნდება უფრო გვიან პერიოდში, როდესაც პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე, შუა

<sup>53</sup> Бокль Г История английской цивилизации, М.1868 с. 222.

საუკუნეების აზროვნების შესაბამისად, სურთ დაამტკიცონ თავიანთი წარმოშობის განსაკუთრებულობა და ხაზი გაუსვან თავიანთ უპირატესობას. ასეთი სახის თეორიები ვრცელდება შუა საუკუნეების ყველა ხალხებში. ხშირად ამ თეორიას განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა სოციალური ფენების განსხვავებული მდგომარეობის საფუძვლიანობის დასასაბუთებლად. რადგანაც გარკვეული საგვარეულოს წინ წამოწევის დროს შესაბამისად იქმნება მისი სხვა გვარებისგან თუ მასებისაგან განმასხვავებელი ისტორია<sup>54</sup>.

შუა საუკუნეების ევროპული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა, დასავლეთ ევროპის მწერლობის შედარება ბიზანტიურ და ქართულ საისტორიო მწერლობასთან იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ ეს მწერლობა აღმოცენდა ზოგად ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფონზე, რომელიც დაამკვიდრეს საეკლესიო მამებმა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ მიმოხილული ლიტერატურა ზოგადად თანადროულია, მაინც არსებობს მათ შორის გარკვეული სხვაობა დროში, ვფიქრობთ, ეს ლიტერატურა იქმნებოდა არა ურთიერთმიბადვით, ან ხდებოდა მოდელების გადმოტანა ერთი, რომელიმე ნაწარმოებიდან, არამედ ისინი თანადროულად ყალიბდებოდა.

---

<sup>54</sup> მსგავსი შენიშვნა საქართველოს ისტორიის მაგალითზე აქვს ნ. ბერძენიშვილს: «ლენტი პროველს მთელი აზნაურობა არ მიაჩნა ქართველებად... არც ერთი დიდი აზნაური თავის წარმოშობას ქართველს არ უკავშირებს, დაწყებული მეფიდან; აზნაურები ხომ აზონაურებია = რომაელები. ბაგრატიონები ურიასტანიდან, ორბელიანები – ჩინეთიდან, წერეთლები – ლეკეთიდან, მხარგძელები – ქურთები თუ სპარსელები, ციციშვილები – ებრაელებიდან, და ეს აიხსნება ტომობრივი მონათესაეობის ნიადაგზე?» – ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990. გვ.408-409.

## სასანური ირანი და ქრისტიანული კულტურა



*არღამირი. რელიეფი*

შუა საუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში არ შეიძლება ირანული კულტურის მნიშვნელობის უგულებელყოფა. ჩვენ თავიდანვე აღვნიშნავდით აღმოსავლური კულტურის მნიშვნელობას, განსაკუთრებით, ბიზანტიური ცივილიზაციისათვის, თუმცა, ძირითადად, სირიულ ან ელინისტურ კულტურასთან მიმართებაში. ცნობილი რუსი ბიზანტინისტი ა. ვასილევი მიუთითებს, რომ ახალი ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის აღმოსავლურ კულტურას. საერთოდ, როგორც XIX საუკუნეში უკვე აღიარებდნენ, ზოგადად რომის კულტურამ, რომელიც ვითარდებოდა დასავლეთში I-II საუკუნეებში, შეცვალა აღმოსავლურ-ელინისტური კულტურა და მოამზადა ნიჟადაგი ქრისტიანული კულტურისათვის. ავსტრიელი მეცნიერი ი. სტრუეიგოვსკი ნაშრომში “აღმოსავლეთი და რომი” ფართოდ იკვლევს ქრისტიანული კულტურის საფუძვლებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს მის აღმოცენებაში აღმოსავლური კულტურის მნიშვნელობას. ი. სტრუეიგოვსკი აღმოსავლე-

თად მიიჩნევს ირანს. ის წერს: “რაც იყო ელადა ანტიკურობისათვის, ის იყო ირანი ახალი ქრისტიანული სამყაროს ხელოვნებისათვის”<sup>55</sup>. ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი ირანისა და დასავლეთის სახელმწიფოების ურთიერთობათა პოზიტიური ასპექტი. უმეტესწილად განხილულია მათი დაპირისპირება, ასევე თითქმის შეუსწავლელია ქრისტიანული რელიგიის გავრცელება და ქრისტიანული ეკლესია ირანში. ამ საკითხების ფართოდ შესწავლამ, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის ისტორიის რამდენიმე პრობლემის ახლებურად გაგების საშუალებაც კი მოგვცეს<sup>56</sup>. ეს შემდგომი კვლევის საკითხია, ამჯერად ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგადად ირანულ კულტურის გავლენას ქრისტიანული სახელმწიფოების კულტურაზე. რასაკვირველია, ირანს უდიდესი პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჰქონდა საქართველოსა და სომხეთზე. მაგრამ არანაკლები იყო ირანის გავლენა ევროპულ კულტურაზე. ს. რანსიმენის განმარტებით, ბიზანტიის საიმპერატორო კარის გარეგნული წყობასა და ცე-

---

<sup>55</sup> Васильев А. История Византийской империи, т. I, СПб., 2000, с. 188.

<sup>56</sup> ირანის ქრისტიანული ეკლესიის მიმართ საკუთარი პოზიციის არსებობა და მისი გამოვლენა საქართველოს მიმართ საინტერესო პრობლემაა, ამ საკითხის გარშემო რამდენიმე საინტერესო მოსაზრება არსებობს ქართულ ისტორიოგრაფიაში (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჯანაშია, მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე...). «უთუოდ, V საუკუნის I ნახევარში ქართლში არსებობდა ორი საეკლესიო ფრთა – პრობერძნული და პროსპარსული ორიენტაციისა”. ჩვენი აზრით ავტორის ეს მოსაზრება შემდგომ კვლევას მოითხოვს, მით უფრო ნაკლებად დამაჯერებელია მოსაზრება –“IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან V საუკუნის 60-70-იანი წლებამდე... ქართული ეკლესია ბერძნული ეკლესიისაგან დამოუკიდებელი უნდა იყოს” – მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1996, ტ. I, გვ. 255. ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა ამ ეპოქის ირანში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის უფრო ვრცლად შესწავლა, რადგანაც წმინდანთა ცხოვრების მართლმადიდებლურ საკითხავეში მრავლად გვხვდებიან მართლმადიდებელი რწმენისათვის ირანში აღსრულებული წმინდანები.



რემონიალებზე დიდი იყო ირანული გავლენა<sup>57</sup>. ირანის დიდი იმპერია ანგარიშგასაწევი გახლდათ როგორც ანტიკური რომის, ასევე ქრისტიანული რომისათვის. მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირება ამ ორ იმპერიას შორის. მათი ჰარმონიული თანაარსებობის ისეთი მნიშვნელობის ფაქტებიც არის დადასტურებული, როგორცაა ირანის შაჰის ან ბიზანტიის იმპერატორის ტახტის მემკვიდრეების რეგენტებად გამოცხადება. მაგალითად, ზოგიერთი წყაროს გადმოცემით, იმპერატორ არკადიუსს თავისი მცირეწლოვანი შვილის თეოდოსიუსის მეურვედ დაუსახელებია ირანის შაჰი იეზდიგერდი. მსგავს მოვლენას ვხვდებით მაერიკიუსისა და ხოსრო II ურთიერთობის დროსაც.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ნაკლებად აქცევს ყურადღებას ირანის სახელმწიფოში ქრისტიანობის არსებობის ფაქტს, ძირითადად, ქართულ-ირანულ კონფესიურ დაპირისპირებაში აქცენტი კეთდება დაპირისპირებაზე მაზდეანობასა და ქრისტიანობას შორის, ან იმაზე, რომ ირანი მხარს უჭერდა მონოფიზიტებს და უპირისპირდებოდა დიოფიზიტ ქართველებს ბიზანტიასთან ერთმორწმუნეობის გამო. ამ პრობლემების შემდგომი კვლევისას, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს ირანში ქრისტიანობის არსებობის, მართალია, ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ ფაქტორს<sup>58</sup>. ა. ვასილევის აზრით, იეზდიგერდ I-მა, კონსტანტინე დიდის მსგავსად, შეაფასა, თუ რაოდენ დიდი იყო ქრისტიანული ელემენტის მნიშვნელობა მის იმპერიაში საკუთარი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად და 409 წელს ქრისტიანებს ოფიციალურად მისცა ქრისტიანული ღვთისმსა-

---

<sup>57</sup> Runciman S. Byzanz. Von der Grundung bis zum Fall Konstantinopel, Munchen, 1976

<sup>58</sup> ამ პრობლემებს განხილვას ეცდილობთ ჩვენს ნაშრომში, რომელიც შეხება ქრისტოლოგიურ დაეებს. ნაშრომი მზადაა გამოსაცემად

ხურების აღსრულებისა და ეკლესიების აღდგენის უფლება<sup>59</sup>. ზოგიერთი ისტორიკოსი იეზუდებზე I-ის ამ აქტს უწოდებს მილანის ედიქტს სირიული ეკლესიისათვის. 410 წელს ქტეზიფონში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელზეც შეიქმნა ირანის ქრისტიანული ეკლესია და არჩეულ იქნა ქტეზიფონის ეპისკოპოსი, რომელმაც მიიღო კათალიკოსის წოდება.

ირანი, როგორც აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო დასავლეთში უდიდეს ინტერესს იწვევდა. როგორც ბიზანტიურ ასევე დასავლეთ ევროპულ ნარატიულ წყაროებში დიდი ადგილი უჭირავს ირანს და ირანში მიმდინარე მოვლენებს. ხშირად ამ წყაროებში აღწერილი ფაქტების სინამდვილე საეჭვოა, მაგრამ მაინც საინტერესოა, რადგანაც ამბები, რომელსაც გადმოგვცემენ ქრისტიანი ქრონისტები გამოხატავენ, როგორც მათ დამოკიდებულებას ირანის სახელმწიფოს მიმართ, ასევე იმ ინტერესებს, რომელიც მათ გააჩნდათ აღმოსავლეთის ამ უდიდეს იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელების თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთი გადმოცემა ირანის გაქრისტიანების შესახებ გვხვდება ფრედეგარიუსის ქრონიკაში. ვფიქრობთ, ეს გადმოცემა უფრო ლეგენდას ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს, რადგანაც მასში დასახელებული პიროვნებები იმ პერიოდის ირანის ისტორიაში არ გვხვდებიან, თუმცა ბიზანტიის მხარეს დასახელებული პირები შეესაბამებიან სინამდვილეს. ასევე ლეგენდად მიაჩნია ფრედეგარიუსის ქრონიკაში მოცემული ცნობები ირანის გაქრისტიანების შესახებ ს. ივანოვს<sup>60</sup>. “588 წ. ამ წელს ირანის იმპერატორის ანაულფის

<sup>59</sup> Васильев А. История Византийской империи, т.1, СПб, 2000, с. 156.

<sup>60</sup> Иванов С.Ф. Византийское миссионерство, М., 2003, с. 108 ირანში ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს ვ. სელბის წიგნი, რომელიც შეეხება აღმოსავლეთის ნესტორიანული ეკლესიის სამართლის ისტორიას – Selb W. Orientalische Kirchenrecht, Bd.I. Die Geschichte des Kirchenrechts des Nestorianen (von Anfängen bis zur Mongolenzeit), Wien, 1981

ცოლმა სახელად ცეზარამ დატოვა თავისი ქმარი. ოთხ მოსამსახურე ბიჭთან და ასევე მრავალ მოსამსახურე ქალთან ერთად მივიდა წმინდა იოანესთან კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსთან, უთხრა რომ არის წარმართი ხალხიდან და მოვიდა მასთან, რათა მიიღოს ქრისტიანული ნათლობა. როდესაც ის, ამ წინამძღვრისაგან მოინათლა მისი ნათლია გახდა იმპერატორ მაგრიკიუსის მეუღლე, დედოფალი”<sup>61</sup>. უფრო მეტად მნიშვნელოვანია ტექსტის შემდეგი ნაწილი, რომლის თანახმადაც დედოფლის საძებნელად გამოგზავნილი ირანის შაჰის ელჩობა იღებს ქრისტიანობას, უკვე გაქრისტიანებული ირანის დედოფლის მოთხოვნის შედეგად და ასევე პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ ანტიოქიაში კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსმა წმინდა იოანემ მონათლა თვითონ ირანის შაჰი და მასთან ერთად 60000 ირანელი. აქვე არის მოთხრობილი, რომ ირანის შაჰის თხოვნით ირანში გაიგზავნა სასულიერო პირები, რომელთაც განათლეს მთელი ირანი<sup>62</sup>. ეს ამბავი შე-

---

<sup>61</sup> 588 ... *Eo anno uxor Anaulfi imperatores Persarum namen Caesara virum relinquens, cum quattor pueris, totidem puellis ad beatum Johannem episcopum Constantinopule veniens, se unam esse de populo dixit et baptismi gratiam ad antedictum beatum Johannem expetit. Cumque ab ipso pontifice fuisset baptizatus, augusta Maurici importales ea de sancto suscepit lavacro*” – *Fredegarius Chronica* –9. *De uxorem Anaulfi regis Persarum nomini Cesara ელექტრონული ვერსია*

<sup>62</sup> “*Legati imperatore Persarum nunciantes statim ille legationem ad Mauriko imperatore misit, ut sanctam Johannis venerit Anciociam; ipso tradente, baptismus vellent accipere. Tunc Mauricius imperator infinitissimum adparatum Anciociam fieri iussit, ubi imperator Persarum cum sexaginta milia Persus baptizatus est, et per duobus ebdomadis a Johanne et reliquis episcopus Persas ad plenitudinem supra scripto numero baptizantur. Emperatorem illum Gregorius episcopus Anciociam sascepit de lavacrum. Anaulfus imperator Mauricio imperatore patens, ut episcopus cum clero sufficiente edem darit, quos in Persas estabelirit, ut universa Persada baptismi gratiam adhiberint. Quod Mauricius libenti prestetit animo, summaque celeritate omnis Perseda ad Christi cultum baptizantur*” - *Fredegarius Chronica* –9. *De uxorem Anaulfi regis Persarum nomini Cesara ელექტრონული ვერსია*

ეხება ირანში ჰორმიზდ IV მმრთველობის პერიოდს, რომელიც მართლაც გამოირჩეოდა ტოლერანტული დამოკიდებულებით ქრისტიანობის მიმართ. ირანში ქრისტიანობის არსებობის თვალსაზრისით, ასევე ფრიად საინტერესოა ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა დასის შესწავლა, რადგანაც, როგორც ადრე მუეუთით, საეკლესიო კალენდარში მოცემულ წმინდანთა შორის დიდი რაოდენობით გვხვდებიან წმინდანები ირანიდან, რომელთაც ქრისტიანობის დევნის ხანაში თავი დადეს სარწმუნეობისათვის.



*ზოსრო ანუშირვანი. რელიეფი*

ირანში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები არის დაცული ნესტორიანულ ქრონიკებში<sup>63</sup>.

ს. ივანოვის ნაშრომში ბიზანტიური მისიონერობის შესახებ არის ასევე ცნობები სირიული ქრონიკებიდან, რომლის თანახმადაც, 590 წელს ირანში მოიმხდარი არეულობის შემდეგ, როდესაც მავრიკიუსი დაეხმარა ირანის შაჰს ზოსრო II-

<sup>63</sup> ამ ქრონიკებს შორის ერთერთი გამორჩეული წყარო არის ელიას ნიზიბინელის ქრონოგრაფია (Eliae metropolitae Nisibini opus chronologicum, Corpus Scriptorum Christianorum Orientalis, 62, Script 21-22., Paris, 1909/1910 Text und übersetzung E. W. Brooks

ს ტახტის დაბრუნებაში, მას ცოლად მისცა თავისი ახლობელი ქალი. ამ ქალის პატივსაცემად ხოსრო II-ს ირანში ორი ტაძრი – წმინდა სერგიუსის და ღვთისმშობლის ტაძრი აუშენებია, რომელიც უკურთხებია ანტიოქიის პატრიარქს ათანასეს.<sup>64</sup>

ირანის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები, რასაკვირველია, განსაკუთრებულ ყურადღების საგანი იყო მისი მოწინააღმდეგე რომისათვის. ჩვენთვის ქრონოლოგიურად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასანური ირანი, რომელიც თავის თავს მიიჩნევდა აქემენური ირანის, ასევე რომის კეისრების მემკვიდრედ. სასანური ირანი იყო ძირითადი მოწინააღმდეგე ბიზანტიისა აღმოსავლეთში. მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნებისათვის ბიზანტია იყო მთავარი მოკავშირე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც უმეტესად რელიგიურ ხასიათს ატარებდა და, ამდენად, ბიზანტიის იმპერატორი ამით უფრო ამყარებდა თავის ტიტულს, როგორც სრულიდ ქრისტიანთა იმპერატორი და ქრისტიანობის დამცველი.

სასანური ირანის მხედრობამ გავლენა მოახდინა ბიზანტიის სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. ირანი წარმოადგენდა აღმოსავლეთში რომის იმპერიის უძლიერეს მოწინააღმდეგეს, ამდენად რომის ჯარის საბრძოლო შესაძლებლობანი უნდა ყოფილიყო შეწონასწორებული ირანის სამხედრო ძალასთან, რომელიც ძირითადად მხედრობისაგან შედგებოდა. ირანის ჯარის სამხედრო შეიარაღება და წყობა სანიმუშო გახდა ევროპული სახელმწიფოებისთვის. ცხენოსან ბარბაროსებთან რამოდენიმე დამარცხებამ დააფიქრა ევროპა ახალი არმიის შეიარაღებასა და წყობაზე. ნაწილი ისტორიკოსებისა

---

<sup>64</sup> Иванов С.Ф. Византийское миссионерство, М., 2003, с. 109, ეს ცნობა თვითონ ს. ივანოვს აღებული აქვს ნ. პიგულებესკაიას წიგნიდან – Пигулевская Н.В. Византия и Иран на рубеже VI и VII веков, М.-Л., 1946

შუა საუკუნეების რაინდს მიიჩნევს ირანის მხედართა სამხედრო ტექნიკისა და ხელოვნების შემკვიდრედ<sup>65</sup>.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ფრიად საინტერესოა IV საუკუნის ისტორიკოსის ამიანე მარცელინეს მიერ მოცემული ირანელი ცხენოსნის შეიარაღების აღწერა: “ყოველ მხედარს მთელი ტანი დაფარული აქვს მცირე ფირფიტებით... სახე დაცულია ნიღბით... მთელ სხეულზე არც ერთ ისარს არ შეუძლია შეაღწიოს აბჯარში, თუ არ მოხვდა თვალის წინ დატოვებულ მცირე საჭკრეტს, ასევე მცირევე ჭუჭრუტანას ნესტოებთან, რომლითაც მეომარი გაჭირვებით სუნთქავს. შუბებით შეიარაღებულ მეომართა ნაწილი იდგა უძრავად, ისე რომ კაცს ეგონებოდა, თითქოს ისინი რკინის ჯაჭვებით იყვნენ დაბმულნი. მათ გვერდით იყვნენ განლაგებულნი მშვილდოსნები<sup>66</sup>”.



<sup>65</sup> Флори Ж. Идеология меча, СПб, 1999, с.34.

<sup>66</sup> Ammiani Marcellini, Rerum Gestarum, Berlin, 1983 გერმანული თარგმანით, Liber XVIII, გვ. 41.

საქართველო შუა საუკუნეების ევროპის  
ქრისტიანული ცივილიზაციის სათავეებთან

ზოგადქრისტიანული სივრცის განცდა



*ჯვრის ამაღლება. მცხეთა. VI ს.*

წინა თავებში ჩვენს მიერ წარმოდგენილი შუა საუკუნეების ცივილიზაციის ზოგადი მახასიათებლები და წანამძღვრები, ვფიქრობთ, გვაძლევს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას საქართველოში შუა საუკუნეების დასაწყისის ქრონოლოგიის გარკვევისა და ქართული შუა საუკუნეების კულტურის ცივილიზაციური მიკუთვნებულობის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, შუა საუკუნეების რომელ ცივილიზაციას შეიძლება მივაკუთვნოთ იგი.

საქართველო შუა საუკუნეებს იწყებს ერთიან ქრისტიანულ სივრცეში, ერთიან ევროპაში, რომლის შემაკავშირებელ-

საც ნომინალურად ისევ წარმოადგენდა ქრისტიანული რომი, ანუ ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც ახალ იმპერიას განაგებდა ახალი, ქრისტიანული რომიდან – კონსტანტინოლიდან.

ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაცია თავდაპირველად აღმოცენდა როგორც ერთიანი სივრცე, თუმცა მას განსხვავებული წანამძღვრები შეიძლება ჰქონდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში<sup>67</sup>.

საქართველო ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან (ქართველებში სახელმწიფოებრივი გართიანების, ან რაიმე სხვა ნაციონალური ერთობის დამადასტურებელი გაერთიანების არსებობის დროიდან) აქტიურად არის ჩართული მსოფლიო პროცესებში. ამას განაპირობებდა, გარდა მისი პოტენციური შესაძლებლობებისა, ის, რომ იგი მდებარეობდა რეგიონში,

---

<sup>67</sup> ძალიან საინტერესოა ა. რუდაკოვის აზრი ბიზანტიური სივრცის, როგორც ერთიანი ქრისტიანული სივრცის შესახებ – “მსგავსად კიროსის, ალექსანდრესა და ავგუსტუსის მონარქიებისა, ბიზანტია წარმოადგენდა ერთერთ ყველაზე ნათელ ილუსტრაციას იდეისა, რომ ჭეშმარიტი საკაცობრიო კულტურა არ საჭიროებს ნაციონალური სახელმწიფოს არსებობას. მსგავსად დასახელებული მონარქიებისა, ბიზანტია შეგნებულად ცდილობდა განეზორციელებინა იდეალი ერთიანი სამწყსოსი და ერთიანი მწყემსისა, რომელიც ეკლესიის დამფუძნებლის, ღმერთის თვალში არის *condicio sine qua non* სამყაროს მხსნელი. თუკი მოაზროვნე ბიზანტიელი სიამაყით წარმოიდგენდა თავის თავს “რომაელ”, მას ამ შემთხვევაში მხედველობაში არ ჰქონდა თავისი ეროვნება, თავისი ბერძნული ენა, წინააღმდეგ შემთხვევაში უცნაური იქნებოდა ბერძენისთვის, სირიელისთვის და მცირეაზიელისთვის სახელი “რომაელი”; ამ სახელწოდებით ის მიანიშნებდა თავის მიკუთვნებულობას უდიდესი კოსმოპოლიტური მონარქიისადმი, რომელიც მართლმადიდებელი ბასილევსის გვირგვინის ქვეშ ერთიანება მთელ ცივილიზებულ სამყაროს, ყველა ხალხსა და ტომს, ასეა თუ ისე, ისინი არიან მემკვიდრეები იმ კეთილდღეობისა, რომელიც გაღმოეცათ ძველი ცივილიზაციისაგან”. – Рудаков А.П. Очерки византийской культуры по данным греческой агиографии. СПб, 1997, с.64-65.



სადაც იქმნებოდა და ვითარდებოდა წინარე ანტიკური კულტურა. ქართველთა მონაწილეობა და წვლილი წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის კულტურაში ვრცლად არის წარმოჩენილი კულტურის ისტორიის მკვლევართა შრომებში. ქართული კულტურა ძველი ისტორიის პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ანტიკურ კულტურასთან. საქართველო ეკუთვნის ელინისტური კულტურის ქვეყნებს, რომელიც, ქართული საისტორიო წყაროების გადმოცემით, მსგავსად მრავალი სხვა აღმოსავლური ხალხებისა, სახელმწიფოებრიობას ქმნის ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებული უზარმაზარი იმპერიის დაშლის შემდეგ. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში იწყება I საუკუნეში, ქრისტეს მოციქულების მიერ. საქართველო არის ასევე მაგალითი ქრისტიანობის გავრცელების თაობაზე ა. შემმანის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ქრისტიანობის გავრცელება იერუსალიმის გარეთ ხდებოდა იმ ქალაქებში, სადაც ადრე იყვნენ ჩასახლებულნი იუდეველები (მცხეთა და ელიოზ მცხეთელი, რომელიც ტომით ებრაელი იყო და რომელმაც ჩამოიტანა ქრისტეს კვართი საქართველოში; პირველად ამ ქალაქში ჩამოყალიბდა ქრისტიანული თემი), ხოლო შემდეგ ელინიზებულ ხალხებში. ა. შემმანი ელინიზებულად მიიჩნევს იმ ხალხებს, რომლებზეც ვრცელდებოდა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს იურისდიქცია.

საქართველოში შუა საუკუნეები იწყება ზოგადევროპულ შუა საუკუნეებთან ერთად, თანადროულად და ქართული შუა საუკუნეების კულტურა ისევე იწყებს განვითარებას, როგორც ზოგადევროპული შუა საუკუნეების ცივილიზაცია, რომელსაც აქვს საერთო წინამძღვრები და, ამდენად, განვითარების საერთო მახასიათებლები.

რასაკვირველია, ისეთ ვრცელ რეგიონში, როგორიც ევროპაა, მთელი იმ ათასწლეულის მანძილზე, რომელზედაც გაიჭიმა შუა საუკუნეები, არსებობდა, გარდა გეოგრაფიული

პირობებისა, სხვა სოციალ-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა ამ ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა განვითარების თავისებურებანი, მაგრამ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა ზოგადი განვითარების გზა მაინც საერთოა შუა საუკუნეების მანძილზე.

მართალია, დიდი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ საქართველო, ბიზანტიასთან ერთად, ღარჩა მართლმადიდებლურ სივრცეში, მაგრამ მას, როგორც ნაციონალურ სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერიისაგან განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდა, ამ უკანასკნელის მიზანს ერთიანი, ქრისტიანული მსოფლიო იმპერიის შექმნა და შენარჩუნება წარმოადგენდა. საქართველოს განვითარების გზა, მისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, უფრო დაემსგავსა იმ ქვეყნების განვითარებას (დასავლეთ ევროპის ნაციონალური სახელმწიფოები), რომლებიც თავდაპირველად ერთად იყვნენ შუა საუკუნეების ცივილიზაციის სათავეებთან და შემდგომში, საქართველოს მსგავსად, ნაციონალურ სახელმწიფოებად დაიწყეს განვითარება. დასავლეთის ხალხებს, შუა საუკუნეების დამდეგისათვის არ ჰქონდათ სახელმწიფო წარმონაქმნები და საკუთარი დამწერლობა, მათი, როგორც შუა საუკუნეების ნაციონალური სახელმწიფოების განვითარების ეტაპები უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. დასავლეთის სახელმწიფოებმა რომის იმპერიიდან გამოსვლის განსხვავებული ეტაპები გაიარეს. პირველი – როდესაც ფრანკთა სახელმწიფომ თვითონ გამოაცხადა თავი რომის მემკვიდრედ და კარლოს დიდმა გვირგვინი რომში იკურთხა. ეს იყო იმპერიის გადატანა ახალი რომიდან (კონსტანტინოპოლიდან, რომელმაც თავისთავად გამოაცხადა თავი რომის მემკვიდრედ, როდესაც IV საუკუნეში ბოზფორის სანაპიროზე გადმოიტანა რომი, ანუ შექმნა ქრისტიანული რომი). რომის გადმოტანისა და დიდებული რომის მემკვიდრეობის ამ ტენდეციის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ კარლოს დიდის მიერ იმპერატორის გვირგვინის

დადგმა. თუმცა კარლოსს მაშინვე არ გამოუცხადებია თავი რომის იმპერატორად, იგი ამისათვის თანხმობას ითხოვდა ახალი რომიდან, ბიზანტიისაგან, არშემდგარი ქორწინების შემდეგ, როდესაც ფრანკთა მეფე დაინტერესებული იყო, თავისი ქალიშვილი დაქორწინებინა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრეზე<sup>68</sup> (ეს თანხმობა მან მოგვიანებით მიიღო ბიზანტიის იმპერატორისაგან, თუმცა ბიზანტიის იმპერატორები არასოდეს შეგუებიან იმპერატორის ტიტულის არსებობას მათი ქვეყნის გარეთ). ჩვენ ეს მივიჩნიეთ დასავლეთ რომის სივრციდან გამოყოფის პირველ ეტაპად (აქ იგულისხმება რეალური ძალაუფლების მქონე ქრისტიანული რომი – ბიზანტია), მაგრამ ეს გამოყოფა არ იყო ნაციონალური ნიშნით გამოსვლა რომის სივრციდან, პირიქით, ეს გახლდათ ახალი რომის იმპერიის ჩამოყალიბება დასავლეთში, ანუ *Translatio imperii* (იმპერიის გადატანა), იმპერიის ახალი ცენტრის შექმნა. აქედან იწყება, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ევროპის გაყოფა. აქ იქმნება დასავლეთ ევროპა და საფუძველი ეყრება საეკლესიო განხეთქილებასაც. ჩნდება ორი პოლიტიკური ცენტრი – ორი იმპერატორის ტიტული და ორი უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება: პაპი დასავლეთში, როგორც მსოფლიო ეკლესიის თავი, და კონსტანტინოპოლის პატრიარქი, აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანთა წინამძღვარი, მსოფლიო პატრიარქი. ამის შემდეგ, ფრანკთა სამეფოს დაშლის შედეგად, თანდათანობით ყალიბდება ნაციონალური სახელმწიფოები. ეს პროცესი მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ ევროპასთან: თუ აღმოსავლეთში ნაციონალური სახელმწიფოები ყალიბდებოდა ბიზანტიის იმპერატორის გარკვეული მეთვალყურეობით, დასავლეთში ამ როლს რომის პაპი ასრულებდა.

---

<sup>68</sup> არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ მას თავად სურდა დაქორწინება ბიზანტიის იმპერატორზე ირინეზე.

შუა საუკუნეების ქართული კულტურა თავიდანვე არის ჩართული ზოგადქრისტიანულ ცივილიზაციაში, რომელიც მოგვიანებით იღებს ზოგადევროპული ცივილიზაციის ხასიათს, ანუ, ჩვენი აზრით, ქართული კულტურა, როგორც ნაწილი ზოგადქრისტიანული კულტურისა ცივილიზაციისა, თავიდანვე დგას შუა საუკუნეების ცივილიზაციის სათავეებთან. იგი ამ ზოგადქრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთი შემოქმედთაგანია. ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებას მოყოლოდა იმის საშიშროება, რომ საქართველოს ამ დიდ ქრისტიანულ ცივილიზაციაში პროვინციული კულტურის ბედი ხვდომოდა. ამ მოსაზრების ავტორთა დასკვნა, როგორც ჩანს, დამყარებული იყო მოსაზრებაზე, რომ ქრისტიანული ცივილიზაცია ევროპაში შეიქმნა, როგორც ლათინურენოვანი, ან ბერძნულენოვანი, ამდენად, ამ ცივილიზაციაში დომინანტის როლი ეკუთვნოდა ამ ენებს. ჩვენი აზრით, ეს ენები შუა საუკუნეების გარიჟრაჟზე ვერ გახდებოდნენ რომელიმე სახელმწიფოს თუ ხალხის კულტურის გაბატონების საფუძველი. ეს ენები არც თავდაპირველად და არც მაღალ შუა საუკუნეებში არ გამოხატავდა რომელიმე ხალხის ნაციონალობას. ყოველ შემთხვევაში, შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის სათავეებთან ქართული კულტურა წარმოდგენილია, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი ზოგადქრისტიანული ცივილიზაციისა.

რადგანაც ჟამთა სიავის გამო ნაკლებად არის შემონახული ამ პერიოდის ქართულენოვანი ლიტერატურა, ქართველთა წვლილი ამ ეტაპის ზოგად ევროპული ცივილიზაციის ისტორიაშიც უნდა ვეძებოთ. ბერძნულ-ლათინურ წყაროებმა შემოგვინახა ქართველთა სახელები, რომელთაც იმ ეპოქაში დიდი სახელი მოიხვეჭეს თავიანთი განსწავლულობით და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული ცივილიზაციის (ბერძნულენოვანი) განვითარებაში. (ვფიქრობთ, ამ მი-

მართულებით ძიებამ შეიძლება გამოავლინოს კიდევ სხვა მნიშვნელოვან პირთა სახელები, თანაც არა მარტო მეცნიერების, არამედ სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეთა; მაგალითად, 378 წლის ადრიანოპოლის ბრძოლაში მონაწილე გამოჩენილი მხედარი იბერიელი ბაკური, იუსტინიანე დიდის ჯარის სარდლები როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ფრონტზე..., რომელთა ნაწილის შესახებ ცნობილია, მაგრამ კვლევის გაგრძელებას მაინც საჭიროა).

ზოგადევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში, დასავლურ წყაროებში მრავალი მნიშვნელოვანი პირი გახლავთ დასახელებული, რომლებიც, როგორც ჩანს, ეთნიკურად ქართველები იყვნენ. აქ ჩვენ ჩამოვთვლით მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთა როლიც განსაკუთრებულია შუა საუკუნეების აზროვნების განვითარებაში. ასეთთა რიგში შეიძლება დავასახელოთ IV საუკუნის მოღვაწე ბაკური<sup>69</sup>, რომელიც ქართული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელია. იგი თავისი თანამედროვეობის გამოჩენილი ფილოსოფიური მოღვაწეა, მართალია, მის ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ცნობილია, რომ მას “ღმერთების საყვარელს” უწოდებდნენ. მას მოიხსენიებს IV საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი ლიბანოსი, რომელიც მრავალი მნიშვნელოვანი პირის მასწავლებელი იყო, მათ შორის არის რამდენიმე ცნობილი პოლიტიკური ფიგურა და საეკლესიო მოღვაწე. ცნობილია ლიბანოსის მიმოწერები ქრისტიანული ეკლესიის მამებთან – გრიგოლ ნაზიანზელთან, ბასილი დიდთან, იოანე ოქროპირთან, თეოდორე მოფსუეტელთან. ამ პერიოდის ზოგადქრისტიანულ ცივილიზაციაში ქართველთა როლის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ პეტრე იბერი, რომელიც, როგორც დღეისათვის უკვე აღიარებულია, არის ფსევდო დიონისეს არეო-

---

<sup>69</sup> დ მუსხელიშვილის აზრით, 378 წელს ადრიანოპოლის ბრძოლაში მონაწილე ბაკური არის იგივე პიროვნება. – მუსხელიშვილი დ. საქართველო IV–VIII საუკუნეებში, თბ. 2003

პაგელის სახელით ცნობილ თხზულებათა ავტორი. ამ შრომებმა კი განსაკუთრებული როლი შეასრულა შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ისინი თანაბრად პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში. განსაკუთრებულია ასევე მისი და მისი თანამებრძოლის იოანე ლაზის მნიშვნელობა აღმოსავლეთის სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში. პეტრე იბერიის მნიშვნელობას აღრეშუასაუკუნეების კულტურის ისტორიაში გამოხატავს მის თანამედროვეთა სიტყვები, რომლითაც ისინი მოიხსენიებენ მას — “მსოფლიოში განთქმული, საკვირველად სახელგანთქმული კაცი”, “მეორე მოსე”, ან კიდევ “მეორე პავლე მოციქული”. ასევე შეიძლება დავასახელოთ VI-VII საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომლის ნაშრომები ძალზე პოპულარული იყო მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ეს გახლავთ იოანე მოსხი, რომელსაც ასევე ქართველად მიიჩნევენ, რადგანაც მოსხი უნდა იყოს მისი ეთნიკური წარმომავლობის მიმანიშნებელი. ამას შეიძლება დავუმატოთ ის, რომ ზოგიერთი ნაშრომი მას აქვს დაწერილი ევირატის<sup>70</sup> ფსევდონიმით.

საქართველოში შუა საუკუნეები იწყება, როდესაც ქრისტიანობა იქცევა სახელმწიფო რელიგიად, რაც მოხდა რომის იმპერიის თანადროულად, იმპერატორ კონსტანტინე დიდის ხანაში, მეფე მირიანის ზეობის დროს.

---

<sup>70</sup> «Иоанн Евират своему возлюбленному во Христе софисту Софрониию ...». - Памятники византийской литературы, отв. ред. Л.А. Фрейндберг, М. 1968, с.233. ევირატი ბერძნულად ნიშნავს უძწიკვლოს; მოსხოსსაც აქვს ბერძნული შესატყვისი, მაგრამ იგი, ამავე დროს, უკვე გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, შეიძლება ნიშნავდეს მესხს. თუ ვივარაუდებთ ევირატში ივერიელს, ან იბერიელს, ეს მეტ დამაჯერებლობას შესძენდა ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ფსევდონიმი, რომლითაც იგი ცნობილია, უნდა იყოს მისი წარმომავლობის მიმანიშნებელი.

ქართული შუა საუკუნეები აღმოცენდა, როგორც ზოგადვერობული — ანტიკური კულტურისა და ქრისტიანობის შეპირისპირებისა და მათი სინთეზის შედეგად.

ქართული შუა საუკუნეები თანდათანობით უფრო და უფრო დაუახლოვდა ბიზანტიურს, რასაც განაპირობებდა ისიც, რომ მის წანამძღვრებში, მსგავსად ბიზანტიურისა, ჭარბობდა ელინისტური კულტურა.

ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით მიუთითებს “ცხოველმყოფელი ელინურობის არსებობას” და გავლენას ქართულ საისტორიო მწერლობაზე. “პირველ ხანაში XIV საუკუნემდე ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელინური მწერლობა ყოფილა მიჩნეული და ელინური მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ელინური მწერლობისაგან მოყვანილი ცნობები უფრო მეტია, ამასთანავე ზედმიწევნითა და უფრო დაწვრილებითაც არის გადმოცემული, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ელინური მწერლობის ცოდნა საქართველოში საზოგადოდ საკმაოდ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო<sup>71</sup>”. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ნაკლებად გვაქვს ამ ეპოქის (ადრეული შუა საუკუნეების — IV-VI სს.) საისტორიო წყაროები, ჩვენამდე მოღწეული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, როგორც ქართული, ასევე ბერძნული მაინც მიაჩნებებს ქართული კულტურის სიახლოვეს ელინისტურ კულტურასთან. მით უფრო, ამ პერიოდის არქეოლოგიური მასალები აშკარას ხდის ქართული კულტურის სიახლოვეს ანტიკურ სამყაროსთან. ამდენად, ანტიკური კულტურის გავლენა, ასევე ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოზე აღმოსავლეთ რომის იმპერიის უფრო მეტი პოლიტიკური გავლენა, ვიდრე მას ჰქონდა დასავლეთის ახლად აღმოცენებულ ბარბაროსულ სახელმწი-

<sup>71</sup> ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. — თხზულებანი, VIII, თბილისი, 1977, გვ. 42-43.

ფოებზე, ქართული შუა საუკუნეების განვითარების გზას ბიზანტიურთან აახლოვებდა. ამ პოლიტიკურ გავლენას განაპირობებდა საქართველოს საზღვარზე სასანური ირანის აგრესიული სახელმწიფოს არსებობა, ხოლო მისი აგრესიიდან თავდასაცავად საქართველოს ბუნებრივი მოკავშირე იყო ბიზანტიის ქრისტიანული იმპერია. ჩვენ აქ ვსაუბრობთ არა ადრეული შუა საუკუნეების მსგავსებაზე ბიზანტიურთან; მოგვიანებით, როდესაც ეს ერთიანი შუა საუკუნეების ცივილიზაცია თანდათან ხდება განსხვავებული და მას დღეს ბიზანტიურსა და დასავლეთ ევროპულ შუა საუკუნეებს უწოდებენ, საქართველოსთვის პოლიტიკურად და ფიზიკურად უფრო ახლოს იყო ბიზანტიის იმპერია, და ამდენად, ქართულ კულტურას ხშირად ბიზანტიურ ცივილიზაციას მიაკუთვნებენ. მაგრამ აქვე გვსურს მაინც აღვნიშნოთ ის ძირითადი საერთო განვითარების გზებს შორის, რომელიც თითქმის ერთდროულად დაისახა დასავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში. ბიზანტიისაგან განსხვავებით, რომელიც იყო იმპერია (რომის იმპერიის მემკვიდრის პრეტენზიებით), ქართველ და დასავლეთ ევროპის ხალხებში შუა საუკუნეებში ხდება ნაციონალური სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბება. რომის იმპერიის აღმოსავლეთსა და დასავლეთში მდებარე ეს სახელმწიფოები, თავდაპირველად მაინც შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში. როგორც ფრანკთა მეფემ ხლოდვიგმა, ასევე ოსტროგოთების მეფემ თეოდორიხმა მიიღეს საიმპერატორო კარის მოხელეების ტიტულები ანასტასი იმპერატორის ხანაში, ასევე იოანე მალალას გადმოცემით, იუსტინე იმპერატორის მმართველობის დროს ლაზიკის მეფე წათემ მიიღო რომის (ბიზანტიის) იმპერატორისაგან პორფირის მოსასხამი და სხვა სამეფო ნიშნები. ერთი პერიოდის სხვადასხვა საისტორიო წყაროში დამოწმებული ცნობები რომის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სამეფოების მიერ ბიზანტიის




იმპერატორისადმი მისი უზენაესობის დადასტურების შესახებ ნიშანია რომის ერთიანი სივრცის შენარჩუნებისა და ერთიანი ქრისტიანული რომის არსებობისა. ეს ფაქტები ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე იმდენად, რამდენადაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი ავტორი ცდილობს წარმოადგინოს საქართველო სახელმწიფოდ, რომელმაც ქრისტიანობის მიღებით აირჩია დასავლური ორიენტაცია, ან კიდევ VI საუკუნეში ფარტაძისა და აიეტის მიერ წარმოთქმული სიტყვა ეგრისის მეფის გუბაზის მოკვლის შემდეგ წარმოადგინონ, როგორც ქართველთა მიერ ორიენტაციული არჩევანის გაკეთების მცდელობად<sup>72</sup>. საერთოდ, როდესაც ქვეყანა დამარცხებულია, მეფე მოკლულია და ქვეყანაში დგას უცხო ქვეყნის ჯარი, თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესახებ მსჯელობა ძნელად წარმოსადგენია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არჩევანი კონკრეტული ომის შედეგად ვერ იქნებოდა მიღებული. კოლხეთის წარჩინებულთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვები, იძლევა საშუალებას უფრო მნიშვნელოვანი დასკვნისათვის. ამ გამოსვლებიდან ჩანს, რამდენად ერთიანია ქრისტიანული სივრცე და რამდენად მნიშვნელოვანია ის ქართველებისათვის. ქართველები თვით აღიქვამენ თავიანთ თავს ერთიან ქრისტიანულ სამყაროში. ასე რომ, შეიძლება გავაკეთოთ უფრო სრულყოფილი დასკვნა: ქართული შუა საუკუნეები ჩამოყალიბდა, როგორც საერთოევროპული, დაეფუძნა რა მსგავსავე წინამძღვრებს, რაც გააჩნდა საერთო ევროპულ ანუ ქრისტიანული შუა საუკუნეების ცივილიზაციას. ფარტაძის სიტყვაში<sup>73</sup> გადმოცემული აზრი, საქართველოს ევროპასთან/ბიზან-

---

<sup>72</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ჯავახია ბ. გოთები და დიდი ომიანობა ეგრისში. – კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XII, თბ., 2002.

<sup>73</sup> ნაწიკვეტი ფარტაძის სიტყვიდან: “შეესწავრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აკვილია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება. ყველაზე ცუდი ის

ტიასთან კულტურული ერთობის გაცნობიერების ფაქტად აქვს დასახელებული ნ. ჩიქოვანს. ეს ერთობა ემყარება ტრადიციას. ფარტაძის აზრით, ქართველებს საერთო აქვთ ბიზანტიელებთან “საზოგადოებრივი კანონები, სახელმწიფო წყობა და ცხოვრება”, “აზრთა ერთიანობა”, სარწმუნოება, “წმინდა საიდუმლოთა უმწიკველოება” და, საერთოდ, “მშობლიური წესები”<sup>74</sup>.



*არქეოპოლისი (დღევანდელი ნოქალაქევი), ძველი ლაზიკის დედაქალაქი*

შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის საერთო ევროპული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ქრისტიანობის საქართვე-

იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შვებლალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდათა საიდუმლო უმწიკველოებას. აბა, რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღრმთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადაგვიყვანენ” – ქართული მჭევრმეტყველება. ძეგლები და მასალები. შეკრიბა, ნარკვევი წინ წარუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ. კანდელაკმა. თბ., 1958.

<sup>74</sup> ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა..., გვ. 187.

ლოში ორი სხვადასხვა ნაკადის სახით შემოსვლის შესახებ არ უნდა იყოს მთლიანად გამართული. IV საუკუნეში ქრისტიანობის ბერძნული და სირიულ-პალესტინური ნაკადების, ან სულაც სომხურის ჩამოყალიბებული სახით არსებობა, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იყო, რადგანაც ქრისტიანობა ამ დროისათვის ჯერ კიდევ ერთიანია და მისი სახელმწიფო ან ნაციონალური მიკუთვნებულობის შესახებ საუბარი ნაადრევია. როგორც თავიდან აღვნიშნეთ, ქრისტიანობა თავდაპირველად იუდეველების შემდეგ ქრისტეს მოციქულებმა გაავრცელეს ელინისტურ ტერიტორიაზე და მისი რაიმე ნაციონალურის სახით წარმოდგენა ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია სწორად. რაც შეეხება იმ აზრს, რომ თითქოს ამ ეტაპზე არსებობდა რაიმე დასავლური სახის ქრისტიანობა, ეს თავისთავად მცდარია, რადგანაც როგორ ჩვენი კვლევის წინა ნაწილებშია ნაჩვენები, ქრისტიანობა დასავლეთში (თვით, ასე ვთქვათ უკიდურეს, დასავლეთშიც, მაგალითად, გალიაში) გავრცელდა აღმოსავლეთიდან და ამ პროცესის სათავეში სწორედაც აღმოსავლეთიდან მოსული წმინდა მამები იდგნენ. ქრისტიანობის დასავლური ნაკადი, ანუ ქრისტიანობის დასავლური სახე ყალიბდება მოგვიანებით, რასაც იწვევს რომის პაპის ჩამოცილება ბიზანტიის სივრციდან, დასავლეთში ახალი იმპერიის აღმოცენება კარლოს დიდის ფრანკთა იმპერიის სახით (*Translatio imperii*) და ასევე ევროპაში ქრისტიანობის გავრცელება ირლანდიელი ბერების მიერ (*Peregrinatio pro Christi* – ყარიბობა ქრისტესათვის).

ამ პერიოდში ქრისტიანობის ერთიანობის შესახებ ფრიად საინტერესოა ს. რანსიმენის მოსაზრება. ბიზანტიური ცივილიზაციის თავისებურების შესახებ ნაშრომში ს. რანსიმენი მიუთითებს, რომ ქრისტიანობა იყო აღმოსავლური რელიგია<sup>75</sup>.

---

<sup>75</sup> Runciman S. Byzanz. Von der Grundung bis zum Fall Konstantinopel, Munchen, 1976

ამდენად, IV საუკუნეში ქრისტიანობის რაიმე ნაკადებად წარმოდგენა ამ ეტაპისთვის ნაადრევად მიგვაჩნია<sup>76</sup>. ასევე უმართებულო უნდა იყოს აზრი, რასაც ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ავტორთა შრომებში, საქართველოში ქრისტიანობის აღმოსავლეთ რომიდან შემოსვლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების დროს აღმოსავლეთ რომის ხსენება ნაადრევია.

საქართველო თავის თავს, მსგავსად სხვა დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოებისა, რომის სივრცეში აღიქვამს. წარმართული რომის იმპერიის ნგრევის შემდეგ, საქართველოს გამაერთიანებელი ქრისტიანობა ხდება, რომელიც საქართველოს მსოფლმხედველობრივად კიდევ უფრო აკავშირებს არა მხოლოდ რომის იმპერიის მემკვიდრე ბიზანტიასთან, არამედ ამ ახალი იმპერიის შემადგენლობაში ნომინალურად დარჩენილ სხვა ხალხებთანაც. საქართველოს წარმოდგენაში ბიზანტიის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანობის დამცველის სივრცეში ყოფნა არ უნდა იყოს სადავო. ამ საკითხის შესახებ ქართული და ასევე ბერძნული წყაროები სავსებით თანხმდებიან ერთმანეთში. ამის საილუსტრაციო მაგალითებად საკმარისია საქართველოში უკვე V-VI საუკუნეებიდან მმართველი წრისათვის ბიზანტიური ტიტულის მინიჭება, რაც დასტურდება როგორც დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის მაგალითზე. პრისკუს პანელის, აგათია სქოლასტიკოსის, იოანე მალალას, პროკოპი კესარიელის თუ სხვა ბერძენი ისტორიკოსების შრომებში პირ-

---

<sup>76</sup> ამ შემთხვევაში არა გვაქვს საუბარი ადრინდელი მწვალებლობების შესახებ, რომელთაც, რასაკვირველია, კქონდა წარმოშობის რაიმე ლოკალური მიზეზი, ასევე ხშირად დამოკიდებული იყო რომელიმე სოციუმის განვითარების დონეზე ან მის რაიმე ნაციონალურ მიკუთვნილობაზეც (ეს საკითხი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქრისტიანულ საზოგადოებაში მიმდინარე ქრისტოლოგიური დავების შედეგი).

დაპირ არის დადასტურებული ლაზიკის (ეგრისი) მეფეთა ბიზანტიის სამეფო კართან დამოკიდებულება, რომლის თანახმადაც ლაზიკის მეფეები აღიარებენ თავს ბიზანტიური ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლად. პრისკუს პანელი აღწერს ლეონ I (457-475) მმართველობის დროს ლაზიკის მეფის, გუბაზ I-ის ჩასვლას კონსტანტინოპოლში<sup>77</sup>. ბერძენი ისტორიკოსი თეოფანე მოგვითხრობს 522 წელს, ლაზების მეფის დამნაზეს გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟის წათეს ჩასვლაზე ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე I-თან, სადაც მან მიიღო სამეფო ღირსების შესაბამისი საჩუქრები და ცოლად შეირთო კონსტანტინოპოლის პატრიციის ქალიშვილი<sup>78</sup>. ან კიდევ, პროკოპი კესარიელის ცნობა წიგნიდან “ომი სპარსელებთან”: “ლაზები დასაბამიდან ცხოვრობენ კოლხეთის მიწაზე, იყვნენ რომის მფარველობის ქვეშ ისე, რომ არ უხდიდნენ არაფერს, ასე რომ, ხარკით ან რაიმეთი არ გამოხატავდნენ მორჩილებას, გარდა იმისა, რომ, როდესაც გარდაიცვლებოდა მეფე, რომის ბასილევსი უგზავნიდა მას ხელისუფლების ნიშნებს,

---

<sup>77</sup> “ხანძრის შემდეგ, რომელიც გაჩნდა ქალაქში (465წ.) ლეონტის დროს, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ გუბაზი და დიონისე” – პრისკე პანიონელი. – გეორგიკა, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1961, გვ. 259

<sup>78</sup> “როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მოვიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა, ლაზთა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა: გაქრისტიანებულია წათემ შეირთო რომაელი ქალი პატრიკოს ნომეს ქალიშვილი და იუსტინესაგან შეილად გამოცხადებული, მისგან ხელდასხმული, სამეფო რეგალიებით დამშვენებული დაბრუნდა ეგრისში და შეუდგა მეფობას” – თეოფანე უამთააღმწერელი. – გეორგიკა, IV, ნაკ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ და განმარტებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1941 გვ. 77-78

ვისაც უნდა მიელო ტახტი”<sup>79</sup>. ასევე აგათია სქოლასტიკოსის ცნობა, რომლის მიხედვითაც გუბაზ II-ის ძმა, რომელმაც დაიკავა ეგრისის ტახტი დიდი ომიანობის შემდეგ, ცხოვრობდა ბიზანტიაში, მის გამეფებას ლაზები სთხოვენ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე დიდს (527-565)<sup>80</sup>.

მსგავსი მაგალითების მოშველიება შეიძლება ქართლის ისტორიიდანაც.

ქართული საისტორიო წყაროები შეიცავენ ცნობებს ქართლის ბიზანტიასთან დამოკიდებულების შესახებ. მირიან მეფის მონათვლის დროს, როგორც “ქართლის ცხოვრების” ტექსტშია მოცემული, მისი ძე მძევლად ყოფილა იმპერატორთან<sup>81</sup>.

ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა ისეთი მაგალითების დასახელება, რომელიც მოწმობს ქართლის მიერ ბიზანტიურ, ახალი ქრისტიანული რომის სივრცეში თავისი თავის აღქმას. ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია ქ. კაკიტელაშვილის ნაშრომში გაკეთებული დასკვნები ქართველთა კულტურული თვითიდენტიფიკაციის შესახებ VI-XI საუკუნეებში. ავტორი იოანე საბანისძის აბოს წამებიდან აღებული ფრაზის – “რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა”

---

<sup>79</sup> Прокопии Кесарийский Война с персами, С-Пб, 1998, кн. 11, 15, с.105

<sup>80</sup> აგათია სქოლასტიკოს მოგვითხრობს: “წათე გამოგვიგზავნე, გუბაზ მეფის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიაში ცხოვრობს, რათა დაცულ იქნეს მამა-პაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურყენელი დარჩეს”. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, – ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. III, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.

<sup>81</sup> “მაშინ კეისარსა კონსტანტინეს რომელ ჰყვა მძევალი, ძე მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოგზავნა იგი მეფემან კონსტანტინემ ნიჭითა დიდითა..” – ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა – ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 128

– მიხედვით ასკენის, რომ საქართველო ბიზანტიური კულტურული სივრცის ნაწილად მოიაზრებს თავს<sup>82</sup>.

ქართველთა მიერ საკუთარი თავის ერთიან რომაულ სივრცეში აღქმის მაგალითი უნდა იყოს აგრეთვე “მოქცევაი ქართლისაის” გადმოცემა საქართველოში ქრისტიან მოძღვართა ჩამოსვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოსთან უფრო ახლო ტერიტორიაზე არსებობდნენ ქრისტიანი ეპისკოპოსები, ქართველთა მეფე კონსტანტინოპოლში აგზავნის მოციქულებს მოძღვართა ჩამოსაყვანად. “წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოისი საბერძნეთსა, მეფისა კონსტანტინეს თხოვად მღვდელთა. ხოლო იგინი მწრაფლ მიიწინეს. და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ერთი დიაკონი და წიგნი ელენე დედოფლისაი და ხატი მაცხოვრისაი და ძელი ცხოვრებისაი ნინოისათვის”<sup>83</sup>. ასეთივეა იმავე წყაროს გადმოცემა, როდესაც ვახტანგ გორგასალი ცდილობს დამოუკიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბებას. “ხოლო მეფემან წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი”<sup>84</sup>.

კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ჩამოვიდა არა მხოლოდ მოძღვარი, არამედ ხუროთმოძღვარიც, რაც ასევე მიანიშნებს კონსტანტინოპოლის პრიმატის აღიარებას საქართველოს მიერ, ისევე როგორც ამას აღიარებდნენ მთელ საქრისტიანოში. კონსტანტინე დიდის სახელთანაა დაკავშირებული

---

<sup>82</sup> იოანე საბანისძე, ჰაბოს წამება. – ქართული მწერლობა, თ. I, თბ. 1987, გვ. 459. კაკიტელაშვილი ქ. სივრცითი ორიენტაცია – კულტურათა ტიპოლოგიის საფუძველი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2004, გვ. 47.

<sup>83</sup> მოქცევაი ქართლისაი – შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 322.

<sup>84</sup> მოქცევაი ქართლისაი – შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979 გვ. 325.

ლი პირველი დიდი საეკლესიო მშენებლობანი იერუსალიმსა და რომში.



*მიძინების ტაძარი ნიკეაში. დაანგრიეს თურქეთ-საბერძნეთის ომის დროს 1922 წ.*

მირიან მეფის მიერ საქართველოში მოძღვართა გამოსაგზავნად კონსტანტინოპოლისთვის მიმართვა ისედაც არ უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ეს ჩანს ნიკეის I საეკლესიო კრების (325) ისტორიიდან, რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი გვევლინება ამ ეტაპზე ქრისტიანული წესის განმწესრიგებლად. ბიზანტიური სამყაროს და მისი იმპერატორის გავლენა ეკლესიაზე შემდეგ პერიოდშიც დიდია, რისი დასტურია კონსტანტინე დიდის გარდაცვალების შემდეგ არიოზელი იმპერატორების გამეფების დროს მთელს ბიზანტიურ სივრცეში არიოზელობის დროებით დაკანონება, რასაც მოჰყვა კონფლიქტი ალექსანდრიის საპატრიარქოსთან; ასევე ის ფაქ-



ტი, რომ გოთებში ქრისტიანობა გავრცელდა არიოზული სა-  
ხით. ამის მიზეზად გვევლინება ის, რომ როდესაც გოთების  
ეპისკოპოსი ვულფილა ეკურთხა 340 წელს, მაშინ იმპერიაში  
გაბატონებულნი იყო არიოზელი სამღვდლოება<sup>85</sup>.

რომის იმპერატორის პრიმატის დასადასტურებლად ასე-  
ვე შეიძლება რამდენიმე ფაქტის მოშველიება ჯუანშერის ვახ-  
ტანგ გორგასლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებიდან.  
ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ. ერთ-ერთი მათგან-  
ია ვახტანგ გორგასალის სიზმრის აღწერა, რომელიც  
სრულდება იმით, რომ ბიზანტიის იმპერატორი გადასცემს  
ვახტანგს სამეფო გვირგვინს: “და მიჰყო ხელი კეისარმან, და  
მიიღო გვირგვინი ჯუარისაგან, და დაარქუა ვახტანგს თავ-  
სა”<sup>86</sup>. უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის მოსაზრებას ქარ-  
თველთა მიერ ბიზანტიაზე არა მხოლოდ ე. წ. ორიენტაციი-  
სა, არამედ იმპერატორის აღიარებისა, როგორც ზოგად ქრის-  
ტიანული სამყაროს თავისა, ჯუანშერის ისტორიის შემდეგ  
გვერდებზე გადმოცემული თხრობა: “ესრეთ რა უცალო იქ-  
მნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქარ-  
თლისანი, ზემონი და ქვემონი, და წარგზავნეს მოციქული  
წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე  
ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნეს ერისთავ-  
ნი იგი, თვის-თვისა საერისთაოსა შეუცვალებლად. მაშინ კეი-  
სარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული  
მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძენის ცოლისაგან, რომელსა  
ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავა-  
ხეთს”<sup>87</sup>.

---

<sup>85</sup> ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით საჭიროა ასევე იმპერიის ნაციონალური  
რეგიონების ეკლესიის ისტორიის კვლევა.

<sup>86</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა – ქართლის ცხოვრება,  
ტ.1, გვ. 168.

<sup>87</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა – ქართლის ცხოვრება,  
ტ.1, გვ.218.

საქართველოს კულტურული განვითარება მიმდინარეობდა ერთ წყობად დასავლურ სივრცეში, ჯერ ელიზურ სამყაროში, შემდეგ რომის იმპერიაში და ასევე ბიზანტიურ სივრცეში. თუმცა იგი თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების პირობების შექმნას და ქმნიდა თვითმყოფად კულტურას, რომლის ზოგადი ღირებულებები მსგავსი იყო იმ ხალხების კულტურისა, ვისთან ერთადაც იგი ქმნიდა თავდაპირველად ანტიკურ, ხოლო შემდეგში ქრისტიანულ კულტურას. საქართველო, როგორც ანტიკური რომის არსებობის ხანაში, ასევე შუა საუკუნეებშიც ასრულებდა თავის პოლიტიკურ ფუნქციას – დაეცვა რომაული სივრცე ბარბაროსებისაგან. მისი ფუნქცია ყოველთვის გამოკვეთილია, როგორც კავკასიის კარიბჭის მცველისა, საიდანაც გადმოდიდონენ ბარბაროსები. ქართლის ცხოვრებაში არის ცნობა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ვახტანგ გორგასალის მიერ ამ ფუნქციის განხორციელებისა: “დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენნა მას ზედა გოდოლნი მალაღნი და დადგინა მას ზედა მცველნი მახლობელნი მისი ადგილისანი და უწოდა მას კარად დარიალისა, და აწ თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ხელ-წიფების გამოსვლა ოვსთა და ყივჩაღთა”<sup>88</sup>. ფაქტი, რომ ქართველები არიან რომის სივრცის დამცველნი ბარბაროსი ხალხებისაგან, თავისთავად მიანიშნებს ქართველთა მოაზრებას რომაულ სივრცეში, რომელიც IV საუკუნის დამდეგიდან ხდება ქრისტიანული.

საქართველო რომ თავს ევროპულ სივრცეში მოიაზრებს, ამას ადასტურებს იოანე საბანიძის კიდევ ერთი ცნობა, სადაც პირდაპირ არის მინიშნებული ქართველთა ყოფნა ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბების სათავეებთან: “რამეთუ არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისამიერი

---

<sup>88</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა – ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 156

მოიპოვეს, არამედ ჩვენცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის: “მოვილოდიან აღმოსავლეთით და დასავლეთით და ინახ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა, და იაკობისთა”. აჰა ესერა ქართლისაცა მკვიდრთა აქვს სარწმუნეობაი და წოდებულ არს დედათ წმინდათა, რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვათ მოსრულთა ჩვენ შორის ჟამად-ჟამად იესუსის მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაი არს დიდებაი უკუნითი უკუნისამდე, ამენ”<sup>89</sup>. ის, რომ საქართველო ქრისტიანულ კულტურაში ხედავს თავის თვითიდენტიფიკაციას, ასევე ნათელია იოანე საბანისძის ნაწარმოებში კავკასიის ჩრილოეთში მცხოვრებთა დახასიათებისას, როდესაც ის მათ, როგორც არაქრისტიანთა შესახებ წერს: “კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა სჯული არა აქვს, გარნა ღმერთი მხოლოდ შემოქმედი იციან”<sup>90</sup>. მოგვიანებითაც, მაღალ შუა საუკუნეებში, როცა ბარბაროსებზეა საუბარი, ისინი მოიხსენიებიან კავკასიის მთების გადაღმა. ამ მხრივ საინტერესოა ჯვაროსანთა ხანის ევროპელ მოგზაურთა, ფრანცისკანულ და დომინიკანურ სასულიერო ორდენების წევრთა ცნობები, რომლებიც გოგისა და მაგოგის ადგილსამყოფელს კავკასიის მთებს გადაღმა მოიხსენიებენ.

შუა საუკუნეების სათავეებთან ერთიანი ქრისტიანული სივრცის აღქმის დასტურია წმინდანთა საერთო ინსტიტუტის არსებობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რაც რჩება დიდ განხეთქილებამდე. მ. თამარაშვილს თავის წიგნში მოყვანილი აქვს ქართული მართლმადიდებლური წმინდა ლოცვანი, რომელიც მიძღვნილია IV-VI საუკუნეების დასავლეთის დიდი მოღვაწეებისადმი. ამ მასალიდან ჩვენთვის უფრო საინტერე-

---

<sup>89</sup> აღრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ტფილისი, 1935, გვ.62.

<sup>90</sup> იოანე საბანისძე, ჰაბოს წამება – ქართული მწერლობა, თ.ი, თბ. 1987, გვ. 447

სოა ლოცვანი, მიძღვნილი IV საუკუნეში მოღვაწე პაპის სილვესტრისადმი და ასევე პაპ ლეონ I-ისადმი (V ს.), რომელმაც იხსნა რომი ჰუნების შემოსევისაგან. ასეთივე სურათი წარმოგვიდგება, თუ გადავხედავთ ქართულ საეკლესიო კალენდარს. ლოცვა წმინდა ლეონ დიდის დღესასწაულზე, 18 იანვარს: “მართლმადიდებლობისა წინამძღვარო, და კეთილადმსახურებისა და კრძალულებისა მოძღუარო ლეონ, ყოვლისა სოფლისა მნათობო ლეონ და მღვდელმთავართა მნათობო, ღვთივსულიერო, ყოვლად ბრძენო, სწავლითა შენითა ჩუენ ყოველნი გაგვანათლენ, ვითარცა ქნარმან სულიერმან, ეგრეთვე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულისათა ჩვენთათვის. საყდარსა ზედა დიდებულო მღვდლობისასა რა დასჯედ, ლომთა სიტყვიერთა პირნი დაუყვენ რწმენათა მიერ ღვთივმობერილითა, სამსახურებელთა სამებისათა და განაბრწყინვე სამწყსოი შენი ღმრთისა მეცნიერებითა, იმისათვის იდიდე საღმრთო მესაიდუმლეო ღმრთისა მადლისა”<sup>91</sup>.

რომის სივრცეში საკუთარი თავის მოაზრება ამავე დროს ნიშნავდა პრეტენზიას რომის მემკვიდრეობაზე. ეს პრეტენზია ჰქონდა ევროპულ ქრისტიანულ სივრცეში შემავალ ყველა ქვეყანასა და ხალხს. ეს იყო ბიზანტიის იმპერიის პრეტენზია რომის მემკვიდრეობისა, ამდენად იგი, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, თავის სახელმწიფოს რომეების სახელმწიფოს უწოდებდა. იგივე პრეტენზია რომის მემკვიდრეობისა გაუჩნდათ ფრანკებს კარლოს დიდის ხანაში. ასეთივე იყო პრეტენზიები აღორძინების ხანის ქვეყნებისა, რომლებიც იბრძოდნენ რომის მემკვიდრის ტიტულის მიღებისათვის. ეს არ იყო მხოლოდ იტალია, ასეთივე პრეტენზიისანი იყვნენ ევროპის სხვა ქვეყნები, რომელთაც ნაციონალური ლიტერატურა და სახელმწიფო ჩამოაყალიბეს. რომის მემკვიდრეობისათვის

---

<sup>91</sup> თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბ., 1995, გვ. 182.

ბრძოლის ნიმუშია რუსეთში XV საუკუნეში განვითარებული მესამე რომის თეორია<sup>92</sup>.

ქართულ სახელმწიფოშიც იგივე პრეტენზია ჩანს მაღალ შუა საუკუნეებში, ე. წ. ქართული რენესანსის ხანაში. ჩვენ ამ პრობლემის შესწავლა სხვა ნაშრომში გვაქვს გადაწყვეტილი, ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ფაქტორს აღვნიშნავთ. ეს არის, უპირველესად, ქართველ მწიგნობართა შრომებში ბიზანტიის იმპერიისადმი წაყენებული მოთხოვნები, როდესაც გიორგი მთაწმინდელი ბერძნებს საყვედურობს თავიანთ გულზვიადობას და ამპარტავნობას. ასევე ქართულ საისტორიო წყაროში საქართველოს უპირატესობის ძებნა. ამ პერიოდში ჩნდება ნაშრომები, რომლებიც ძველ საისტორიო მასალებში ეძებენ ცნობებს საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ, ამ ეტაპზე იღებს საქართველოს კათალიკოსი კათალიკოს-პატრიარქის ტიტულს. ამ ეტაპზე მოიძიებს ისტორიკოსი საქართველოს სამეფო დინასტიის ღვთაებრივ წარმოშობას. ეს ზოდადად არის რენესანსის ხანა საქართველოში. რენესანსი კი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ანტიკურობის აღდგენად, ან ეპოქად, როდესაც მსოფლმხედველობა გათავისუფლებულია ქრისტიანული დოგმატისაგან, არამედ ეს არის, როგორც ფ. ლე გოფი აღნიშნავს, არა რომში დაბრუნება, არამედ დაბრუნება აბრაამის წიაღში, ამქვეყნიურ სამოთხეში, მამა ღმერთის სამყოფელში. რომში დაბრუნება მათთვის ნიშნავდა, უბრალოდ, მის გადატანას, როდესაც

---

<sup>92</sup> კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მოსკოვი მსოფლიო ქრისტიანობის თავად წარმოედგინათ რუსეთში. მოსკოვი – “მესამე რომი”, ასეთია მოსკოვის საეკლესიო და პოლიტიკური ჰეგემონიის იდეა, რომელიც გამოხატულია როგორც თეოლოგიურ, ასევე საისტორიო მწერლობაში (ნესტორ ისკანდერი – “მოთხრობა ცარგრადის დაარსებასა და დამხობაზე”; “მოთხრობები ბაბილონზე”, “თქმულება ვლადიმირელ მთავრებზე”, პატრიარქ ნიკონის “ილუსტრირებული მატინანე”, ივანე პერესვეტოვის თხზულებები – “თქმულება მეფე კონსტანტინეზე”, “თქმულება მოჰამედ სულთანზე”).

გადააქვთ უმაღლესი ხელისუფლება და მეცნიერება. Transalacio imperii-ს შესახებ ჩვენ აღვნიშნეთ, როდესაც საუბარი გექონდა კარლოს დიდის მიერ ფრანკთა იმპერიის ჩამოყალიბების შესახებ. დასავლეთში კარლოსის მიერ ახალი იმპერიის შექმნას დასავლეთში ამ ტერმინით აღნიშნავენ. ასეთი პირველი მცდელობა რომის გადმოტანისა განხორციელდა კონსტანტინოპოლის დაარსებით და ის პირდაპირაც ასე მოიხსენიებოდა – ახალი რომი. ვფიქრობთ, მსგავსივე მოვლენა იყო საქართველოში მაღალი შუა საუკუნეების ხანაში, როდესაც ქართულმა კულტურამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ქართულმა სახელმწიფომ უდიდესი პოლიტიკური გამარჯვებები მოიპოვა და უარყო ბიზანტიური საიმპერატორო კარის ტიტულები. რომის მემკვიდრეობის, რენესანსული გაგების პრეტენზიის გამჟღავნებად შეიძლება მივიჩნიოთ იოანე შავთელის “აბდულმესიანის” (რომელიც ეძღვნება თამარსა და დავით სოსლანს) სტროფი, რომელშიც ავტორი ზოტბას ასხამს იმ ადგილს, სადაც უნდა დაიკრძალოს თავისი პატრონი:

“ახალო რომო, შენტვის თქვეს, რომო

უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.

ენატრი ელადასა, თვით მას გელათსა,

სად რომ დაკრძალვენ წმინდათ სხეულსა”<sup>93</sup>.

ასე რომ, საქართველო თავის თავს, შუა საუკუნეების დასაბამს, მოიაზრებს ერთიან მსოფლიო ქრისტიანულ სამყაროში, რომლის თავადაც აღიარებს რომის იმპერატორს, რომლის ადგილმონაცვლე მოგვიანებით გახდა ბიზანტიის კეისარი. საერთოდ რომი, როგორც იმ იმპერიის ცენტრი, სადაც იშვა მაცხოვარი, გახდა ქრისტიანული ეკლესიის თავი. ის, რომ ის იყო ქრისტიანობის წარმოშობისა და გავრცელების არეალის პოლიტიკური ცენტრი, როგორც ჩანს, გახდა გადამწყვეტი ფაქტორი რომის ეკლესიის პირველობის აღი-

<sup>93</sup> იოანე შავთელი აბდულ-მესიანი, თბ., 1937, გვ. 50

რებისათვის. ასეთივე აზროვნების გაგრძელება უნდა იყოს, როდესაც იმპერიის ცენტრად კონსტანტინოპოლის ქცევის შემდეგ მისი აღიარება ახალ რომად, მოგვიანებით კი მის მიერ მსოფლიო ეკლესიის თავის ფუნქციის განხორციელება. რასაკვირველია, არ შეიძლება ამ საკითხის განხილვისას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის უარყოფა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესია: ესაა მოციქულთა მოღვაწეობა. პეტრესა და პავლეს – მოციქულთა თავად წოდებულთა – მოღვაწეობას მიიჩნევს რომის ეკლესია თავისი უპირატესობის დამსამტკიცებელ უმთავრეს ფაქტორად. ასეთივე იდეოლოგიური და პირველობისათვის ბრძოლის გამოძახილი იყო მოგვიანებით, რომსა და კონსტანტინოპოლს შორის გართულებული ურთიერთობის დროს, ბიზანტიელთა მიერ ბიზანტიონში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის წარმოჩენა. კონსტანტინე დიდის მოღვაწეობა ახალი რომის მოწყობის დროს აშკარად გამოხატავდა მის მიზანს, რომ ის უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ რომის იმპერიის პოლიტიკური ცენტრი, არამედ სრულიად საქრისტიანოსი. ქრისტიანობის დედაქალაქის კონსტანტინოპოლის მნიშვნელობის განსამტკიცებლად იქ გადმოასვენეს მოციქულების ანდრია პირველწოდებულის, ლუკასა და იოანეს წმინდა ნაწილები. კონსტანტინოპოლი ხდება ქრისტიანობის რეალური დედაქალაქი შუა საუკუნეების დამდეგს. ყოველ შემთხვევაში, იგი VIII საუკუნემდე ერთპიროვნული რეალური ძალაუფლების მქონე სახელმწიფოს დედაქალაქია, რასაც აღიარებენ არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთში, რის მაგალითები ჩვენ ადრეც დავასახელებთ, ამჯერად მხოლოდ ერთს დავამატებთ, რათა უფრო თვალსაჩინო გავხადოთ დასავლეთის მიერ კონსტანტინოპოლის უპირატესობის აღიარება: V საუკუნის მიწურულს, როდესაც ხლოდვიგი მოინათლა, მან არა მხოლოდ იმპერატორისაგან მისი პატრიციის დამადასტურებელი ნიშნე-

ბი მიიღო, არამედ მემატრიანე მას მოიხსენიებს “ახალ კონსტანტინედ”.




*თეოდორის დიდი მედალიონი*

კონსტანტინე დიდი სრულიად ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულია ქრისტიანული სამყაროს მეთაურად. კონსტანტინე დიდის აღიარებას უნდა მივაწეროთ რომში შექმნილი ლეგენდა, რომელსაც რომის პაპები რეალურ ამბად მიიჩნევენ და რის დასადასტურებლად დოკუმენტიც კი შეიქმნა მოგვიანებით, VIII საუკუნეში. ეს დოკუმენტი ცნობილია კონსტანტინეს ნაბოძვარის სახელწოდებით. მის თანახმად, რომის პაპს სილვესტრ I-ს (314-350) კონსტანტინე დიდი უბოძებს საერო ხელისუფლებას. ეს დოკუმენტი, რომელიც მოგვიანებით ნაყალბევად მიიჩნიეს, ამჯერადაც მოქმედებს, როგორც პაპების საერო ხელისუფლების საფუძველი. ამ დოკუმენტით იყო დასაბუთებული პაპის უპირატესობა სხვა ეპისკოპოსებთან მიმართებაში. იმპერატორი პაპს და რომის სამ-



ღვდელოებას აძლევდა პრივილეგიებს და მიწებსაც – “მიწი-  
 ერ მეფეს არ შეჰფერის მბრძანებლობა იქ, სადაც ზეციურმა  
 მეუფემ სამღვდელოების პირველობა და ქრისტიანული სარ-  
 წმუნეობის მეთაურობა დააფუძნა”, ნათქვამი იყო სიგელში,  
 მაგრამ ძალაუფლების იმპერატორისაგან მიღება მაინც მია-  
 ნიშნებს თვით ეკლესიის მესვეურთა მიერ მისი პრიმატის  
 აღიარებას. ბიზანტიის იმპერატორის გავლენას რომის პაპის  
 ხელისუფლებაზე აშკარად ადასტურებს ის ფაქტი, რომ VII  
 საუკუნემდე პაპები ტახტზე ასვლის წინ აუცილებლად საჭი-  
 რობენ იმპერატორისაგან თანხმობას.



*ქვარი, რომელიც იმპერატორმა თესტინე II აჩუქა რომს*

## საქართველოს ხელისუფლების ღვთაებრივი ფარმავლობის შესახებ

კონსტანტინე დიდმა უფლისაგან მიიღო ხელისუფლება მისთვის ჯერის გადაცემით, რომლის წინ წამძღვარებითაც მოეცა მას გამარჯვება წარმართ იმპერატორ მაქსენციუსზე, რასაც შემდგომში წმინდა მამათაგან და ასევე ოფიციალური ეკლესიიდანაც მიეცა განმარტება, როგორც უფლისაგან მისთვის, როგორც იმპერატორისათვის ამქვეყნიური ხელისუფლების გადაცემისა, მიუხედავად იმისა, რომ ის ამ მომენტი-სათვის არ იყო მონათლული. ამას ა. შემეანი ბიზანტიურ პარალოქსს უწოდებს და შემდეგნაირად განმარტავს: “საქმე ისაა, რომ კონსტანტინეს ცნობიერებაში ქრისტიანული სარწმუნოება, ან უფრო ზუსტად, ქრისტეს რწმენა მოვიდა არა ეკლესიის მეშვეობით, არამედ ებოძა პირადად, უშუალოდ და მტრებზე გამარჯვებისათვის, ანუ მის მიერ სამეფო მსახურების განხორციელებისას. ამით გამარჯვება, რომელიც მოიპოვა ქრისტიანული ღმერთის მეშვეობით, იმპერატორს და, შესაბამისად, იმპერიასაც ჯერის მფარველობის ქვეშ აქცევდა და პირდაპირ დამოკიდებულს ხდიდა ქრისტესგან. მაგრამ ეს ასევე ნიშნავდა, რომ კონსტანტინე მოექცა არა მხოლოდ როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი პიროვნება, არამედ როგორც იმპერატორი: თვითონ ქრისტემ გადასცა მას ხელისუფლება, გახდა თავის საგანგებო რჩეულად, ხოლო მისი სახით იმპერიაც შეიერთა განსაკუთრებული კავშირით”<sup>94</sup>.

ასეთივე სახისა უნდა იყოს, ჩვენი აზრით, გადმოცემა, რომელიც მოცემულია “მოქცევაი ქართლისაი”-ში: “მაშინ გამხიარულდა მეფე მირიან, რაჟამს ეუწყა, ვითარმედ “პირველ მოწევნულ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალემით მცხეთად”, მადლობდა ღმერთსა და იტყოდა: “კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმერთისა ცხოველი-

<sup>94</sup> Шмеман А. Исторический путь православия, М. 2003, с. 95

საო, რამეთუ შენ პირველვე, გინდა ცხოვრებაი ჩვენი და ხსნაი ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმინდით ქალაქით იერუსალიმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩვენი”<sup>95</sup>. ხომ არ შეიძლება ეს ადგილი საისტორიო წყაროდან გავიგოთ ისე, როგორც ეს არის კონსტანტინე ღიდის შემთხვევაში — მისთვის ღვთისაგან ხელისუფლების ბოძების მნიშვნელობით? ამჯერად იმის ხაზგასმა ხომ არ სურს ტექსტის ავტორს, რომ ასევე გადმოვიდა ქართველთა სამეფო საგვარეულოზე ქრისტეს მადლი. როგორც კონსტანტინესათვის ჯვრის გადაცემა, საქართველოში კვართის წილხდომა ხომ არ ნიშნავდა ქართული სამეფო საგვარეულოს, რომელიც მართავდა ქალაქ მცხეთას, სადაც ჩამოაბრძანეს მაცხოვრის კვართი, ღვთით რჩეულობას, რასაც, ჩვენი აზრით, ადასტურებს მირიან მეფის შემდეგი სიტყვები: “გინა ცხოვრებაი ჩვენი და ხსნაი ჩვენი ეშმაკისაგან ადგილისა მისი ბნელისა, ოდეს სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმინდით ქალაქით იერუსალიმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი”<sup>96</sup>. მაცხოვრის კვართი მოგვიანებით, როგორც საქართველოს მეფეთა ქრისტიანული ხელისუფლების სიმბოლო, ჩნდება ბაგრატიონთა სამეფო გერბზე.

ასევე მსგავსია გადმოცემა საქართველოში ჯვრის აღმართვის შესახებ, როდესაც ბიზანტიიდან ჩამოსული სასულიერო პირები და ხუროთმოძღვრები ქართველებს უხსნიან

<sup>95</sup> მოქცევაი ქართლისაი — შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ. 323.

<sup>96</sup> მოქცევაი ქართლისაი — შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ. 323.

ქრისტიანულ სწავლებას: “ასწავებდეს სახესა მას ჯვარისასა, და რაჟამს შექმნეს ჯვარი იგი, მოვიდეს და უთხრეს მირეან მეფესა ხუროთა მათ, ვითარმედ: “შევქმენით ჩუენ ჯვარი იგი, ვითარცა მღვდელთა მათ გუასწავეს”<sup>97</sup>.



*კონსტანტინე დიდი და ელენე დედოფალი. ფრესკა. კვიპროსი*

ასეთი სახის ჩანართი ჯვრის გამოსახულების სპეციალურად სწავლების შესახებ, მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოში ნინოსაგან უკვე ცნობილი იყო ჯვრის გამოსახულება, ხომ არ არის მსგავსი ევსევი კესარიელის მიერ “კონსტანტინე დიდის ცხოვრებაში” აღწერილი კონსტანტინეს მიერ მზეზე ნანახი ჯვრისა, რომელიც მან უახლოეს ღამეში ისევ იხილა, დილით დაიბარა ხელოსნები და სპეციალურად დაამზადებინა მისევე აღწერის მიხედვით; იგი ცნობილია

<sup>97</sup> მოქცევაი ქართლისაი — შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ. 350

Labarum-ის სახელწოდებით და კონსტანტინე დიდის მმართველობის ხანიდან გახდა ბიზანტიის იმპერიის დროშა<sup>98</sup>.



*კონსტანტინე დიდი და ელენე დედოფალი. ფრესკა, გელათი*

ეს გადმოცემა საინტერესოა აგრეთვე იმიტაც, რომ მი-რიან მეფე, კონსტანტინე დიდის მსგავსად, საუბრობს მსგავსი ჯვრის ხილვის შესახებ. “მას ჟამსა გულისხმა-ყო და მოეხ-სენა მეფესა, ოდეს-იგი დღე დაუბნელდა მთასა ზედა, ვითარ-იგი ნათელი ბრწყინვალეებისა დიდისა იხილა მსგავსად ჯუა-რისა, და ვითარ იხილა, იცნა. მაშინ უთხრობდა მღვდელთა

---

98 Labarum წარმოადგენდა მთავარი ფორმის ჯვარს, რომლიდანაც ეშე-ბოდა ოქროთი ნაქარგი და ძვირფასი ქვებით მორთული აბრეშუმის ქსო-ვილი იმპერატორის და მისი ოჯახის გამოსახულებით. ზემოთ ჯვარზე მიმაგრებული იყო ოქროს გვირგვინი ქრისტეს მონოგრამით. (საერთოდ, მოგვიანებითი პერიოდის წყაროებში დამოწმებულია, რომ იმპერატორის ერთგულების და აღიარების ნიშნად სხვადასხვა ქვეყნების მმართველებს გადაეცემათ იმპერატორის გამოსახულება).

მათ და ყოველსა ერსა ხილვასა მას და ვითარ გაუნათლა ბნელი და ნიშანმან ჯუარისამან წინაშე თვალთა მისთა”<sup>99</sup>. უკანასკნელ პერიოდში ქართულ პრესაში და სამეცნიერო წრეებშიც კი გაიმართა პოლემიკა დროშაზე ჯვრის გამოსახვის შესახებ. ნაწილი ამ პოლემიკაში ჩართულთაგან მის წარმოშობას ჯვაროსანთა ლაშქრობებს უკავშირებდა. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი საწინამძღვრო დროშები ჩნდება სახელმწიფოებში ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრების შემდეგ. როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ნებისმიერი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენა ამ სახელმწიფოებში, მით უფრო, ბრძოლები ქრისტიანული ფორმით მიმდინარეობდა.

საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვან წყაროში აშკარად ჩანს საქართველო, როგორც ერთიანი ქრისტიანული სამყაროს წევრი ქვეყანა. განვითარებაც შესაბამისად მიმდინარეობს: ქრისტიანული სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც, გარდა საისტორიო და სასულიერო მწერლობისა, ასევე ნათლად ვლინდება ამ ეპოქის სახელმწიფო სიმბოლოებში.

ლეონტი მროველის თხზულებაში მოცემული მირიან მეფის ანდერძი სრულყოფილად გამოხატავს ახალ აზროვნებას საქართველოში. ქრისტიანული სახელმწიფო მსოფლმხედველობა – ხელისუფლების ღვთისაგან ბოძებულობა, უფლის სახელით ქმედება და “წარძღუანებითა პატიოსანისა ჯუარისა” მტერთა ძლევა არის შუა საუკუნეების აზროვნებისათვის მთავარი მახასიათებელი.

“შვილო ჩემო, შეიცვალა ბნელი ჩემი ნათლად და სიკვდილი ცხოვრებად (ქრისტიანობაში ადამიანის აღსასრული ნიშნავს მარადიული სიცოცხლის დასაწყისს). შენდა მომიცე-

---

<sup>99</sup> მოქცევაი ქართლისაი – შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ.350

მია გვირგვინი მეფობისა ჩემისა. ღმერთმან დამბადებელმან ცისა და ქვეყნისამან დაგამტკიცა შენ სრულსა სარწმუნოებასა ზედა. იწურთიდი ყოვლადვე მცნებათა ძისა ღმთისასათა, და დაადგერ სრულიად მათ ზედა: და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკვდილი ცხოვრებად გაჩნდინ, რომლითა წარუვალი ცხოვრება მოიგო. თავი შევედრე ძესა ღმრთისასა, პირველ ჟამთა შობილსა, და განკაცებულსა, და ვნებულსა ხსნისათვის ჩუენისა. და წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა სძლო მტერთა, ვითარცა აქუს ჩვეულება გულითა მოსავთა მისთა. და პატივის-ცემდი სუეტსა მას ცხოველსა ღვთივ-აღმართებულსა, და იყავნ ყოვლითურთ სასოება შენი მისა მიმართ, და იყავნ მისვლა შენი ძილად საუკუნოდ სარწმუნეობასა ზედა სამეხისასა<sup>100</sup>.

ს. ჯანაშია ნაშრომში “საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე”, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს სოციალური ფენების, საზოგადოებრივი კლასების წარმოშობას, მათ ურთიერთობასა და ფეოდალიზაციის გენეზისის ფორმების შესწავლას, მნიშვნელოვან დასკვნებს აკეთებს საქართველოში შუა საუკუნეების ადრეულ საფეხურზე საერო და საეკლესიო ხელისუფლების ურთიერთობის შესახებ. სავსებით ვეთანხმებით ავტორისეულ შეფასებას ჯუანშერის თხზულების ერთი ადგილისა, რომელიც ასახავს ქართულ წყაროში სამეფო ხელისუფლების ღვთისგან ბოძებას. ეს არის პასაჟი ჯუანშერის შრომიდან, სადაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი საქართველოდან გაძევებულ მიქაელს მიმართავს: “კადნიერებისათვის მეფისა თანა-გაც შენ სიკვდილი, ვითარცა იტყვის დაემორჩილენით თქვენ მეფეთა: რამეთუ არა უდად აბიეს ხრმალი, რამეთუ ღმერთისა მიერ მთავრობს, ვითარცა ლომი შორის ცხოვართა”. თუმცა ვერ

---

<sup>100</sup>ლენტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ. 1955, გვ. 130.

დავეთანხმებით ავტორის იქვე განვითარებულ მოსაზრებას: “კათალიკოსი მეფისათვის საჭირო იყო საეკლესიო მმართველი წრეების დასამორჩილებლად, რომელნიც მონარქის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი და ირანელთა კავშირში იმყოფებოდნენ”<sup>101</sup>.



ქარლოს დიდის ნათლობა. მინიატურა

<sup>101</sup> ს. ჯანაშია. შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 235. რადგანაც ჩვენი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის დაპირისპირების მიზეზის შესწავლა, ჩვენ ამ პრობლემის განხილვას არ შევეუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პრობლემის შესწავლისათვის აუცილებელია ბიზანტიაში მიმდინარე პრობლემების უფრო ღრმა ანალიზი. არ შეიძლება უგულვებელყოფა კონსტანტინოპოლის პატრიარქის აკაკისა და იმპერატორ ზენონის მიერ მიღებული ენოკტიკონის მნიშვნელობისა. შეიძლება, ამ მოვლენასთან ერთად, რომელმაც პირველი დიდი განხეთქილება გამოიწვია ქრისტიანულ ეკლესიაში, განსაკუთრებით რომის პაპთან დამოკიდებულებაში, ბიზანტიის იმპერატორების აღმოსავლეთის საპატრიარქოებთან მიმართების შესწავლამ და იქ მიმდინარე ცვლილებებმა უფრო ნათელი გახადონ ეს საკითხი.




## ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხისათვის

ჩვენამდე არ არის მოღწეული ადრეული შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულებათა განმსაზღვრელი ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ნაწარმოებები, რომლებიც თავიანთ დამოკიდებულებას პირდაპირ გამოხატავდნენ თავიანთ წერილებში, ისევე როგორც ის ავტორები, რომელთა თვალსაზრისის გადმოცემას შევეცადეთ ნაშრომის წინა ნაწილში. მაგრამ საქართველოში ამ საკითხებთან დამოკიდებულება ჩვენ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტებისა და საისტორიო მწერლობის მიხედვით. ისინი სრულიად ადასტურებენ ამ საკითხებისადმი ქართული საეკლესიო და საერო სტრუქტურების დამოკიდებულების იდენტურობას იმ პოზიციებთან, რაც ზოგადად ყალიბდებოდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანობის მკვეთრად გამოკვეთილი ისტორია ქართულ წყაროებში იწყება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებასთან ერთად, ქართულ მწერლობაში მაინც ჩანს საქართველოში ქრისტიანული იდეოლოგიის ევოლუციის ის გზა, რომელიც მან გაიარა. მაგალითისათვის, ქართულ წყაროებში დამოწმებულია ის პოზიცია, რომელიც გააჩნდა კონსტანტინე დიდამდე ეკლესიას ომთან დაკავშირებით. ლეონტი მროველი გადმოგვცემს: “არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და მადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა”<sup>102</sup>. ეს გამოხატავს ზოგად პოზიციას ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში

---

<sup>102</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, ტ. I, თბ. 1955, გვ. 125.

ომის უარყოფის თაობაზე, რომელიც, როგორც თავიდან აღ-  
ვნიშნეთ, მალევე იცვლება. ასევე მალე იცვლება ეს დამოკი-  
დებულება საქართველოში, ყალიბდება სახელწიფო სამხედრო  
მსოფლმხედველობა ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით.



*წმინდა გიორგი, წმინდა დიმიტრი თესალონიკელი,  
წმინდა მარტინ ტურელი*

ეკოლუცია ქრისტიანული სამხედრო მსოფლმხედველო-  
ბისა, რომელიც იდენტური იყო ევროპული ქრისტიანული  
სამყაროსი, ვლინდება ასევე წმინდანთა ინსტიტუტის ჩამოყა-  
ლიბებისას მათდამი ეკლესიის დამოკიდებულებაში. ამ აზრის  
საილუსტრაციოდ გვსურს წარმოვადგინოთ IV საუკუნის  
ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი მოწამეები, რომელთა  
მნიშვნელობა ერთნაირად დიდია ქრისტიანულ სამყაროში,  
მაგრამ, ამავე დროს, მოგვიანებით ისინი გარკვეულ ნაციონა-  
ლურ ელფერს იღებენ და გვეკლინებიან მფარველებად და  
მხსნელებად ხალხებისა თუ ქალაქებისა.

ადრეულ შუა საუკუნეებში მრავლი ასეთი წმინდანის  
დასახელება შეიძლება, მაგრამ ჩვენ სანიმუშოდ ვიღებთ იმ  
წმინდანთა ცხოვრებას, რომელთა მოღვაწეობის არეალის მი-


ხედვით შეიძლება მოვიცვათ მთელი ქრისტიანული სამყარო, როგორც ე. წ. დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი. ასევე, მათი მოღვაწეობა ერთდროულია. ასეთებად წარმოგვიდგენია წმინდა დიმიტრი თესალონიკელი, წმინდა გიორგი კაპადოკიელი და წმინდა მარტინ ტურელი. ჩვენს მიერ დასახელებული ეს წმინდანები თავიანთი ღრრის წარჩინებული მხედართმთავრები არიან, რომლებიც უარყოფენ თავიანთ სამხედრო ხელობას და მარხვასა და ლოცვას მიეცემიან, ხოლო შემდგომში გვევლინებიან, როგორც მფარველნი და მეოხნი ქრისტეს მხედართა. დიმიტრი თესალონიკელი მონაწილეობდა იმპერატორ მაქსიმიანე გალერუსის ლაშქრობებში და თესალონიკის პროკონსულიც იყო. როგორც მისი ცხოვრებიდან ვიცით, მან უარი თქვა ლაშქრობებში მონაწილეობაზე, თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა და თავის მსახურს უთხრა: “მიწიერი საუნჯე მათ განუყავი, ჩვენ კი ზეციერი ვეძიოთ”, თვითონ კი მოწამებრივი აღსასრულის მოლოდინში მარხვასა და ლოცვას მიეცა. დიმიტრი თესალონიკელის, როგორც წმინდანის კულტი შემდეგში ჩამოყალიბდა, როგორც მშობლიური ქალაქის თესალონიკის მფარველის და მხსნელისა. ქრისტიანული გადმოცემების თანახმად, მისი მეოხებით ბერძნებს მრავალი გამარჯვება მოუპოვებიათ თავდამსხმელებზე.

ასეთივეა ცხოვრება მარტინ ტურელისა, რომელიც ბერად აღკვეცამდე მხედართმთავრად მსახურობდა იმპერატორ იულიანე განდგომილის ლაშქარში. მოგვიანებით მარტინ ტურელი ხდება მფარველი “ქრისტეს ჯარისკაცთა”. გრიგორი ტურელის გადმოცემით, წმინდა მარტინი გვევლინება ფრანკთა მეფის შემწედ და მეოხად ბრძოლებში წარმართთა და არიოზელების წინააღმდეგ. პუატიესთან ბრძოლის წინ, როდესაც ხლოდვიგი ებრძოდა ალარიხს, მეფე გასცემს ბრძანებას: ქალაქ ტურში ჯარისკაცები არ უნდა შეხებოდნენ არაფერს ამ ქალაქის მფარველის წმ. მარტინის პატივისცემით. ბრძოლის წინ ხლოდვიგი მიზანდასახულად მიდის წმინდა

მარტინის ბაზილიკაში, რათა მისგან ეუწყოს, ექნება თუ არა მას, წმინდა მარტინის მსახურს, წმინდანისაგან შემწეობა ამ ბრძოლაში. მემატიანის თხრობით, როდესაც ის ტაძარში შევიდა, უცაბედად აჟღერდა ფსალმუნი: “შენ შთამბერე ძალა საომრად, მოდრიკე ჩემზე აღმდგარნი ჩემს ფეხქვეშ. ჩემს მტრებს ზურგი აბრუნებინე ჩემგან და ამოწყვეტ ჩემს მოძულეებს” (17, 40-41). რამდენიმე ასეთივე გადმოცემა არის ფრანკთა ისტორიის მემატიანესთან, როდესაც მეფენი და განსაკუთრებით ხლოდვიგი ბრძოლის წინ შესთხოვეს მფარველობას წმინდა მარტინს. მსგავსადვე გამოირჩეოდა თავისი მხედრული ნიჭით წმინდა გიორგი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, იმპერატორმა დიოკლეტიანემ თავის პირად მცველთა რაზმის უფროსად დანიშნა და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. ამ ადამიანთა ცხოვრება და მათი კულტისადმი თაყვანისცემა გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება დამოკიდებულება მეომრის ხელობისადმი ადრე შუა საუკუნეებში და ყალიბდება სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობა. ეს წმინდანები მოგვიანებით გვევლინებიან ქრისტეს მხედრებად, მფარველებად თავიანთი ხალხებისა, ასევე ქალაქებისა. საქართველოს ისტორიაში წმინდა გიორგი გვევლინება, როგორც ხილულად მებრძოლი ქართველთა ლაშქარში. წმინდა გიორგის ტროპარში, რომელიც ყველაზე ნათლად გამოხატავს მისი კულტისადმი დამოკიდებულებას, იგი მოხსენიებულია, როგორც ტყვეთა განმათავისუფლებელი, გლახაკთა ხელის აღმპყრობელი, სნეულთა მკურნალი, ასევე მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი. მარტინ ტურელი ასევე ითვლება ქალაქ ტურის მფარველად და შემდგომში, როგორც ამას გვიჩვენებს ფრანკების საეკლესიო ისტორიკოსი გრიგორი ტურელი, ასევე შემდგომი პერიოდის საფრანგეთის ქრონიკები, იგი გვევლინება ბრძოლებში ამ ხალხთა მეოხად და მფარველად.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, ყოველივე ქმედებანი, როგორც სასულიერო, ასევე

საერო ხელისუფალთა მიერ მოტივირებულია ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე. როგორც ზემოთ უკვე წარმოვადგინეთ, ქართულ სინამდვილეშიც პირველი ნაბიჯი იყო მათ მიერ მოტივირება მეფთა და წარჩინებულთა მოღვაწეობისა და, განსაკუთრებით, მათი სამხედრო საქმიანობისა. ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველთა ნებისმიერი გამარჯვება მტერზე მიეწერებოდა ღმერთს, რომლის შემწეობითაც ეძლეოდათ მათ ძლევა. უბედურებანი წარმოდგენილი იყო, როგორც ქმედებანი მტერთა ქრისტიანობისა, ან ხშირად ეს უბედურება განპირობებული იყო ქრისტიანთა მიერ ჩადენილი ცოდვებით ან მცირედმორწმუნეობით.



*წმ. დიმიტრის ტაძარი სკლონიეში. VI-VII სს.*

ქრისტიანული აზროვნების ფორმა, როდესაც ადამიანებს სასჯელი მოეკლინებოდა თავიანთი ჩადენილი ცოდვისაგან, წარმოიშვა ქრისტიანულ სამყაროში საეკლესიო მამათა მიერ ჩამოყალიბებული საღვთისმეტყველო თეორიათა საფუძველზე. რადგანაც ღმერთი არის ყველაფრის განმსჯელი და შემოქმე-

დი, იგი ადამიანთა მეოხია და ამავე დროს მოუვლენს მას სასჯელს ჩადენილი ცოდვებისათვის, ქრისტიანულ საზოგადოებაში, რომელიც ღვთის ნებით იმართება, აუცილებლობას წარმოადგენს განიმარტოს ქრისტიანთა მარცხი ბრძოლებში (ხშირად უღმერთოთა წინააღმდეგ), ან მათზე მოვლენილი სხვადასხვა უბედურება. ასეთი აზროვნების დასადასტურებლად დასავლეთ ევროპის ისტორიიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, ჩვენ დავასახელებთ ერთ-ერთს. ეს არის ლერინის მონასტრის ბერის სალვიანის, რომელიც თავის თავს უწოდებს მარსელელ მოძღვარს, ტრაქტატი “ღვათაებრივი მმართველობის შესახებ”, სადაც იგი შეეცადა აეხსნა ბარბაროსთა შემოსევების მიზეზები. სალვიანი ძირითად მიზეზად მიიჩნევს რომაელებს, მათ შორის ქრისტიანებსაც, რომლებიც თვითონ იყვნენ თავიანთ მტრებზე უფრო მეტი მტრები თავიანთი ქვეყნისა, რადგან გაამრავლეს ცოდვები ურთიერთდაპირისპირებითა და შუღლით<sup>103</sup>. მსგავსი შინაარსის პასაჟები ხშირია როგორც ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, ასევე “ქართლის ცხოვრების” კრებულში შემავალ ქრონიკებსა და საისტორიო წიგნებში. ჯუანშერი ვახტანგის გამეფების დროინდელი სიტუაციის შესახებ წერს: “განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხვა, რამეთუ მიგვეცნა ჩუენ წარტყვევნად უცხოთა ნათესავთა, და მიგველო ჩუენი საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიულო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი. იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ ეპყრა კეთილად სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვისაგან”<sup>104</sup>. ჯუანშერი, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანია,

<sup>103</sup> Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада, с.18.

<sup>104</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა – ქართლის ცხოვრება. ტ.1. გვ. 146.

ვინც ქართულ საისტორიო მწერლობაში დაამკვიდრა ქრისტიანული იდეოლოგია, რამდენჯერმე იმეორებს, რომ ქვეყანაში მოვლენილი უბედურებანი — უცხოთა მიერ ქვეყნის ტერიტორიის დაკავება, და უცხო სჯულის გავრცელება საქართველოში, “რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლმსახურება ტყუილობისა და საზღვართა მიხუმისაგან” — მოვლენილი იყო ქართველებში ცოდვის გამრავლებით, როგორც ამას მატიანეში აცხადებს თვითონ მეფე ვახტანგი: “მაშინ მეფემან, ვითარცა მოხუცებულმან და ბრძენმან და ვითარცა აღზრდილმან ფილოსოფოსთა თანა, იწყო ზრახვა ხმითა მალლითა და თქუა: მეფეთა და ერთა ზედა მოიწვევის განსაცდელი და ჭირი ღმერთისა მიერ ცოდვათგან მათგან: ოდეს მორწმუნეთა აკლონ მსახურება ღვთისათა და გარდაჰხდნენ მცნებასა, მოაწვეს ჭირთა ესევითართა ზედა, რომელი აწ ესე მოიწია ჩუენ ზედა, ვითარცა რა მამა კეთილი წურთინ შვილსა კეთილად კეთილთა ზედა საქმეთა”<sup>105</sup>. ცოდვის განსჯის შესახებ არის ასევე საუბარი ჯუანშერის თხზულებაში ვახტანგსა და მთავრებისკოპოს მიქაელს შორის კონფლიქტის აღწერისას. ვახტანგი მიმართავს ეპისკოპოსს: “სილალე ესე ამპარტავენებისა არს საცთური ეშმაკისა; უკეთუ სიმრავლემან ცოდვათა ჩემთაგან აღგძრა, არა გაქვს ხელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა, ვითარცა იტყვის სახარება, ვითარმედ: “არა დაშრიტო პატრუკი მგზნებარე, არცა განსტეხო ლერწამი დაჩეჩქვილი”<sup>106</sup>.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 147.

<sup>106</sup> იქვე, გვ. 196-197. ცოდვისაგან ღვთის მიერ დადებული სასჯელის შესახებ ასეთი სახის აზროვნების მაგალითები მრავლად გვხვდება ქართულ მწელობაში. როცა დიდმოწამე კონსტანტინე ქართველთა მთავარი (LX საუკუნე) ბულა თურქს წარუდგინეს, ბულა თურქმა გაკვირვებით კითხა: “ანუ არა უწყოდლა შენ, რამეთუ ვერ განრინებად იყავ სილტოლვითა შენითა ხელისაგან ჩემთა... აჰა ესერა მოგუცნა თქვენ ღმერთმან დღესა ამას მოსასვრელად ხელთა ჩუენთა”. წმინდა კონსტანტინემ მშვილად მიუგო: “მეცა უწყნი, ვითარმედ ღმერთმან მოგცნა ხელთა თქვენთა, არამედ არა

რადგანაც ჩვენ წინა თავებში ვისაუბრეთ სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ, ასევე უკვე ნათელია ზოგადქრისტიანული პოზიცია საერო ხელისუფლების განხორციელებისა და ომთან დამოკიდებულების საკითხში, შევეცდებით, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ ქართული საისტორიო წყაროებიდან, საქართველოში მსგავსი პოზიციის არსებობის დასამტკიცებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ა. თვარაძის ნაშრომში “საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში”. ავტორს გაწეული აქვს დიდი და საინტერესო სამუშაო და ფრიად საინტერესო დასკვნებს გვათავაზობს ამ სა-

---

სიყვარულისა თქუენისათვის, არცა საქმეთა თქვენთა კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხნით ჩუენ მცნებანი მისნი, ამისათვისცა ნათესავითა მით ურჩებისათა განგუკაფნა ჩუენ, რამეთუ მრავალ გზის იერუსალიმიცა მისცის უფალმა ხელთა უცხო თესლთა, რაჟამს არა ვიდოდინ იგინი გზათა მისთა; ხოლო ჩუენდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რათა დავიმარხნე მცნებანი მისნი და სიმხნით დაითმენდა იგი უკეთურისა მის მძლავრებათა, რამეთუ ეხსნა მას სიტყვა იგი უფლისათა, რომელსა იტყვის, “ნეტარ იყუნეთ თქუენ რაჟამს გღვენიდნენ და გყუედრიდნენ და თქუან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუვით ჩემთვის”. – ცხოვრება და წამება წმინდისა მოწამისა კონსტანტინე ქართუელისა. საქართველოს სამოთხე, გვ. 366. ასევე საინტერესო მაგალითია წმინდა მღვდელმონაზონ გიორგი ქართველი ახალის სიტყვებში გადმოცემული, რომელიც იყო პასუხი გამუსლიმებული ქართველი ფაშას მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, “თქვენი რწმენა ჭეშმარიტი და ღვთის სათნო რომ იყოს, ღმერთი მტრების ხელში არ ჩაგადგებათ”, რაზედაც წმინდანმა მიუგო: “ფაშა, შენ ყველაფერი მცდარად გესმის. განა მამა არ მოიმარჯვებს წკებლას ცელქი შვილის დასასჯელად? მაგრამ ამას იმიტომ კი არ სჩადის, რომ გულიდან ამოიგდოს შვილი, არამედ გამოსასწორებლად. როცა მას გამოსწორებულს დაინახავს, გადატეხავს წკებლას და ცეცხლს მისცემს. თქვენც ჩვენი ცოდვების გამო მოგიშვათ ჩვენზე ღმერთმა, თქვენ წარმოადგენთ კვერთხს ღვთის ხელში, მაგრამ როცა გამოსწორებულს გვიხილავს, ამ უსარგებლო ნივთს ცეცხლში მოისერის...” – წმინდანთა ცხოვრება, ტ. I, რედ. ლეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, თბილისი, 2003, გვ. 179.



კითხთან დაკავშირებით. ეს ნაშრომი არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა ჩვენს სინამდვილეში ქართული საისტორიო წყაროების იდეოლოგიური შესწავლისა და მისი ანალიზისა მსოფლიო ისტორიის შუქზე<sup>107</sup>.

ქართული კულტურის მკვლევართა შრომებში მოცემულია საქართველოში ქრისტიანული აზროვნების დამკვიდრებისა და ქართული მებრძოლი ქრისტიანობის ვრცელი ანალიზი. ზ. გამსახურდიას აზრით, “ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა”<sup>108</sup>.

ქართული წყაროები, რომლებიც, ისევე როგორც ქრისტიანული ეპოქის სხვა ქრონიკები, შექმნილია საღვთისმეტყველო ისტორიული კონცეფციის შესაბამისად, ნათლად წარმოაჩენენ ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს სათავეში მყოფი პირველი მეფეების ქმედებათა ქრისტიანულ მოტივებს.

ჯვრის წამბღვარება და ჯვრით ძლევა მტერთა და შემუსვრა კერპთა – ეს პროცესი, სხვა ქრისტიანული ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მიმდინარეობს. ჯვრით ძლევის მომენტები მრავლად არის დამოწმებული ლეონტი მროველის თხზულებაში, როდესაც არმაზისა და ზადენის მათა ჩამოქცევასა და კერპთა შემუსვრას წმინდა ნინო უფლის შეწევნასა და ჯვრის ძალას მიაწერს: “...არიან ისინი მეოტ ამით ადგილით ძალითა მალლისაითა და ჯვარითა ქრისტესაითა”<sup>109</sup>. “ზოლო კონსტანტინე მეფემან ირწმუნა მათი, ვითარ წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევათა ბერძენთასა, ნათელ-ილო კონსტანტინე, და წარმოიძღუნა სახე ჯუარისა, და ეწყო მტერთა სპარსთა მათ ურიცხვთა სპითა მცირითა,


---

<sup>107</sup> თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004.

<sup>108</sup> გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისია. – წერილები და ესეები, თბილისი, 1991, გვ. 208.

<sup>109</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა – ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 113.

და ძალითა ქრისტესითა აოტა ბანაკი მათი, და მოსრა სიმ-  
რავლე მათი”<sup>110</sup>.



### იერუსალიმი. მინიატურა

ქრისტიანული სამხედრო იდეოლოგია ადრეული შუა საუკუნეების ისტორიის წყაროებიდან ყველაზე გამოკვეთილად არის ასახული ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერაში. ვახტანგის ყველა ქმედება, ამ ნაწარმოების მიხედვით, შესაბამისობაშია ქრისტიანულ მოძღვრებასთან, რომელიც IV საუკუნეში საეკლესიო მამებმა დაამკვიდრეს. მისი ყველა ბრძოლა მოტივირებულია, როგორც ქრისტეს მოძულეთა წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ქვეყნის ინტერესების დაცვით. ნაწარმოებში წარმოჩენილია ვახტანგის ისეთი ომებიც, რომლის გამართლებასაც აუცილებლად მოითხოვს ავტორისდროინდელი საზოგადოება ისეთი წმინდა მეფისათვის, როგორადაც ის ამ ნაწარმოებშია წარმოდგენილი. ასეთებია ის ბრძოლები, რომელშიც მეფე მონაწილეობს ირანის შაჰთან ერთად ბიზანტიის წინააღმდეგ, ასევე მისი ლაშქრობანი

<sup>110</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 70.

ჯორჯანზე, სინდსა და ინდოეთზე. ეს ნაწარმოები უკვე განვითარებულ შუა საუკუნეებშია შექმნილი, განვითარების ამ ეტაპზე ქრისტიანობა უკვე სახელმწიფოს მთელ სფეროს მოიცავს, ქვეყნის როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკის ნებისმიერი გადაწყვეტილება მთლიანად ქრისტიანული იდეოლოგიის საბურველშია მოქცეული. შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ V საუკუნის ქრისტიანული სამყაროს ისტორიის არც ერთ წყაროში არ არის ასე სრულყოფილად წარმოჩენილი ქრისტიანული იდეოლოგია, როგორც ეს არის ჯუნშერთან<sup>111</sup>. ჯუნშერთან, შეიძლება ითქვას, გარკვეული მინიმ-

---

<sup>111</sup> ის, რომ ეს ნაწარმოები, შეიძლება, გვიან იყოს შექმნილი და ასეც არის ის დათარიღებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, დასტურდება არა მხოლოდ ჩვენს მიერ მითითებული ქრისტიანული იდეოლოგიის სრულყოფილებით, არამედ იმითაც, რომ ნაწარმოებში ბერძენთა და ბიზანტიის იმპერატორთა ხელისუფლების წარმოჩენის გვერდით წინ წამოწეულია გარკვეული დამოუკიდებელი ქართული ნაციონალური პრობლემები, მოცემულია "დასაშვები" კრიტიკა ბიზანტიური საიმპერატორო კარისა, ქრისტიანობის წარმოშობის სათავეებთან კავშირის ძებნა. ეს დამახასიათებელია რენესანსული აზროვნების ქვეყნებისათვის, რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებისკენ აქვთ სწრაფვა. დამოუკიდებელს ჩვენ ვუწოდებთ ერთიან ქრისტიანულ სივრცეში რომის (ბიზანტიის იმპერატორის) ავტორიტეტთან გატოლებას. ასეთი რამ არის დასავლეთშიც, როდესაც კარლოს დიდი თავის წიშამორბელებთან შედარებით აქტიურად გადის ბიზანტიური რომის სივრციდან. ის იდეოლოგიურად ცდილობს დაუკავშირდეს ქრისტიანობის სათავეს, იერუსალიმს, სადაც მაცხოვარი იშვა. ეს აისახა იმაში, რომ მისი სახელის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მას მიაჩნდა იერუსალიმის გასაღებების ფლობა, თუმცა მას რომის პაპმა ასევე გადასცა რომის გასაღებები. რასაკვირველია, ქრისტეს საფლავის გასაღების ფლობა უფრო დიდი პატივი იყო, ვიდრე პეტრეს საფლავისა. საერთოდ, იერუსალიმის, როგორც წმინდა ქალაქის პატრონობა მთელს შუა საუკუნეებში ერთ-ერთი უმთავრესი პროცესია. ეს კარგად ჩანს მოგვიანო პერიოდის ქართულ წყაროებშიც, როდესაც ქართველები ფლობენ იერუსალიმის გასაღებს. ეს თემა ცალკე კვლევის საკითხია, მხოლოდ ერთს დავძენთ, რომ ასეთივე იყო კონსტანტინე დიდის ინტერესი იერუსალიმისადმი, რომელმაც აღადგინა ქალაქი, როგორც ქრისტიანთა წმინდა ქალაქი.

ნებებიც ჩნდება წმინდა ომზე, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ოდნავ გვიან ჩნდება ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. ამას მიანიშნებს ერთი ადგილი ჯუანშერის წიგნიდან: “მოიყვანა პეტრე მღვდელმან ჯუარი, და რქუა მეფემან: “დადეგ წინაშე პირისა მტრისასა და ერისა ჩვენისას, და არქუ ყოველთა — თაყვანის-ეცით ჯუარსა და ვსძლოთ მტერსა, და რომელმან არა თაყვანის-ცეს, მოკალით. და უბრძანა დემეტრეს, ერისთავსა თვისსა, და ჯუანშერს სპასპეტსა, რათა მიჰყვნენ ჯუარსა თანა. და ქადაგი ხმობდა ძლიერად: “რომელმან არა თაყვანის-ცეს ჯუარსა მოკუიღინ”. და მივიღოდეს ყოველნი ერნი, და თაყვანის-ცემდეს ჯუარსა. ხოლო ბორზო მოვაკენელმან მეფემან თქუა: “არა დაუტეობ ნათელსა შემწუელისა, და არა თაყვანისცემ ძელსა მაშმელსა, რომელი განშვენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა”, და სცა მას ლახვარი ჯუანშერ სპასპეტმან, და დაეცა მძორი მისი. მიერთგან არღარავინ იკადრებდა გმობად ჯუარისა, და აღთქმით ეტყოდა ერი იგი მეფესა ვახტანგს: “უკეთუ შემეწიოს ჩვენ ჯუარი, არღარა იყოს ჩუენდა სხვა ღმერთი გარდა ჯუარცმული”<sup>112</sup>. მიუხედავად ასეთი ადგილებისა, ამ ნაწარმოებში გვხვდება ისეთი ჩანართები, რომელიც პირდაპირ მაუწყებელია რენესანსული ეპოქის ტოლერანტობისა. სპარსელების შესახებ თხრობისას ვახტანგი ამბობს: “დაღაცათუ არა ჭემმარიტსა სულსა ზედა არიან სპარსნი, არამედ მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებლისანი, და რწამს ცხოვრება სულიერი”<sup>113</sup>.

---

რის გამოც ეს ქალაქი I საუკუნეში მიწასთან გაასწორეს რომის წარმართმა იმპერატორებმა.

<sup>112</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.174.

<sup>113</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.193.



ვახტანგ გორგასალი. ფრესკა

ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, ლეონტი მროველის თხზულების მსგავსად, შეიძლება სხადასხვა ციტატების მოყვანა ქრისტეს და ქრისტიანული სიმბოლოების შემწეობით მოტივირებისა, ნებისმიერი სახელმწიფო საქმის გადაწყვეტისა. ამ სიმბოლოთა შორის აქაც უმთავრესად ჯვარია წარმოდგენილი. ოსების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების წინ მეფე აცხადებს: “არამედ მინდობითა ღმრთისაითა და წინამძღვარობითა ჯუარისა მისთა, — არა გამწიროს და მომცეს ძღვევა”<sup>114</sup>.

ჯვარს, როგორც ყველაზე გავრცელებულ სიმბოლოს ქრისტიანულ სამყაროში და მის გავრცელებას საქართველოში ადრევე მიაქცია ყურადღება ს. ჯანაშიამ. ავტორს ამ საკითხისათვის სპეციალური თავი აქვს დათმობილი თავის გამოკვლევაში “ჯვარი, როგორც ფეოდალური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო. ქართული ქრისტიანული კულტურის

<sup>114</sup> ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა. — ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ.150.

გავრცელება კავკასიის მთიანეთში”, სადაც აღნიშნავს: “ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი გარეგნული ემბლემა და სიმბოლო, რომელიც ამ სარწმუნეობამ ჩვენშიც თავიდანვე მოიტანა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა, იყო ჯვარი”<sup>115</sup>.

ჯვარი ქრისტეს სიმბოლოა, რომლის სახელსაც უკავშირდება გამარჯვებები წარმართებსა და ბარბაროსებზე. ვფიქრობთ, ეს პროცესი ერთნაირად, თუმცა, რასაკვირველია, გარკვეული თავისებურებებით, მიმდინარეობს ევროპულ სამყაროში. ჩვენ წინა თავში მოკლედ წარმოვადგინეთ, თუ როგორ ვითარდებოდა ეს პროცესი ზოგად ევროპულ სივრცეში, ამჯერად გვსურს, ზოგადი მაგალითი მაინც დავასახელოთ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე სამხედრო ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოშობისა ადრეულ შუა საუკუნეებში. ა. თვარაძის გამოკვლევაში განვითარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპაში ამ მხრივ განსხვავებული სურათი გვაქვს. “თუ ადრე ეკლესია (იგულისხმება კლუნიურ მოძრაობამდე – ბ.ჯ) გადაჭრით უარყოფდა მეომრის ხელობას და საერო ბრძოლას, ამ დროიდან სიტუაცია იცვლება. გარკვეული კომპრომისის ფასად მოხერხდა საერო და სასულიერო წოდებათა მორიგება. ეკლესიამ დასაშვებად მიიჩნია მეომრის ხელობა...”<sup>116</sup>. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ წინა თავში წარმოდგენილი მაგალითები ქრისტიანული სამხედრო მსოფლმხედველობის წარმოშობისა, აგრეთვე IV-V სს. წმინდა მამათა, განსაკუთრებით ნეტარი ავგუსტინეს მიერ ჩამოყალიბებული სამართლიანი ომის თეორია არადამაჯერებელს ხდის ა. თვარაძის ამ მოსაზრებს. ამას შეიძლება მარტივ მაგალითად დავუმატოთ აგრეთვე გრიგორი ტურელის გადმოცემა ზლოდვიგის ნათლობის შესახებ. გრიგორი ტურელის გად-

<sup>115</sup> ჯანაშია ს. შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 235.

<sup>116</sup> თვარაძე ა. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ., 2004, გვ.10.

მოცემით, ხლოდეგს ნათლობისაკენ აქტიურად უბიძგებს ქრისტეს შემწეობა ვანდალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხლოდეგი შესთხოვს ქრისტეს შემწეობას ალემანებთან მძიმე ბრძოლის დროს, “გირწმუნებ შენ და მოვინათლები შენი სახელით, ვინაიდან შევთხოვე ჩემს ღმერთებს და დავრწმუნდი, რომ ვერ დამეხმარნენ... შენ გიხმობ უფალო როგორც კი წარმოთქვა მან ეს, ალემანები უკუიქცნენ. “Regina vero non cessabat praedicare, ut Deum verum cognoscerat et idole neglegerit. Sed Alamannos conmovetur, in quo compulsus est confiteri necessitate, quid prius voluntate negaverat. factum est autem, ut confligente urtoque exercitu vehementer caendarantur, atque exercitus Chlodovechi valde ad internitionem ruere coepit. Quod ille videns, elevatis ad caelum oculis, compunctus corde, commotus in lacrimis, ait: Jesu Christi, qui dare auxiliim laboratibus victuriamque in te sperantibus tribuere diceceris, tuae opis gloriam devotus offlagito, ut, si mihi victotiam super hos hoetis indulseris et expertus fuero illam virtutem, quam de te populus tuo nomine dictatus probasse se praedicat, credam tibi et in nomine tuo baptizer. Invocavi enim deos meos, sed, ut experior, elegati sunt ab auxilio meo, unde credo, eos nullius esse potestatis praeditos, qui sibi obeodientibus non ocurant. Te nun invoco, tibi credere desidero, tantum ut eruar ab adversariis meis. Cumque haec dicerit, Alemanni tergi verentes, in fugam labi coeperunt. Cumque regem suum cernirent interemptum, Chlodovechi se ditionibus subdunt, dicente: “Ne amplcius, quisumus preat populus iam tui sumus. Ad ille, prohibito bello, cohortato populo cum pace regressus, naravit reginae, qualiter per invocatinrm nominis Christi victoriam meruit obtinire [actum anno 15. regni sui]”<sup>117</sup>

<sup>117</sup> Кардини Ф. Истоки средневекового рыцарства, М., 1987, с. 200. გრიგორი ტურელის წიგნში არსებობს შუა საუკუნეების მწერლობისათვის დამახასიათებელი ერთი საინტერესო ჩანართი, რომელიც მიანიშნებს წმინ-



### ხლოდვივის ნათლობა. მინიატურა

ამ ადგილს მაინც გვსურს დავემატოთ ერთი ცნობა, ისევ გრიგორი ტურელის წიგნიდან ხლოდვივის ნათლობის შესახებ: რეიმსის ეპისკოპოსი ეუბნება მას – “მორჩილად დახარე თავი (კეფა), სიგამბრო” (*Mittis depone cola Sigamber*). აქ ხლოდვიგს უწოდებენ სიგამბრს, ეს არის სახელი ძველი გერმანელების ერთ-ერთი ტომისა, რომლებიც განსაკუთრებით იყვნენ გამორჩეულები, როგორც მეომრები. ამდენად, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ხლოდვიგმა შემდგომში უარი თქვას ომებზე, მაგრამ, ალბათ, უფრო წარმართულ სისხლისღვრაზე, რად-

---

დანთა მეოხებას ბრძოლებში: “მაშინ გუნობალდი, რომელიც ძალიან შეუყვარდა ეპისკოპოსს ბერტრამს, ცხოვრობდა ბორდოში. და ასე, რამდენადაც ის ეძებდა საშუალებას, რომელიც მას დაეხმარებოდა თავის საქმეში, მან მიმართა ერთ ვინმეს, რომელმაც მოუთხრო მას იმის შესახებ, რომ ერთმა აღმოსავლეთის მეფემ წაიღო წმინდა მოწამე სერგის თითი და მიიმაგრა ის თავის მარჯვენა ხელზე. როდესაც მას უხდებოდა მტრების განდევნა, ის, დანდობილი წმინდანის შემწეობაზე, აღმართავდა მარჯვენა ხელს და მაშინვე მტრის ჯარი, დამარცხებული წმინდანის სასწაულმოქმედი ძალის მიერ. გარბოდა”. – *Gregori Turiensis Historia Francorum, L.VII, 31.*



განაც იგივე ავტორი თავის წიგნში აღწერს მრავალ ეპი-  
ზოდს ბრძოლებისა, რომელსაც ფრანკები ქრისტეს სახელით  
და ასევე წმინდანთა მეოხებით ეწვეიან ე. წ. ქრისტესმოძუ-  
ლეთა წინააღმდეგ, როგორც საერთოდ ქრისტიანულ სახელ-  
მწიფოებში მოიხსენიებენ თავიანთ გარეშე მტრებსა და სა-  
ხელმწიფო ინტერესების მოწინააღმდეგეებს. ასევე აღსანიშნა-  
ვია ისიც, რომ მოგვიანებით საფრანგეთში სიგამბრი გახდა  
გამარჯვების მომპოველი გმირის სინონიმი.

ხლოდვიგის ნათლობასთან დაკავშირებით არსებობს  
სხვა გადმოცემაც, რომელიც მოცემულია ნიქოსიუს ტრიტე-  
ლის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, რომლის მიხედვითაც  
ხლოდვიგს ნათლობისაკენ უბიძგა მარტინ ტურელის საფლავ-  
ზე მომხდარმა სასწულმა. იტალიელი მკვლევარი, ფ. კარდინი  
ამ ორ გადმოცემას შორის საერთოს ხედავს იმაში, რომ  
ხლოდვიგის არჩევანი გადაწყვიტა ქრისტეში ძლიერი ღმერ-  
თის დანახვამ. “გერმანელმა დაკარგა ნდობა ძველი ღმერთე-  
ბის მიმართ და ირჩევს სხვას ძლიერ ღმერთს”<sup>118</sup>.

ქრისტესათვის და სარწმუნოებისათვის ბრძოლის მაგა-  
ლითია საქართველოში არაქართველთა მონაწილეობა ბრძო-  
ლებში ქრისტეს მტერთა წინააღმდეგ. ასეთი მაგალითის და-  
სახელება შეიძლება დასავლურ წყაროებშიც, როდესაც მო-  
ნათლული ბარბაროსები, იმპერატორების სამსახურში მყოფ-  
ნი, იბრძვიან ქრისტიანულ ჯარში. ასეთივეა მაგალითი პირ-  
ველმოწამე რაჟდენის, რომელიც უცხო წარმოშობისა იყო –  
“დღესა ერთსა ჩუეულებისაებრ, განვიდა წმინდა რაჟდენ  
ბრძოლად, რამეთუ იგი უმეტეს სხუათა ქართუელთასა უმ-  
ხურვალეს ებრძოდის სუყვარულისათვის ქრისტესა, რამეთუ  
იყოცა წმინდა ესე ახოვან წყობასა შინა გამოცდილი და რჩე-  
ული მებრძოლი, რამეთუ მრავალგზის განსრული და მძლე

<sup>118</sup> Кардини Ф. Истоки средневекового рыцарства. М., 1987, с. 200.

ქმნული ძალითა ქრისტესითა ძლევამე მოსილი უვნებლად შე-  
მოიქცის<sup>119</sup>.



*მაცხოვარი აკურთხებს მრევლს. მინიატურა*

---

<sup>119</sup> თ ა. აგვისტოსა გ. წამება და ღუაწლი წმიდისა დიდისა მოწამისა რაუდენისი, რომელ იწამა ჟამთა დიდისა მეფისა ვახტანგისათა, სპარსთა მიერ ქართლს, სოფელსა შინა წრომს. — საქართველოს სამოთხე, გამოცემული გ. საბინინის მიერ, პეტერბურგი, 1802, გვ. 173.

შუა საუკუნეები საქართველოს ისტორიის ყველაზე გამოკვეთილი ეტაპია. ეს არის პერიოდი, როდესაც ხდება ქართული კულტურის ფუნდამენტის მშენებლობა და ქართველი ერის ჩამოყალიბება, როდესაც შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. ასეთივე მნიშვნელობისაა ეს პერიოდი ევროპული სახელმწიფოებისათვის. ჩვენთვის და ევროპისათვის შუა საუკუნეები განვითარდა საერთო ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე. რადგანაც შუა საუკუნეები არის საზოგადოების განვითარების ისეთი ფორმა, სადაც როგორც აზროვნება, ასევე მისი შესაბამისი პოლიტიკური თუ კულტურული მოღვაწეობა განისაზღვრებოდა რელიგიით, ამდენად, ამ სივრცეს, სადაც ერთი რელიგია იყო გაბატონებული, თავისთავად უნდა ჰქონოდა საერთო მახასიათებლები. ამავე პერიოდში ამ სივრცეში შემავალი ხალხი ქმნის დამოუკიდებელ კულტურებს. ამდენად, შუა საუკუნეების ცივილიზაციის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სივრცეში შემავალი ხალხისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული შუა საუკუნეების სათავეებთან მყოფი ხალხების ისტორია განსხვავებულად წარიმართა და ნაწილი თვისობრივად ჩამოსცილდა კიდევაც ამ სივრცეს, მაინც უმნიშვნელოვანესია შევისწავლოთ ამ ცივილიზაციის წინამძღვრები და ფორმირების პირველი ეტაპები.

შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული კულტურა ჩამოყალიბდა ერთიან ქრისტიანულ სივრცეში, სადაც შემავალი ხალხები აღიარებდნენ ქრისტიანული რომის დომინანტს. რადგანაც ქრისტიანული რომი, როგორც სახელმწიფო, ყალიბდება ცენტრით კონსტანტინოპოლში, შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე (VIII საუკუნემდე) კონსტანტინიპოლი და ბიზანტიის იმპერატორი წარმოადგენდა ამ ერთიანი ქრისტიანული სამყაროს მეთაურს. ბიზანტიის იმპერატორის ხელი-

სუფლებას აღიარებდნენ მთელს ქრისტიანულ სამყაროში, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთ ევროპაში.

ქართული ქრისტიანული კულტურაც დასაბამიდან მონაწილეა ამ პროცესის და იგი თავდაპირველად ჩამოყალიბებას იწყებს, როგორც მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ნაწილი. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველები ძირითად როლს ასრულებენ. ქართველები, როგორც ამას გადმოგვცემენ ქართული წყაროები, საკუთარ თავს აღიქვამენ ამ ცივილიზაციის სივრცეში.

ამ პრობლემის სრულყოფილი გააზრებისათვის ჩვენ შევეცადეთ, ვრცლად წარმოგვედგინა ქრისტიანული შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისი, ამ ცივილიზაციის წანამძღვრების და მახასითებლების წარმოჩენით შეგვედარებინა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში ამ ცივილიზაციის წარმოშობის ზოგადი ფორმები და თავისებურებანი, რამაც მოგვცა საფუძველი დასკვნისათვის, რომ შუა საუკუნეების ცივილიზაციის წარმოქმნა ხდება ერთიანი რომის იმპერიის სივრცეში, რომელში შემავალი ხალხები, იმ პერიოდისათვის თავიანთი განვითარების დონის შესაბამისად, მონაწილეობას იღებენ ამ ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. ამ ეტაპისათვის ნაადრევია ვისაუბროთ აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ ცივილიზაციათა ტიპოლოგიური განსხვავებულობის შესახებ. ამდენად, თქმა იმისა, რომ ამ ეტაპზე ქართული კულტურა მიეკუთვნება აღმოსავლეთ რომის ბიზანტიურ ცივილიზაციას, ნაადრევია, რადგანაც ტიპოლოგიურად განსხვავებული ბიზანტიური ცივილიზაცია მოგვიანო ეტაპზე ყალიბდება.

პრობლემის მრავალფეროვნების გამო, ვფიქრობთ, რომ უმჯობესია შუა საუკუნეების ცივილიზაციის შესწავლისათვის და ამ ცივილიზაციაში როგორც ქართველთა, ასევე ამ კულტურის სხვა შემოქმედთა როლის განსაზღვრისათვის ამ ეპოქის როგორც ზოგადქრისტიანული, ასევე ნაციონალური კულტურების ცალ-ცალკე დახასიათება, რაც ფრიად შრომა-

ტევადი სამუშაოა, ამავე დროს ამას შეეძლო ჩვენი ნაშრომი-სათვის ძალიან ზოგადი სახე მიეცა. ჩვენ წარმოვადგინეთ ძირითადად IV-VI საუკუნეები, ეტაპი, როდესაც უფრო მეტია ზოგადქრისტიანული მსოფლალქმა, ვიდრე კერძო ნაციონალური. მართალია, არსებობს კერძო ნაციონალური ინტერესები, მაგრამ ისინი მაინც ზოგადქრისტიანული იდეოლოგიის ფონზეა წარმოდგენილი. გარდა იმისა, რომ იდენტურია აზროვნების ფორმა მთელს რომის ქრისტიანულ იმპერიაში, რაც აისახა ამ ეპოქის საისტორიო მწერლობაში, ასევე იმაში, რომ სხვადასხვა ხალხები და ამ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნაციონალური პოლიტიკური ერთეულები, როგორც დასავლეთში (ფრანკების, ლანგობარდების, ოსტგოთების, ვესტგოთების...), ასევე აღმოსავლეთში (ქართული სახელმწიფო ერთეულები — ქართლი და ლაზიკა) ერთნაირად აღიარებენ რომის (ბიზანტიის) იმპერატორს, როგორც ქრისტიანული იმპერიის მეთაურს. ამის მიმანიშნებელია არა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორისაგან საიმპერატორო კარის მოხელის ტიტულების მიღება, არამედ ისიც, რომ ამ ეპოქის საისტორიო წყაროები თითქმის ერთნაირად მოიაზრებენ ბიზანტიის იმპერატორს ქრისტიანული სამყაროს სათავეში. ამის დადასტურება შეიძლება იყოს ისიც, რომ იპერატორის ტახტზე ასვლა, ან იმპერიაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენა აუცილებლად იკავებს მის თანამედროვე ნაციონალურ ლიტერატურაში განსაკუთრებულ ადგილს (მოქცევაი ქართლისაი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი, გრიგორი ტურელი, ბედა პატივდებული, ლანგობარდთა და გოთების მემატიანეები). ხშირად ამ თხზულებებში, რაიმე მოვლენის დათარიღების დროს, მითითებულია, თუ ვინ იყო ამ დროს ბიზანტიის იმპერატორი.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა მსოფლალქმის იდენტურობა ამ სივრცეში, ეს იქნებოდა საერთოდ აზროვნების ფორმა, თუ დამოკიდებულება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, როგორიცაა სამეფო თუ საერო ხელისუფლების ქრისტიან-

ნული იდეოლოგიის შესაბამისად ფუნქციონირების თეორია, თუ ომისადმი დამოკიდებულება და, საერთოდ, სახელმწიფო მსოფლმხედველობა, რამაც საშუალება მოგვცა გვეფიქრა, რომ ის სწორედაც იდენტურია ამ სამყაროში შემავალი ხალხებისათვის. სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის, თუ უფლისაგან სამეფო ხელისუფლების გადაცემის თეორია ისეთივეა ქართულ სინამდვილეში, როგორც დასავლეთში. ასევე სამხედრო მსოფლმხედველობა, ომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულება, ისეთივე ევოლუციის გზას გადის საქართველოში, როგორც ეს ხდება საეროდ ევროპულ სივრცეში (ომის, როგორც ხელობის უარყოფა, სამართლიანი ომის თეორია და წმინდა ომის – ქრისტიანობისა და ქრისტიანული სამშობლოს დაცვის თეორია). თავდაპირველად ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ ომი და სისხლისღვრა მიუღებელია ქრისტიანთათვის, შემდეგ ეტაპზე ჩნდება სამართლიანი ომის გაგება, ანუ ომი ურწმუნოებთან სამშობლოს და ქრისტიანობის დასაცავად. ქრისტიანი, ქრისტეს მხედარი (Milites Dei), თუ ადრე მიიჩნევდა რომ, მხოლოდ ლოცვითა და მორჩილებით ემსახურებოდა ღმერთს, შემდგომში მისი აზროვნება განიცდის ტრანსფორმაციას, ის ხდება ქრისტეს მხედარი და იარაღით ხელში იცავს სამშობლოსა და, პირველ რიგში, თავის სარწმუნოებას.

ქრისტიანულ სივრცეში ერთნაირია მსოფლგანცდაც. ამ ეპოქის აზროვნებაში ერთნაირად არის გადმოცემული განცდა სასჯელისა ცოდვებისათვის, თუ ღვთის შემწეობა განსაცდელში. ასევე მგავსადევა მოტივირებული ქმდებანი. უფლის შემწეობა ბრძოლაში და მოდელი კონსტანტინე დიდის მიერ უფლის შემწეობით (ჯვრის წინამძღვრობით) გამარჯვების მოპოვებისა წარმართებთან ასევე გადმოტანილია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ქართველების ბრძოლაში მონაწილეობა ყოველთვის მოტივირებულია ქრისტიანულად და ყველა გამარჯვება თუ მარცხი არის ღვთის განგებულობა, რომელსაც

ისევე აქვს მოტივირება შესაბამისი ქრისტიანული იდეოლოგიით (ან ცოდვები, ან კიდევ რწმენაში სიმტკიცე, ქრისტიანული საქმეების აღსრულება და, რაც მთავარია, ბრძოლის წარმოება ღვთისადმი რწმენით – ლოცვა ბრძოლის წინ, სინანული და ბრძოლა “წარმძღუარებითა ჯუარისა”).

ქრისტიანული შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველები ბერძნებთან და ინდოევროპული მოდემის სხვა ხალხთან ერთად ქმნიან შუა საუკუნეების ცივილიზაციას. იდენტურია წარმოდგენები როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფლების ფუნქციონირების შესახებ მთელს ევროპულ სამყაროში. ქართველები თავიანთ თავს თვითონ მოიაზრებენ ერთიან ქრისტიანულ სამყაროში. ქართველი მეფეები აღიარებენ რომის (კონსტანტინოპოლის) ეკლესიის პრიმატს და ემსახურებიან მსოფლიო ეკლესიის ინტერესებს<sup>120</sup>.

როგორც აღვნიშნეთ ეს სივრცე იყო ერთიანი, მხოლოდ მოგვიანებით განსხვავებული წანამძღვრების და ასევე განვითარების განსხვავებული პირობების შედეგად, მოხდა ამ სივრცის გაყოფა დასავლეთ ევროპის და ბიზანტიურ ცივილიზაციად. საქართველო, რომელიც უფრო დაახლოებული იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან – როგორც გეოგრაფიულად, ასევე მათ ელენისტური კულტურით, რომელიც ნაკლებად იყო დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გავრცელებული – აღმოსავლურ ქრისტიანული ცივილიზაციის არეალში დარჩა. მართალია, საქართველოს მიაკუთვნებენ შუა საუკუნეების ბიზანტიურ ცივილიზაციას, მაგრამ მან განვითარების ბიზანტიისაგან განსხვავებული გზა აირჩია, რაც მას თავისი მიზ-

---

<sup>120</sup> მართალია, IV საუკუნის ბოლომდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ძალაუფლებით ჯერ კიდევ არ იყო რომის ეკლესიის შესაბამისი, მაგრამ, რადგანაც იმპერატორი იყო კონსტანტინოპოლში და ის ფლობდა რეალურ ძალაუფლებას მსოფლიო ეკლესიაზე, ამდენად, ამ ეტაპზე კონსტანტინოპოლი ხშირად მოიხსენიებოდა ეკლესიის ცენტრად.

ნებით უფრო დასავლეთის ხალხებთან აახლოებდა. ბიზანტია მთელი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობდა ეარსება, როგორც ერთადერთ ქრისტიანულ იმპერიას. ქრისტიანობა, მოგვიანებით მმართველობის ფორმით, გახდა მისი, როგორც მსოფლიო იმპერიის, თვითიდენტიფიკაციის ერთადერთი საშუალება, მაშინ როდესაც საქართველო ქმნიდა თავის ნაციონალურ კულტურას ზოგად ქრისტიანულ იდეებზე. ასეთივე იყო კარლოს დიდის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ამოცანა უკვე ძალაღ შეა საუკუნეებში. ამდენად, ამოცანათა ასეთი მსგავსება იწვევს ამ კულტურათა განვითარების მსგავსებას.

IV-VI საუკუნეები ჩვენ მივიჩნით შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისის პერიოდად, ანუ ეტაპად, როდესაც ამ ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებლები უკვე გამოვლენილია და იწყება შესაბამისი მოწყობის სახელმწიფო ერთეულთა ჩამოყალიბების პროცესი. ასეთივე მოსაზრება აქვს ნ. ბერძენიშვილს, მისი აზრით, IV-VI საუკუნეებში მოხდა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. “ეთნიკური განვითარების შემდგომი ეტაპი – ესაა ფეოდალური ქართლის დადგინების ხანა: სამხედრო დემოკრატიის დამორჩილებული ტომების შემდგომი დამორჩილება და ექსპანსიის კიდევ უფრო გავრცელება. ფეოდალური ურთიერთობა (კლასთა ბრძოლა) ხელს უწყობს მოსახლეობის ურთიერთთან დაახლოებას, შერწყმას, თუმცა სრულ ასიმილაციამდე (გაქართვებამდე) ჯერ შორსაა. ტომები მეტ-ნაკლებად თავის ინდივიდუალურობას ინახავენ იმისდა კვალად, თუ რა ძალისხანი არიან (სიმრავლე, კულტურული დონე და სხვა). ფეოდალური კლასი ქართველდება”<sup>121</sup>.

როგორც ვხედავთ, ფეოდალური ქართლის სამეფოს წარმოქმნას ნ. ბერძენიშვილი უკავშირებს ფეოდალური ფორ-

<sup>121</sup> ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ, 1990, გვ. 358.



მაციის შექმნას და კლასთა ბრძოლას. ასევე ხშირად გვხვდება ავტორთან ქართლის სამეფოს წარმოქმნის განსაზღვრის დროს, ტერმინი “ფეოდალური რევოლუცია”. “ფეოდალური საქართველო იყო კლასობრივი ორგანიზაცია, და მხოლოდ კლასობრივი ორგანიზაცია, და რა სალაპარაკოა, რომ ამ ორგანიზაციის წარმოქმნა კლასობრივი ურთიერთობის საფუძველზე – და არავითარ სხვა საფუძველზე – მოხდა!”<sup>122</sup>

კვლევის დღევანდელ ეტაპზე რადგანაც ამ მოსაზრების ასეთი სახით გაზიარება ძალიან ძნელია, თუმცა არც იმას ვფიქრობთ, რომ იგი საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული კლასთა ბრძოლის თეორიის გაგრძელებად მივიჩნიოთ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ქართლის საზღვრების გაფართოება და ქართველურ ტომთა ერთიანობა წარმოიქმნებოდა არა მხოლოდ ძლიერი და განვითარებული პოლიტიკური ერთეულის მიერ მეორის ომით შემოერთებით, ან ნათესაური კავშირით გაერთიანებით, არამედ “კლასობრივი ურთიერთობის წარმოქმნის გვერდით და მისი განვითარების ნიადაგზე მიმდინარეობდა პროცესი ტომების გაერთიანება-შერწყმისა, ხალხების ჩამოყალიბებისა – საერთო ენით, ტერიტორიით, სახელმწიფოთი. საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ფეოდალური ურთიერთობის სახეს იღებს, წარმოიშვებიან ადრეფეოდალური სახელმწიფოები, რომელნიც ამჟღავნებენ ტენდენციას გაერთიანებისაკენ, უკეთ, თითოეული მათგანი ცდილობს გამსხვილებას, რამდენადაც ამას შეესაბამება ამ ფეოდალური ერთეულის საწარმოო ძალთა განვითარება... და ფეოდალური ერთეულები წარმოიშვებიან არა ეთნიკური მომენტის საფუძველზე, არამედ კლასობრივი ურთიერთობის საფუძველზე.”<sup>123</sup> თუ ამ მოსაზრებას განვაგრძობთ

---

<sup>122</sup> ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 405.

<sup>123</sup> ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 399.

ავტორის მიერ შემოთავაზებული ტერმინის – ფეოდალური კლასი “ქართველდება” – შესაბამისად, მაშინ სრულიად გასაგებია მოსაზრება, რასაც ეხვდებით დასავლეთის ისტორიკოსთა კვლევებში: რომ ფეოდალიზაციის პროცესი ხელს უწყობდა ეთნიკური ერთეულების ასიმილაციას და დიდი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას. ჩვენს კვლევაში, ნაკლებად შეეხებთ სოციალურ საკითხებს და უფრო კულტურული ასპექტით შემოვიფარგლეთ. აქამდე არსად გამოგვიყენებია ტერმინი ფეოდალიზმი, რადგანაც ფეოდალიზმი, ჩვენ აზრით, არ წარმოადგენს მხოლოდ კლასების ფუნქციათა განსაზღვრას და, მით უფრო, კლასთა ბრძოლას, ამდენად, შეიძლება სრულად ვერ დავეთანხმეთ ავტორის მოსაზრებას, რომ მხოლოდ “კლასობრივი ურთიერთობის” საფუძველზე იქმნებოდა შუა საუკუნეების სახელმწიფოები.

ვფიქრობთ, რომ ფართოდ უნდა წარმოვიდგინოთ როლი იმ იდეოლოგიისა, რომელმაც ხელი შეუწყო ისეთი საზოგადოების შექმნას, როგორიც ფეოდალური საზოგადოებაა. და ეს საზოგადოება არ შეიძლება განვიხილოთ იმ ძირითადი მახასითებლის გარეშე, როგორიცაა მონოთეისტური რელიგია, ევროპული შუა საუკუნეების შემთხვევაში – ქრისტიანობა. ქრისტიანობას ეკუთვნის განსაკუთრებული როლი ერთა კონსოლიდაციაში და გაერთიანებაში. სამეფო და საერო ხელისუფლებათა შესახებ ქრისტიანული თეორია ქმნიდა პირობებს პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილებისათვის. ასევე ქრისტიანობა თავის წიაღში შემავალი ხალხისთვის ხსნიდა ყოველგვარ პოლიტიკურ ბარიერებს. ქრისტიანი ხალხი – ეს იყო ერთი ეკლესია და, რასაკვირველია, ეს აზროვნება ადვილად ანგრევდა ისედაც დაქვეითების გზაზე მდგარ ტომობრივ გაერთიანებებს. ასევე არ შეიძლება დავივიწყოთ ქრისტიანული რელიგიის როლი ძლიერი პოლიტიკური ერთეულის ხელში სხვა ტომების დასამორჩილებლად. ვის ხელშიც იყო ეკლესიის ცენტრი პოლიტიკურად, ის ამ იარაღით ხელში იერთებდა

სხვა მონათესავე ხალხებს. ამის საუკეთესო მაგალითია ქართლის მეფის მიერ ქრისტიანული მოტივით მთიანეთის დალაშქვრა. ან კიდევ, ზლოდვიგის და მისი მემკვიდრეების ომები სხვა სამეფო-სამთავროების შემოსაერთებლად, მოტივირებული ქრისტიანობის გავრცელებით. ჩვენი აზრით, ქრისტიანობამ — რელიგიამ, რომელიც დამყარებული იყო ხალხთა სულიერ ერთობაზე, თავისი თეორიით სამეფო ხელისუფლების შესახებ გადამწყვეტი როლი შეასრულა ხალხთა ერთიანობის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით იმ ხალხებში, რომელიც ამ რელიგიას შეხვდა გარკვეული ინდივიდუალური კულტურით.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, ვერ გავიზიარებთ ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში ქრისტიანობის როლის ნ. ბერძენიშვილისეულ უარყოფას და ვერც იმ აზრს, რომ ქრისტიანობამ მხოლოდ წარმართობის ადგილი დაიკავა. “არ შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობამ რაღაც ახალი განსაკუთრებული მომენტი შეიტანა “ქართველის” კულტურულ ცნებაში. ქართველი სრულიად გამოკვეთილი კულტურული ცნება იყო და ამით ახალი სარწმუნეობა “ქართველის” კულტურულ ჩამოყალიბებაში ახალ მომენტს ვერ შეიტანდა. ქრისტიანობამ მხოლოდ ისა ქმნა, რომ წარმართობის ადგილი დაიჭირა”<sup>124</sup>. მართალია, არ ვიზიარებთ ნ. ბერძენიშილს ამ მოსაზრებას ქრისტიანობის შესახებ, თუმცა ვეთანხმებით ამ მოსაზრების მეორე ნაწილში გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ქართული კულტურა ქრისტიანობის მიღების დროს იყო ისეთ მაღალ დონეზე, რომ ამან განაპირობა ქრისტიანობის ინდივიდუალიზაცია საქართველოში.

აღბათ, ქართული კულტურის უკვე ჩამოყალიბებულ ფენომენად არსებობა იყო ის, რამაც საფუძველი მისცა ქრის-

---

<sup>124</sup> ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 383.

ტიანობის ქართულ ენაზე განვითარებას საქართველოში, რასაც ვერ ვიტყვიტ ქრისტიანული ევროპის ქვეყნების შესახებ, სადაც ქრისტიანობა ლათინურ და ბერძნულენოვან რელიგიად დარჩა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

საისტორიო მეცნიერებაში მიმდინარეობს დავა ნაციონალური ეკლესიების წარმოშობის შესახებ. ამ ნაშრომში ჩვენ ვერ ვიტვირთავთ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვას, როგორცაა ავტოკეფალური ეკლესიების წარმოქმნა. მხოლოდ გვსურს გამოვთქვათ ჩვენი მოკრძალებული აზრი იმის თაობაზე, რომ ეს საკითხი მოითხოვს უფრო ვრცლად განხილვას, რასაკვირველია, მსოფლიო ეკლესიის ისტორიის შესწავლის ფონზე. ეკლესიის ავტოკეფალურობის აღიარება, უმეტესად, პოლიტიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. საერთოდ, ეკლესია იერარქიულად შედგება მხოლოდ დიაკანის, მღვდლისა და ეპისკოპოსისაგან. ასე რომ, ეკლესიის თავი არის ეპისკოპოსი. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში არ არსებობდა ეკლესიის ისეთი იერარქია, როგორც ეს მოგვიანებით ჩამოყალიბდა საპატრიარქოების სახით. ეპისკოპოსი დამოუკიდებლად მართავდა ეპარქიას. საპატრიარქოების წარმოშობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან. ძირითადად, საპატრიარქოები ჩამოყალიბდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ ქალაქებში. საპატრიარქოები, რომლებიც იყვნენ პირველ ადგილზე, წარმოადგენდნენ იმპერიის დედაქალაქს (რომი, კონსტანტინოპოლი), ხოლო დანარჩენები (ალექსანდრია, ანტიოქია) – რეგიონულ ცენტრებს. რაც შეეხება იერუსალიმს, მიუხედავად იმისა, რომ ის წარმოადგენს ქრისტიანობის წმინდა ქალაქს, ის საპატრიარქოს ცენტრი გვიან გახდა, რადგანაც I საუკუნის ბოლოს რომაელებმა დაანგრიეს; მხოლოდ ელენე დედოფლისა და კონსტანტინე დიდის დროს, მათივე დიდი ღვაწლით აღდგა და გვიანაც გახდა საპატრიარქო ცენტრი. იქამდე იერუსალიმის ეპისკოპოსი კესარიას ექვემდებარებოდა. რაც შეეხე-

ბა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას, ეს საკითხიც ასეთივე კონტექსტში უნდა განვიხილოთ, თუმცა მრავალი საკითხი გვრჩება გასარკვევი. საკითხის მრავალმხრივობის გამო, რაც სცილდება ჩვენი შრომის საზღვრებს, ამჯერად მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო წმინდა წერილების გადმოქართულება და წირვის დაყენება ქართულ ენაზე.

დასავლეთის შუა საუკუნეების შესწავლა და მისი შედარება ქართულ კულტურასთან მრავალ საინტერესო მოსაზრებას წარმოშობს, მაგრამ რადგანაც ჩვენ მხოლოდ მის დასაბამსა და წანამძღვრებზე გვექონდა საუბარი, ამდენად, არ გვეძლევა უფრო ფართო ანალიზის საშუალება.

საქართველოს შუა საუკუნეებს ყველაზე მრავალრიცხოვანი მკვლევარი ჰყავს და საფუძვლიანად არის შესწავლილი მეცნიერთა არაერთი თაობის მიერ, ამდენად, ეს პერიოდი მოსაზრებათა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ქართული კულტურა ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში მონოგრაფიულად შეისწავლა და საკუთარი მოსაზრებანი გამოთქვა ნ. ჩიქოვანმა. ამ ნაშრომში გამოთქმული მრავალი საინტერესო მოსაზრებიდან ჩვენთვის მეტად საინტერესოა, ავტორის აზრი ადრეშუასაუკუნეების ქართული კულტურისა და მისი ცივილიზაციური მიკუთვნებულობის შესახებ. ავტორი შუა საუკუნეების ცივილიზაციის გენეზისის პროცესს არ შეხებია და არც ჰქონია მიზნად დასახული ქართულ და სხვა კულტურათა ურთიერთმიმართების შედარებითი დახასითება. ამდენად, ავტორს აღებული აქვს უფრო ფართო პერიოდი შუა საუკუნეებისა — IV-X საუკუნეები. ჩვენი აზრით, ეს არის ქრისტიანული კულტურის დამკვიდრების ხანა, თუმცა მკვლევარი საქართველოს კულტურის არც ერთ პერიოდს რაიმე განმარტებით დასახელებას არ აძლევს. IV-X სს. ნ. ჩიქოვანი ახასიათებს შემდეგნაირად: “ამ დროის ქართული კულტურა

ქრისტიანული (დასავლური) ცივილიზაციის განაპირა კულტურად შეიძლება განვიხილოთ”<sup>125</sup>. ამავე ნაშრომში მოცემულია განაპირა კულტურის ავტორისეული განმარტება. ამ განმარტებისა და ავტორის მიერ მოშველიებული წყაროების, აგრეთვე სხვა მეცნიერთა შრომების დადასტურებით, ამ პერიოდის ქართული კულტურა წარმოადგენს ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილს, სადაც იქმნება კულტურის ელემენტთა ახალი კომბინაციები, ახალი აქცენტები, იცვლება ელემენტთა ურთიერთქმედების ფორმები, რაღაც აქტუალიზდება, რაღაც უკანა პლანზე გადადის, მაგრამ ეს ყველაფერი ხდება “დიდი” კულტურის პრინციპების, კანონზომიერებათა და ტენდენციათა ჩარჩოებში. კულტურის ასეთი განმარტება სავსებით გასაგებია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საჭიროა მითითებული იყოს ის კონკრეტული ელემენტები, რომელიც განასხვავებს მას “დიდი” კულტურისაგან, მით უფრო, როგორც ავტორი მიუთითებს ზოგადად განაპირა კულტურის ცნების დახასიათებისას, “განაპირულობა” არ დაიყვანება მხოლოდ სივრცით-გეოგრაფიულ ფაქტორზე”<sup>126</sup>. ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ ქართულ კულტურის ისტორიის ავტორისეულ პერიოდიზაციას, რომ მართლაც ერთიანად უნდა იყოს წარმოდგენილი IV-X საუკუნეები, რაც, ჩვენი აზრით, არის ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპის დასასრული, როდესაც დგება მაღალი შუა საუკუნეები და ფაქტობრივად დასრულებული ქრისტიანული სახელმწიფოს მოდელი იქმნება. მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს, უფრო გამოვკვეთოთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით და შევეცადოთ შუა საუკუნეების ცივილიზაციის, ანუ, როგორც მკვლევარი მიუთითებს, ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა, პერიფერიუ-

125 ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა..., გვ.186.

126 ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა..., გვ.40.

ლი კულტურის ჩვენებურ განმარტებას. პირველი: შევნიშნავთ, რომ ეს ტერმინი — ევროპის ქრისტიანული ცივილიზაცია — ამ შემთხვევაში მაინდამაინც არ არის მორგებული, უმჯობესი იქნებოდა ევროპის შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის გამოყენება. რადგანაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში ქართველები ძირითად როლს ასრულებდნენ, მაინც არ მივიჩნევთ მართებულად ამ პერიოდის ქართული კულტურის ბიზანტიური ცივილიზაციის განაპირად დასახელებას. ქართველები ქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ, როგორც თავიანთი ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. ქრისტიანული შუა საუკუნეების აზროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ქართველ სასულიერო მოღვაწეებს. თუ ავტორი გულისხმობს იმას, რომ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განიცდის ირანული კულტურის გავლენას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ გავლენას განიცდის თვითონ ბიზანტიაც, განსაკუთრებით სამეფო კარის ცერემონიალების შექმნაში. რასაკვირველია, ამ პერიოდის ქრისტიანულ კულტურაში არის განმასხვავებელი ელემენტები, რადგანაც ის ვრცელდება დიდ სივრცეზე და მასში შემავალი ხალხების კულტურა ქრისტიანობასთან შერწყმის დროს იძენს თავისებურებას, მაგრამ არ არსებობს ცივილიზაცია, რომელიც თავის თავში არ მოიცავდეს მსგავსი თავისებურებების მქონე კულტურას. ჩვენს კრიტიკას ამ მოსაზრებებისადმი, ვფიქრობთ, ამყარებს შემდეგიც: მიუხედავად იმისა, რომ ფრანკები და დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე დასახლებული სხვა ხალხი ადრეულ შუა საუკუნეებში უფრო შორს იყვნენ ერთიანი ქრისტიანული კულტურის შემქმნებისაგან, მაგრამ ამ ეპოქის დასავლეთის კულტურას ჩვენთვის ცნობილი არც ერთი ავტორი არ მიიჩნევს ქრისტიანული კულტურის განაპირად, ან მარგინალურ კულტურად (მით უფრო, რომ V-VI საუკუნეებში დასავლეთ ევ-

როპის ტერიტორიაზე დასახლებული გოთები არ იყვნენ რომის ქრისტიანული ეკლესიის წევრები, ისინი არიოზელები იყვნენ).

აზროვნების ახალი დასავლეთ ევროპული სისტემა იწყება ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად. ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ დაუდო საფუძველი ევროპის ერთიანობის შემეცნებას, მის ერთიან სამყაროდ ჩამოყალიბებას. ეს ყველაფერი დღეისათვის ამჟამურებს ინტერესებს ამ ეპოქის ისტორიისადმი.

დასავლეთში პოპულარული გახდა ცნობილი გერმანელი მეცნიერის ჰორსტ ფურმანის წიგნები “მიწვევა შუა საუკუნეებში” და “ყველგან არის შუა საუკუნეები”<sup>127</sup>, სადაც ავტორი ნათლად წარმოსახავს, თუ როგორ ცოცხლობს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში შუა საუკუნეები. ავტორს გერმანიის ისტორიის მაგალითზე აქვს წარმოდგენილი პოლიტიკურ პროცესებში ისტორიის გადმოტანა, პოლიტიკურ იდეათა წარმატებისათვის წარსული დროის გამოჩენილ სახელთა გამოყენება.

წარსული ხშირად არის იარაღი განსახორციელებელ თუ განხორციელებულ იდეათა ნათლად წარმოსაჩენად. შუა საუკუნეების სიმბოლოები აქტიურადაა ჩართული პოლიტიკური იდეების პროპაგანდაში. ეს მომენტები ნათლად იკვეთება ხოლმე რომელიმე ერის ისტორიის გარდატეხის პერიოდებში. ასეთი მაგალითებით მდიდარია ევროპის ნაციონალური სახელმწიფოების ისტორია.

შუა საუკუნეების ცივილიზაციის, მით უფრო, მისი გენეზისის შესწავლა ჩვენი დღევანდლობისთვის ფრიად აქტუალური საკითხია, რადგანაც საქართველო ჯერ კიდევ შუა საუკუნეების დასასრულს მოწყვტივეს ერთიან ევროპულ სივ-

---

<sup>127</sup> Fuhrmann H. Einladung ins Mittelalter, Verlag C.H. Beck, Munchen, 2000; Fuhrmann H. Uberall ist Mittelalter. Von der Gegenwart einer vergangenen Zeit, Verlag C.H.Beck, Munchen, 2002.



